პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 8 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 131 (2174)

ბიბლიოთეკა

დღიური

— რემედასის აღმასკომის მოწოდება თეთრი ტერორის წინააღმდეგ იტალიაში.
— თავდასხმა იტალიის საელჩოზე ბერლინში.
— დემონსტრაცია კომუნარების კედელთან.
— გრძელდება 50.000 იაპონელ მეზღვაურის გაფიცვა.
— მუშა-ქალების გაფიცვა ლიუ დლოუში (ინდოეთი).
— პუშკინის ხსოვნის აღსანიშნავი კრება პრაღაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის ცეკას
# მესამე პლენუმი
გაიხსნება 11 ივნისს, დილის 10 საათზე
საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი

ალმშენებლობის გაჯანსაღებისათვის
(საბჭოთა ალმშენებლობის შესახებ თათბირის გამო)

ალმშენებლობის საკითხების შესახებ სახკომსაბჭოსთან მოწვეული და ამჟამად მიმდინარე თათბირი უაღრესად საგულისხმოა. თათბირზე ადგილობრივ მუშაკების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები და მოხსენებების გარშემო გამართული კამათი საერთოდ ნათელ სურათს იძლევა ჩვენი ალმშენებლობის მიღწევებისა და ნაკლულევანებათა მხრივ. უდავოა, რომ ადგილობრივ ბევრი რამ არის გაკეთებული მეურნეობის აღორძინების, მოსახლეობის კულტურულ დონის ამაღლების, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის, მასსების პოლიტიკური აქტივობის გადიდების და სხვა დარგებში. მაგრამ ჩვენ ეხლა უფრო გვაინტერესებს ჩვენი მუშაობის დეფექტები და შეცდომები: მათი აცილება უკვე მიღწეულ დადებითი შედეგების განმტკიცება-გაფართოების ერთი უმთავრესი საწინდართაგანია.

თათბირზე წარმოებს ჩვენი საალმშენებლო მუშაობის ფართე კრიტიკა. ეს უეჭველად დადებითი მოვლენაა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს კრიტიკა, როგორც სამართლიანად განაცხადეს ამხ. ფ. მახარაძემ და სხვებ., რამოდენიმე ცალმხრივია. ადგილების წარმომადგენელნი არც ისე ხალისით ლაპარაკობენ თავიანთ საქმიანობის ნაკლულოვანებებზე და მეტ ადგილს უთმობენ ცენტრალურ დაწესებულებათა ნამდვილ თუ მოჩვენებით დეფექტების მხილებას, ხოლო ცენტრალურ უწყებათა მუშაკები, პირიქით, უფრო ადგილობრივ ორგანოების მუშაობის უარყოფით მხარეებზე ჩერდებიან. ჩვენ იმიტომ ვეხებით ამ გარემოებას, რომ ის საერთოდ კიდევ ახასიათებს ჩვენს კრიტიკას, ამას შევამჩნევთ სხვა თათბირებზე და ყრილობებზედაც. როგორადაც არ უნდა იყოს საკითხისადმი ასეთი მიდგომა გასაგები ჩვეულებრივი „ადამიანური"—თვალსაზრისით, ის მოწმობს, რომ თვითკრიტიკის შეგნება ჯერ კიდევ არ არის ჩვენში სათანადოდ განმტკიცებული. როგორც „სხვების", ისე საკუთარი მუშაობის ნაკლულევანებათა დაუზოგავი გამომჟღავნება, კიდევ მეტი: პირველ რიგში საკუთარი საქმიანობის შეუბრალებელი მხილება,—ასეთი უნდა იყოს თვითკრიტიკის ხასიათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლებელია შესუსტდეს ამა თუ იმ მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობა წარმოებულ მუშაობისათვის. ან ის მაინც თვითკმაყოფილებას მისცეს.

ასეა თუ ისე, თათბირზე საკმაოდ სრულად გამოაშკარავდა როგორც ადგილობრივ ორგანოების, ისე ცენტრალურ დაწესებულებათა მუშაობის დეფექტები, რომლებიც უეჭველად ორივეს ბლომად მოეპოვება. პირველი, რაც თვალში გეცემათ, ესაა უგეგმობა ალმშენებლობაში. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი მიღწევები ამ მხრივ, აშკარაა, რომ სასურველ მდგომარეობისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ. თვითეული მაზრა ცდილობს ააშენოს ესა თუ ის ქარხანა, იმის გამოურკვევლად, არის თუ არა ამის რეალური საჭიროება, მართლდება თუ არა ეს ნაბიჯი ეკონომიურ-ფინანსიური აუცილებლობით. ამის შედეგად ჩვენ ხშირად გვაქვს ნახევრად დატვირთული და ზარალის მომცემი წამოწყებანი. იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა ერთი და იმავე ხასიათის წამოწყებას ხელს კიდებენ დამოუკიდებლად სხვა და სხვა ორგანიზაციები ერთ მაზრაში, ან ორ მეზობელ მაზრაში, მაშინ როცა საქმისათვის უკეთესია ერთი რომელიმე საწარმოო ერთეულის მოწყობა არა თუ ერთ მაზრისა, არამედ რამოდენიმე მაზრისათვისაც. ამით წარმოება უზრუნველყოფილი იქნება ნედლი მასალითაც, ბაზრითაც თავისი პროდუქციის გასასაღებლად და ამავე დროს ამ პროდუქციის თვითღირებულებაც იაფი იქნება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს საალმშენებლო გეგმის შეუთანხმებლობასთან თვით მაზრაში, მაზრებ შორის და რესპუბლიკის მასშტაბით.

ხაზგასასმელია აგრეთვე ნამდვილად მომზადებულ სპეციალისტების სიმცირე, რასაც უდიდესი ზიანი მოაქვს ჩვენი გეგმიანი ალმშენებლობისათვის. ამის საუკეთესო ილიუსტრაციას იძლევა, სხვათა შორის, ბორჯომის სატკეჩე ქარხანა. ეს ქარხანა დიდძალი ფული დაჯდა. ეხლა კი ირკვევა, რომ მისთვის საჭირო ხე-ტყე სამი-ოთხი წელი ძლივს გვყოფნის. ნედლი მასალის მხრივ ბორჯომის რაიონი თითქოს საუკეთესო სპეციალისტების მიერ იყო გამოკვლეული, მაგრამ ამ გამოკვლევის შედეგი არ გამართლდა. ასეთი მაგალითი არც ისე იშვიათია. რა დასკვნა გამოდის აქედან? ის, რომ აუცილებელია სპეციალისტების უფრო დაკვირვებით შერჩევა და ამავე დროს კრიტიკული დამოკიდებულება საალმშენებლო გეგმებისა და პროექტებისადმი.

ამასთან ცნობილია, რომ ჩვენს მშენებლობას ბევრგან მნიშვნელოვანი ტექნიკური დეფექტები ახლავს თან. ესეც სათანადო სპეციალისტების და კვალიფიციურ მუშაკების უყოლობის ბრალია. მშენებლობაში მისაღები კონტროლის სისუსტეც სამუშაოების შესრულებაზე, რაც ქმნის დაუდევრობის და პირდაპირ ბოროტმოქმედებათა შესაძლებლობას. ამ მხრივ დამახასიათებელია, მაგ., ხილის საშრობი ქარხნის ბედი ოზურგეთში: ხილთან ერთად მანქანებში ვიღაცას ცხენის ნალები ჩაუყრია და ამის გამო მანქანები გაფუჭებულა.

ჩვენი ალმშენებლობა, რომ ძვირად ჯდება, ესეც საიდუმლოებას არ წარმოადგენს. იშვიათია შემთხვევა, როცა პირველად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა საგრძნობლად, ხშირად ორად და სამად არ გადიდებულიყოს. ეს აიხსნება უცოდინარობით, დაუშვებელი ხელგაშლილობით და სათანადო ორგანიზაციული ზომების მიუღებლობით.

მშენებლობა ჩვენში ფართედაა გაშლილი. ამაზე მილიონები იხარჯება, მიუხედავად იმისა, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო ჯერ-ჯერობით ხელმოკლეობას განიცდის. დრო კია ვისწავლოთ უდიდესი სიძნელით ნაშოვნ საშუალებათა მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენება. ამისათვის აუცილებელია პირველ ყოვლისა მტკიცე გეგმიანობა, ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია, უკიდურესი მომჭირნეობის გამოჩენა, მუშაობის რაციონალიზაცია და ნამდვილი მასიური კონტროლის გაძლიერება.

ქარი ლონდონიდან

როცა ლონდონიდან იწყებს ქროლვას ძლიერი ანტი-საბჭოთა ქარი, როცა საერთაშორისო ბირჟაზე იზრდება მოთხოვნილება ანტი-საბჭოთა გამოსვლებზე, პოლონეთში ჩვეულებრივად იწყება გახელებული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რომელიღაც უხილავი რეჟისორების მითითებით „თავისუფალი და დამოუკიდებელი" ბურჟუაზიულ პრესა იწყებს ჭორების და ცილისწამების მორიგ კამპანიას საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის წინააღმდეგ პოლონეთში, მოუწოდებს თანამოაზრეებს გაუსწორონ ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობას ჯონსონ ხიქსის და ჩან-ძოლინის მეთოდებით.

მთავრობის პარტიების პრესის ფურცლებზე სისტემატიურად ჰქადაგებენ საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის და ბელორუსიის სოციალისტურ რესპუბლიკების ჩამოშორების იდეას. პილსუდსკის მომხრეთა ორგანოს „გლოს პრავდი"-ს ფურცლებზე პოლონეთის გამოჩენილი დიპლომატი, რომელიც ეფარება სპექტატორის ფსევდონიმს, მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ვერსალის ზავის ავტორებმა ვერ გაითვალისწინეს „უკრაინის საკითხის" მნიშვნელობა და არ მისცეს პოლონეთს უკრაინის ხელში ჩაგდების საშუალება, რადგან მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთში აღდგენილ იქნება ცარიზმი. პოლონეთის დიპლომატი ამტკიცებს, რომ „მარშალ პილსუდსკის კიევისაკენ ლაშქრობის წარმატებით დამთავრება იქნებოდა ევროპის წესწყობილების სიმტკიცის საუკეთესო გარანტია".

მთელი რიგი ფაქტები, რომლებსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა პოლონეთში, მოწმობს, რომ სპექტატორის მიერ წამოყენებული იდეები სრულიადაც არ წარმოადგენს მის პირად შეხედულებათა გამოხატულებას. იმის იმედი, რომ საბჭოთა კავშირში ხდება „დაშლის პროცესი", როგორც ჩანს, წარმოადგენს პოლონეთის ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობის საკმაოდ ფართე წრეების შეხედულებათა საფუძველს პოლონეთის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთში. სპექტატორის წერილების საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს გამოსვლები სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში. თვით გარეშე საქმეთა მინისტრმა საჭიროდ დაინახა შეხებოდა რიგის ხელშეკრულებას, როგორც პოლონეთის „ზომიერების" საბუთს. თურმე ნუ იტყვით, ეს „ზომიერება" ემყარება „მოწინააღმდეგის დაზოგვის პრინციპს ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვების შემდეგ".

ზალესკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში დეპუტატები ლევიცკი და დომბსკი აშკარად ლაპარაკობდნენ „დამოუკიდებელ" უკრაინის შექმნის და რიგის ხელშეკრულების რევიზიის შესახებ. როგორც ვიცით, გათავხედებულ ორატორებს არავინ არ მოუწოდა წესრიგისაკენ.

ამავე დროს 24 მაისს პოლონეთის დედა ქალაქში შესდგა სამგლოვიარო კრება პეტლიურას სიკვდილის წლისთავის გამო. კრებას დაესწრნენ პოლონეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებათა წარმომადგენელნი, რომლებიც ისმენდენ სიტყვებს უკრაინის „დასავლეთთან" (იგულისხმება „დემოკრატიული" პოლონეთი) „შეერთების" შესახებ.

სამი დღის შემდეგ ვარშავის მუნიციპალიტეტის დარბაზში გაიმართა მეორე საზეიმო კრება საქართველოს, აზერბეიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების ათი წლის თავის გამო. მაღალ თანამდებობის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების თანადასწრებით წარმოსთქვამდენ სიტყვებს „კავკასიის ფედერაციისათვის" ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

სხვა პირობებში შეგვეძლო უყურადღებოთ დაგვეტოვებია იდილიური დაძმობილება პოლონეთის ფაშიზმისა, რომელიც თავის ქვეყანაში სჩაგრავს ნაციონალურ უმცირესობათა მრავალ მილიონიან მოსახლეობას, უკრაინის და საქართველოს „დემოკრატიასთან", რომელიც რევოლიუციამ გადაისროლა ისტორიის სანაგვე ყუთში. მაგრამ, არსებულ მომენტში, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი გაფაციცებით აწყობს ანტი-საბჭოთა ფრონტს, პოლონეთის „ფედერალისტების" ბანაკის გამოცოცხლებას მეტად სიმპტომატიური მნიშვნელობა ეძლევა.

თუ ამ ლაყბობას რიგის ხელშეკრულებაზე, უკრაინის და საქართველოს „განთავისუფლებაზე" მივუმატებთ უხეშ ჭორებს „საბჭოთა კავშირის სამხედრო მზადების" შესახებ, რომლებსაც ავრცელებენ პოლონეთის ზოგიერთი ოფიციალური წარმომადგენლები, მივიღებთ სურათს, რომელიც არ შეიძლება არ იქნეს გაგებული, როგორც პოლიტიკური მზადება რაღაც ამბებისათვის, რომელთა აუცილებლობას პოლონეთის პრესა დაბეჯითებით წინასწარმეტყველებს ამ ბოლო დროს.

პოლონეთის გათავხედებული „ფედერალისტები", როგორც ჩანს, ჰკარგავენ რეალობის გრძნობას და თავისი ქვეყნის ინტერესების გაგების უნარს.

„პრავდა", 7 ივნისი.

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე
სესიას არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება.—კონფლიქტის განხილვა გადაიდო სექტემბრის სესიამდე
ნანკინის მთავრობის ნოტა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებისადმი
ამერიკის მთავრობამ უარი განაცხადა გაიყვანოს ჯარები ტიანცზინიდან

უთანხმოება ჟენევაში

ჟენევა, 6 ივნისი. ერთა ლიგის საბჭო შეუდგა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის განხილვას. მოხსენება გააკეთა ჰოლანდიის წარმომადგენელმა ვან-ბლოკლანდმა. შეეხო რა მოლაპარაკებას კენიგსბერგში, ბლოკლანდმა აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება არ დამთავრებულა და არც არის მოსალოდნელი რაიმე დადებითი შედეგების მიღწევა. შემდეგ ვან-ბლოკლანდი გაკვრით შეეხო ლიტვის კონსტიტუციის შეცვლას, ვილნოს გამოცხადებას ლიტვის დედა-ქალაქად, და სთქვა: „მხარეები, რომლებიც ასეთ ზომებს იღებენ არასასარგებლო მდგომარეობაში აყენებენ თავის-თავს არა მარტო ერთა ლიგის საბჭოს, არამედ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის თვალში".

ვოლდემარასმა, უპასუხა რა ვან-ბლოკლანდს, აღნიშნა, რომ მომხსენებლის ამოცანას შეადგენდა ეცნობებია მხოლოდ მოლაპარაკების მსვლელობა და არა შეეფასებია ეს მოლაპარაკება მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის მიერ მიწოდებული მასალების მიხედვით.

შემდეგ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ პოლონეთში კვლავ არსებობს ანტილიტვური ბანდები.

ზალესკიმ, უპასუხა რა ვოლდემარასს, განაცხადა: „ვოლდემარასის ყველა ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს პოლონეთის ტერიტორიაზე არსებობს ანტილიტვური ბანდები და ორგანიზაციები,—წარმოადგენს მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფს".

ვოლდემარასი კვლავ იმეორებს თავის განცხადებას და ამბობს, რომ მზად არის წარმოუდგინოს ფოტოგრაფიები და ოქმები, რომლებიც ამტკიცებს ასეთი ბანდების არსებობას, „რომ ზალესკის მოესურვებია,—განაცხადა ვოლდემარასმა,—თავის მახლობელ წრეებში მონახავდა ისეთ პირებს, რომლებიც მშვენივრად იცნობენ ამ საკითხს".

ამ საკითხის შესახებ დიდი სიტყვა წარმოსთქვა ჩემბერლენმა.

„თუ ვოლდემარასის ცნობები სწორია,—განაცხადა მან,—ეს მხოლოდ ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს იმას, რომ აუცილებელია სასწრაფოდ და საბოლოოდ იქნა მოგვარებული ეს კონფლიქტი.

ვან-ბლოკლანდის მოხსენებამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოზე. გარდა ამისა, ლიტვა არ უნდა სარგებლობდეს ერთა ლიგის თანაგრძნობით და თავისი სისუსტით გამომწვევი აქტების ჩასადენად. ერთა ლიგის საბჭო ფიქრობს, რომ მოლაპარაკებამ ევროპის ამ ნაწილში მშვიდობიანობის განსამტკიცებლად, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ". პოლ ბონკური უერთდება ჩემბერლენის აზრს და წინადადებას იძლევა დაწესებულ იქნას ის უკანასკნელი ვადა, როცა უნდა დამთავრდეს მოლაპარაკება. ვოლდემარასმა გაილაშქრა ბონკურის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ პოლონეთ-ლიტვის დავას დიდი ხნის ისტორია აქვს და მისი გადაწყვეტა ხანმოკლე ვადაში შეუძლებელიაო.

თავმჯდომარე კითხულობს რეზოლიუციის პროექტს, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკების დამთავრებას სამი თვის განმავლობაში. ვოლდემარასი მოითხოვს სხდომის შეწყვეტას პროექტის შესასწავლად (ადს).

ჟენევა, 6 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომის განახლების შემდეგ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია სესიის თავმჯდომარის მიერ წაკითხული რეზოლიუციის პროექტი, რომელშიაც სესია მოითხოვს პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების დამთავრებას 3 თვის განმავლობაში. ვოლდემარასმა შეიტანა თავისი რეზოლიუციის პროექტი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიის რეზოლიუცია პოლონეთ-ლიტვის საკითხებზე სავსებით უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში და რომელშიაც გამოთქმულია სურვილი რომ დეკემბრის სესიის ეს რეზოლიუცია სავსებით იქნას განხორციელებული.

კენჭის ყრის დროს ვოლდემარასის პროექტი ერთხმად იქნა უარყოფილი. სესიის თავმჯდომარის მიერ წაკითხულ რეზოლიუციას ხმა მისცეს საბჭოს ყველა წევრებმა. მაგრამ ვინაიდან ვოლდემარასმა ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, იგი არ ითვლება მიღებულად. ამის გამო ჩემბერლენმა შეიტანა წინადადება, რომ პოლონეთ-ლიტვის საკითხი კვლავ დაისვას ერთა ლიგის საბჭოს სექტემბრის სესიის დღის წესრიგში.

პოლონეთ-ლიტვის საკითხის განხილვის შემდეგ დაიწყო საბჭოს დახურული სხდომა სენ-გოტარდის ინციდენტის განსახილველად.

ბრძოლა ჩინეთში

ნანკინელების ნოტა ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებისადმი

შანხაი, 6 ივნისი. ნანკინის მთავრობამ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას გადასცა პასუხი ამერიკის მთავრობის იმ ნოტაზე, რომელიც შეეხებოდა ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების დაცვას ჩრდილოეთ ჩინეთში. ნოტაში ნანკინის მთავრობა აცხადებს, რომ იგი ყოველგვარ ზომებს მიიღებს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად ჩინეთში. ამავე დროს ნოტა სთხოვს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას, რომ გამოწვეულ იქნას ამერიკის ჯარები ტიანძინიდან.

„ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა,—ნათქვამია ნოტაში,—ამით დაამტკიცებს, რომ იგი პატივისცემით ეპყრობა ჩინეთის ტერიტორიალურ სუვერენიტეტს" (ადს).

ნანკინი—ჩინეთის დედა ქალაქი

ვაშინგტონი, 6 ივნისი. უ-ჩუოუ-ჩუმ (ნანკინის მთავრობის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი), რომელიც დანიშნულია ნანკინის მთავრობის საგანგებო ელჩად ვაშინგტონში, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მთავრობის მთელი აპარატი გადატანილი იქნება ნანკინში. უ-ჩუოუ-ჩუს სიტყვით, ჩინეთის ახალ დედა ქალაქში—ნანკინში მუშაობენ სამოქალაქო სამმართველოები, რომელთა საქმიანობა ვრცელდება მთელს ჩინეთზე.

უ-ჩუოუ-ჩუ ფიქრობს, რომ უთანასწორო ხელშეკრულებები, რომლებიც პრივილეგიას ანიჭებენ უცხოელებს, და უცხოელებისაგან შემდგარი დამცველი რაზმი პეკინში გაუქმებულ იქნება ჯერ კიდევ მანამდის, სანამ უცხოეთის დიპლომატები თავიანთ რეზიდენციას გადაიტანდენ ნანკინში.

დასასრულ უ-ჩუოუ-ჩუმ განაცხადა, რომ ჩინეთი არასოდეს არ დასთმობს მანჯურიას.

ენ-სი-შანის ჩამოსვლის წინ

შანხაი, 6 ივნისი. პეკინიდან მიღებულ ცნობით, ქალაქში მოელიან ენ-სი-შანს. ქალაქის განაპირა უბნებში უკვე ავრცელებენ ენ-სი-შანის მიერ ხელმოწერილ პროკლამაციას, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებს მშვიდობიანობისაკენ.

გომინის სააგენტოს ცნობით, პეკინის ყველა მთავრობის დაწესებულებებმა გამოაფინეს ნაციონალური დროშები. საზოგადოებრივი დაწესებულებები საზეიმო შეხვედრას უმზადებენ ენ-სი-შანს.

პეკინში ჩავიდა ჩან-კაი-შის წარმომადგენელი დუან-იუნ-ჩუანი, რომელსაც განზრახული აქვს ინახულოს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ჩინეთში და განუცხადოს მათ ჩან-კაი-შის სახელით, რომ პეკინში მცხოვრებ უცხოელების სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილია.

დადის ხმები, რომ პეკინში გაწვეულ იქნება ფინ-იუ-სიანის არმია, რომელიც ენ-სი-შანის ჯარებთან ერთად დაიცავს წესრიგს ქალაქში. (ადს).

ჩან-კაი-შის წარმომადგენელი პეკინში

პეკინი, 6 ივნისი. პეკინის ალაყაფის კარები დაკეტილია. მოელიან შანსის ჯარების შესვლას ქალაქში.

პეკინში ჩამოვიდა ჩან-კაი-შის წარმომადგენელი დუან-იუნ-ჩუანი, რომელიც ესაუბრა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის წევრებს. (ადს).

ამბები ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ არ დადასტურდა

პეკინი, 6 ივნისი. „ნორდ ჩაინა სტანდარტ"-ის ცნობით, ხმები ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ, არ დადასტურდა. თუმცა გაზეთი იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინის მიერ მიღებული ჭრილობები უფრო სერიოზულია, ვინემ წინად ფიქრობდენ. (ადს).

საცდელი იერიში

პეკინი, 6 ივნისი. 5 ივნისს იაპონიის ჯარისკაცთა რაზმმა მოახდინა საცდელი იერიში ხატამინის ქუჩის (პეკინის მთავარი სავაჭრო არტერია) რაიონში, სადაც ყოველთვის დიდი მოძრაობაა.

იაპონიის ჯარისკაცები გაწვენ ქვაფენილზე, ხოლო შემდეგ, ოფიცრის განკარგულების თანახმად, ყვირილით გაემართენ ქუჩაში ხიშტებით ხელში, შემდეგ ჯარისკაცები უეცრად მობრუნდენ და წავიდნენ დასავლეთისაკენ.

ამერიკელების გაზეთი „პეკინ ლიდერ" ამის გამო კითხულობს,—რა უფლება აქვთ იაპონიის ჯარისკაცებს მოახდინონ საცდელი შეტევა ხიშტებით ქალაქის ცენტრში. დასასრულ გაზეთი მიმართავს ჩინელ მოსახლეობას მოწოდებით მოერიდონ ყოველგვარ შეტაკებებს, განსაკუთრებით იაპონელებთან და შენელონ ანტიაპონური განწყობილება. (ადს).

ჩან-ძო-ლინზე თავდასხმის გარშემო

შანხაი, 6 ივნისი. სწორი ცნობები ჩან-ძო-ლინის მდგომარეობის შესახებ ჯერ-ჯერობით არ არის. ჩან-ძო-ლინის იაპონელი მრჩეველი უარყოფს ხმებს მისი სიკვდილის შესახებ, თუმცა აცხადებს, რომ დაჭრილის მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

იაპონური წყაროებიდან ვრცელდება ვერსია, რომ ჩან-ძო-ლინის მატარებელში ყუმბარა ააფეთქეს სამხრეთელებმა. ამასთან დაკავშირებით, ჩინურმა გაზეთებმა შანხაიში და ნანკინში გამოაქვეყნეს პეკინიდან, მუკდენიდან და ტოკიოდან მიღებული დეპეშები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ყუმბარა ააფეთქა „ერთ სახელმწიფოს აგენტებმა". (ადს).

ჩან-ძო-ლინის მატარებლის აფეთქება

ხარბინი, 6 ივნისი. იაპონური პრესა იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინის მატარებლის აფეთქების დროს მოკლულ და დაჭრილ იქნა 70-მდე უმაღლესი თანამდებობის პირი. უ-ცზიუნ-შენის გარდა, რომელიც ჭრილობისაგან გარდაიცვალა, მოკვდა პეკინის მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი მოდეგუი და მრეწველობის მინისტრი ჩჟან-ცზინ-გუ (ადს).

ხარბინი, 6 ივნისი. აფეთქების გამო მუკდენის ჩინურ ნაწილში გამოაცხადეს საალყო წესები. იაპონიის პრეზიდენტების ოჯახები მიდიან სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის უბანში. პრესის სიტყვით, დამოკიდებულება ჩინელებსა და იაპონელებს შორის მუკდენში გამწვავებულია (ადს).

სამხრეთელების მოთხოვნილება

ლონდონი, 6 ივნისი. „დეილი მეილ"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ზავის პირობები, რომლებიც სამხრეთელებმა წაუყენეს მუკდენელებს, გამოიხატება შემდეგში: ჩან-ძო-ლინი გადადგება, მისი მემკვიდრე სცნობს ნაციონალურ მთავრობის ძალაუფლებას. ჩინეთი იყოფა 6 პოლიტიკურ ოლქათ, რომელთა ცენტრები იქნება ნანკინი, პეკინი, კანტონი, ხანკოუ, კაიფინი და მუკდენი. ეს ოლქები სცნობენ ნანკინის უზენაეს საბჭოს ხელისუფლებას. ნანკინი აღიარებულ იქნება ჩინეთის დედა ქალაქად (ადს).

უთანხმოება სამხრეთელების ბანაკში

შანხაი, 6 ივნისი. უცხოელთა გაზეთები შანხაიში აქვეყნებენ ხმებს იმის შესახებ, რომ, თითქოს, ერთის მხრივ ჩან-კაი-შისა და ენ-სი-შანსა და მეორეს მხრივ ფინ-იუ-სიანს შორის სწარმოებს ბრძოლა პეკინში ბატონობისათვის. ამ ხმების თანახმად, ჩან-კაი-ში და ენ-სი-შანი შეთანხმდენ იმ მიზნით, რომ შეასუსტონ ფინ-იუ-სიანის გავლენა. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ ფინ-იუ-სიანსა და ენ-სი-შანს შორის არსებობს უაღრესად მტრული განწყობილება.

ჩინელთა გაზეთი „ინდუსტრიელ ენდ კომერშიალ დეილი" იუწყება, რომ მოსალოდნელია შეტაკება ჩან-კაი-შისა და ფინ-იუ-სიანს შორის. (ადს).

პატეკის ნოტა ამხ. ჩიჩერინისადმი

მოსკოვი, 7 ივნისი. პოლონეთის მთავრობის ნოტაში, რომელიც 3 ივნისს პოლონეთის ელჩმა მოსკოვში პატეკმა გადასცა ამხ. ჩიჩერინს, ნათქვამია:

„ვადასტურებ რა თქვენი 7 მაისის ნოტის მიღებას სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევზე თავდასხმის შესახებ, ბოგომოლოვის მიერ ამავე საქმეზე გადმოცემულ 5 მაისის ნოტასთან დაკავშირებით, გაუწყებთ, რომ პოლონეთის მთავრობა ერთხელ კიდევ გამოსთქვამს მწუხარებას ლიზარევზე თავდასხმის გამო. პოლონეთის მთავრობამ 1927 წლის 14 აგვისტოს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც გადაჭრით და კატეგორიულად აფრთხილებდა იმ პირებს, რომლებიც სარგებლობენ თავშესაფარის, უფლებით პოლონეთის ტერიტორიაზე რომ „ისინი უნდა ეგუონ იმ პირობებს, რომლებიც სავალდებულოა პოლონეთში" და რომ ამ პირობების დარღვევა „გამოიწვევს არასასურველ შედეგებს, სახელდობრ: საზოგადოებათა დაშლას, გაზეთების დახურვას, დამნაშავეთა პოლონეთიდან გაძევებას". ამის ერთ-ერთი შედეგთაგანი იყო რამოდენიმე პირის გაძევება პოლონეთის საზღვრებიდან. თქვენი ნოტის მტკიცება, რომ „ყველა გაძევებულნი ისევ დაბრუნდნენ პოლონეთში", სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან პოლონეთის მთავრობას გაძევებულებისათვის აღარ დაუბრუნებია თავშესაფარის უფლება და, პოლონეთის მთავრობის ცნობით, არცერთი მათგანი პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ იმყოფება. აგრეთვე სწორი არ არის [illegible] იმის შესახებ, თითქოს პოლონეთის მთავრობა რბილად ეკიდება თეთრგვარდიელ ემიგრანტების იმ პრესას, რომელიც აშკარად გამოხატავს თანაგრძნობას საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ მოქმედებისადმი. პოლონეთის ხელისუფლება არაერთხელ ახდენდა იმ გაზეთების კონფისკაციას, რომლებიც მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იყენებდნენ ბოროტად სიტყვის თავისუფლებას, რითაც პოლონეთის რესპუბლიკაში სარგებლობს მთელი პრესა.

თავის მხრივ პოლონეთის მთავრობა იძულებულია პროტესტი განაცხადოს იმ ტონის და პოზიციის წინააღმდეგ, რომელსაც დაადგა დედა ქალაქის და პროვინციალური საბჭოთა პრესა, ოფიციალური პრესაც კი, რომლისათვისაც პასუხისმგებელია საბჭოთა კავშირის მთავრობა და რომელმაც ვერ შესძლო დაეცვა საჭირო ზომიერება. პრესის ნაწილი იქამდე მივიდა, რომ პოლონეთის ზოგიერთ ოფიციალურ (გამოტოვებულია) ბრალსა სდებს თავდამსხმელებთან თანამშრომლობაში.

პოლონეთის მთავრობამ—ნათქვამია შემდეგ ცნობაში—თავდასხმის შემდეგ დაუყოვნებლივ გადასდგა ენერგიული ნაბიჯები არა მარტო თავდასხმის ფონის გასაშუქებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, არამედ აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ შეუძლებლად გაეხადა შემდეგში ასეთი აქტები. ამ ღონისძიებებს პოლონეთის მთავრობა ატარებს და მომავალშიაც გაატარებს. ამ ღონისძიებებმა, სხვათა შორის, უკვე ჰპოვა თავისი გამოხატულება რუს ახალგაზრდობის კავშირის საქმიანობის შეწყვეტაში და მთელ რიგ პიროვნებათა დაპატიმრებაში, რომელთა შესახებ სწარმოებს სამოსამართლო გამოძიება" (ადს).

ვენის „როტე ფანე" ამჟღავნებს უნგრეთის პოლიციის პროვოკაციას

ვენა, 6 ივნისი. ვენის „როტე ფანე" განაგრძობს ცნობების გამოქვეყნებას იმის შესახებ, რომ უნგრეთის პოლიცია ემზადება ყალბი დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის ბელა კუნის საქმეზე. „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა ორი ყალბი დოკუმენტი, რომლებიც ვითომ წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატიულ „აბენდ"-ის რედაქტორის—კოლბერის წერილებს უნგრეთის ელჩისადმი ავსტრიაში. ამ ყალბი დოკუმენტებით უნდა დაემტკიცებიათ, თითქოს „აბენდ"-ი უნგრეთის მთავრობას ჰპირდება დახმარებას განსაზღვრულ ჰონორარის მიღების პირობით.

„როტე ფანე" იუწყება, რომ ამ „დოკუმენტების" წარდგენა ავსტრიის კომპარტიის მდივან შენფელდისათვის უნდოდა უნგრეთის მისიის აგენტს იმ მიზნით, რომ „როტე ფანე"-ს საშუალებით სახელი გაეტეხა „აბენდისათვის" და ამრიგად ჩაეშალა ის კამპანია, რომელსაც აწარმოებს „როტე ფანე" ბელა კუნის გასანთავისუფლებლად.

„აბენდ"-ის რედაქციამ „როტე ფანე"-ს მიერ გამომჟღავნებულ ცნობების გამო მოსთხოვა პროკურატურას იმ პირების აღმოჩენა და დასჯა, რომლებიც დამნაშავე არიან ყალბი დოკუმენტების შედგენაში. (ადს).

მისალმება ფაშიზმის ტყვეებს
რემედასის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 7 ივნისი. გამოქვეყნდა რემედასის აღმასკომის მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„იტალიის მუშათა მოძრაობის მედგარ მებრძოლებს გამოუტანეს საკატორღო განაჩენი. ეს არის განაჩენი იტალიის ყველა რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ. რემედასის აღმასკომი მილიონ მშრომელების სახელით, რომლებიც გაერთიანებული არიან ფაშიზმის და თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლის დროშის ქვეშ, მხურვალე სალამს უძღვნის სისხლიან ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლთ, ფაშისტური ბურჟუაზიის ყველა ტყვეებს; ყველა მედგარ მებრძოლთ, რომლებიც გაასამართლა განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა რომში.

მშრომელნო, იხსენით იტალიის მუშათა მოძრაობის მედგარი მებრძოლნი, ყველგან დაჰგმეთ მუშათა კლასის გაბოროტებული მტერი—ფაშიზმი, ენერგიულად განაგრძეთ თქვენი პროტესტები! მოითხოვეთ იტალიელ რევოლიუციონერ მებრძოლთა განთავისუფლება ფაშისტურ ჯალათების ხელიდან, მოითხოვეთ საგანგებო კანონებისა და განსაკუთრებული ტრიბუნალების მოსპობა". (ადს).

ინგლის-საფრანგეთი მხარს უჭერს პოლონეთს ლიტვის წინააღმდეგ

ჩემბერლენი აღშფოთებულია „ვოლდემარასის ტაქტიკით"

ჟენევა, 6 ივნისი. ჩემბერლენმა მიიღო ინგლისის პრესის წარმომადგენლები. მათთან საუბარში ჩემბერლენმა განაცხადა, რომ „ერთა ლიგის საბჭო ძლიერ აღშფოთებულია ვოლდემარასის ტაქტიკით ერთა ლიგის საბჭოს დადგენილებების" სისტემატიური საბოტაჟით.

ჩემბერლენის სიტყვით, მან ვოლდემარასს ლონდონში ყოფნის დროს უკანასკნელს განუცხადა, რომ მისი პოლიტიკა პირდაპირ ემუქრება მშვიდობიანობას და განმარტოებულ მდგომარეობაში აყენებს ლიტვას.

— მიუხედავათ ასეთი რჩევისა,—განაცხადა ჩემბერლენმა, — ლიტვამ კვლავ გადასდგა ნაბიჯი, რომელიც ნამდვილ პროვოკაციას წარმოადგენს. ლიტვის კონსტიტუციაში შეტანა მუხლის, რომ ვილნო არის ლიტვის დედა ქალაქი, ეს იგივეა ,გერმანიამ რომ სტრასბურგი გერმანიის დედა ქალაქად გამოაცხადოს". ერთა ლიგას არ შეუძლია დაუშვას ასეთი პროვოკაციული ტაქტიკის გაგრძელება. პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი სასწრაფოდ და საბოლოოდ უნდა იქნეს მოგვარებული. (ადს).

საფრანგეთის პრესა პოლონეთ ლიტვის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 6 ივნისი. საფრანგეთის პრესა კვლავ იხილავს საკითხს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ზალესკიმ პროტესტი განაცხადა ვილნოს გამოცხადების წინააღმდეგ ლიტვის დედა ქალაქად.

„ტან", სავსებით უჭერს მხარს ზალესკის პროტესტს და სწერს:

„თუმცა მოსკოვის და ბერლინის ოფიციალური წრეები, როგორც ჩანს, ვოლდემარასს აძლევენ რჩევა-დარიგებას ზომიერების შესახებ, მაგრამ ნოტების გაცვლა ბოგომოლოვსა და ზალესკის შორის გვიჩვენებს, რომ ევროპის ჩრდილოეთ-დასავლეთში მიმართავენ არაპირდაპირ მანევრებს, რათა შექმნან ნერვიული მდგომარეობა და შეარყიონ მშვიდობიანობა".

კომპარტიის ორგანო „ჰუმანიტე" სწერს:

„პოლონეთი, რომელსაც აქეზებენ დასავლეთ ევროპის ანტისაბჭოთა ძალები, ცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს ჩაყლაპოს ლიტვა. ასეთი ზრახვები სავსებით შეეფერება ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმის მიზნებს უზრუნველყონ სამხედრო ბაზა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ". (ადს).

დემონსტრაცია კომუნარების კედელთან

პარიზი, 6 ივნისი. კომპარტიის მიერ კომუნარების კედელთან მოწყობილი მანიფესტაცია დაიწყო კვირას დილით. პროცესიას წინ მიუძღოდნენ კომუნისტი დეპუტატები, კომპარტიის ცენტრალურ ორგანიზაციების წევრები, შრომის უნიტარულ კონფედერაციის აღმასკომის წევრები, „ჰუმანიტე"-ს თანამშრომლები და დემონსტრანტების ჯგუფი გვირგვინით, რომელიც გამოგზავნეს პოლიტიკურმა პატიმრებმა „სანტეს" ციხიდან, და აგრეთვე ძველი კომუნარების ჯგუფი კამელინის მეთაურობით, რომელსაც ხალხი ესალმებოდა ტაშით: „შურს ვიძიებთ 1871 წლის გმირების დაღუპვისათვის, მომავალი კომუნა აღარ დამარცხდება".

პროცესია გაიყო ოთხ კოლონად. პირველში იყვნენ უნიტარულ კონფედერაციის აღმასკომის წევრები და მდივნები, კომპარტიის სამდივნო, პარიზისა და მისი განაპირა უბნების პიონერები, მუშათა ორგანიზაციები. მეორე კოლონაში იყო ახალგაზრდობა, ანტიფაშისტურ თავდაცვის რაზმები, რემედასის პარიზის რაიონის ორგანიზაციები და საბჭოთა კავშირის მეგობართა ჯგუფი. მესამე კოლონაში იყვნენ სენის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოს წევრები, პროფკავშირთა ორგანიზაციები, ქარხანა „სიტროენ"-ის და „რენო"-ს უჯრედები და კომკავშირი. მეოთხე კოლონაში მიდიოდნენ მშენებელ მუშათა კავშირის წევრები, პარიზის რაიონის კომუნალურ ტრანსპორტის მუშათა ჯგუფი და ყოფილ ჯარისკაცთა და ახალწვეულთა ორი ჯგუფი, რომლებმაც მოაწყვეს მანიფესტაცია პენლევეს სამხედრო კანონების წინააღმდეგ. (ადს).

გერმანიის სოციალ-დემოკრატები პორტფელებისათვის ემზადებიან

ბერლინი, 6 ივნისი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ კელნში გამართულ თათბირზე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„რეიხსტაგის არჩევნების შედეგებმა გამოაშკარავა, რომ გერმანიის ხალხს სურს სოციალ-დემოკრატიამ იკისროს ხელმძღვანელობა ახალი მთავრობის შედგენაში. ცენტრალური კომიტეტი აცხადებს თანხმობას, რომ რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შეუდგეს ამისათვის საჭირო მოლაპარაკებას" (ადს).

საბერძნეთი და საბჭოთა კავშირი

ათინა, 6 ივნისი. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„საგარეო საქმეთა კომისიის მომხსენებელმა შეიტანა დეპუტატთა პალატაში წინადადება საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის შორის არსებული სავაჭრო შეთანხმების გაუქმების შესახებ, ვინაიდან ეს შეთანხმება ხელსაყრელი არ არის საბერძნეთისათვის" (ადს).

ამხ. ს. გეგეჭკორის გარდაცვალება
მთავრობისაგან



7 ივნისს, ღამის 10 ს. და 30 წ. თავის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ალექსანდრე გეგეჭკორმა. რევოლვერის ტყვია მოხვდა გულის არეში და იგი მაშინვე გარდაიცვალა.

საქართველოს ს. ს. რ. მთავრობა აცნობებს რა ამ სამწუხარო ფაქტს მუშებსა და გლეხებს, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძველი რევოლიუციონერ ამხანაგის დაკარგვის გამო, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა რესპუბლიკისა და პროლეტარული პარტიის წინაშე.

უმთავრესი მიზეზი, რამაც ამხ. გეგეჭკორი მიიყვანა თვითმკვლელობამდე, იყო მისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა, რომელიც ძალიან შეირყა სამოქალაქო ომში ჩრდილო კავკასიაში 1918 წ. დასასრულს მიღებული მძიმე ჭრილობის შემდეგ. მაშინვე მოხდენილი ოპერაცია—მარჯვენა ფეხის ამპუტაცია ხუთი წლის შემდეგ კვლავ იქნა განმეორებული. ამ ნიადაგზე ამხ. გეგეჭკორს უკანასკნელ წლებში ემჩნეოდა ძლიერი ნერვიული მღელვარება.

მიუხედავად ასეთი ავადმყოფური მდგომარეობისა, ამხ. გეგეჭკორი დაუღალავად განაგრძობდა მუშაობას და უარჰყოფდა ამხანაგების წინადადებას იმის შესახებ, რომ ხანგრძლივი ვადით დაეწყო მკურნალობა საბჭოთა კავშირის სანატორიუმებში ან საზღვარგარედ. ორი თვის წინედ მის ჯანმრთელობას დაეტყო კიდევ უფრო გაუარესება იმის გამო, რომ დაცემის დროს დაემტვრა ორჯერ მოკვეთილი ბარძაყის დანარჩენი ნაწილი. ხედავდნენ რა მის ასეთ მდგომარეობას, მისი ახლობელი ამხანაგები და მეგობრები ამას წინედ ურჩევდნენ წასულიყო ხანგრძლივ შვებულებაში სერიოზული მკურნალობისათვის. თუმცა ამხ. გეგეჭკორს სავსებით ქონდა შეგნებული თავისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ არ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ხანგრძლივად ჩამოშორებოდა მუშაობას და გადასდგა ასეთი საბედისწერო ნაბიჯი.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ და მთელი ამიერ - კავკასიის მუშურ - გლეხურ მასებმა ამხ. გეგეჭკორის სახით დაჰკარგეს ურთგულესი და უშიშარი რევოლიუციონერი, რომელმაც ახალგაზრდობიდანვე მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა განმათავისუფლებელ ბრძოლას და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეს.

დამკრძალავი კომისია

ტრაღიკულად გარდაცვალებულ ამხ. ს. გეგეჭკორის დასაკრძალავად გამოყოფილია მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ს. თოდრია, ან. დოლიძე, ვ. ბოლქვაძე, შ. მათიკაშვილი, ი. ვარძიელი, გრ. კუჭაიძე, ბ. მაჩაიძე.

პუშკინის დაბადების 129 წლის თავი

პრაღა, 6 ივნისი. პუშკინის დაბადებიდან 129 წლის შესრულების გამო ჩეხთა და რუსთა კავშირმა პრაღაში მოაწყო საზეიმო კრება პუშკინის ხსოვნის აღსანიშნავად. კრებას დაესწრნენ განათლების მინისტრი ხოჯა და სხვა გამოჩენილი თანამდებობის პირნი და აგრეთვე სამეცნიერო სამხატვრო წრეების წარმომადგენლები. კრებაზე წარმოთქმულ სიტყვებში აღნიშნავდენ რუსეთის კულტურისა და ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობას. პროფესორ ხორაკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთის კულტურა ჩეხების მონათესავე კულტურაა და მან უდიდესი როლი ითამაშა ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალურ აღორძინებაში

„იტალია"-ს მოსაძებნად

არხანგელსკი, 7 ივნისი. ყინულის მჭრელი გემი „მალიგინ"-ი ემზადება გასასვლელად „იტალია"-ს საძებნელად. 9 ივნისს ლენინგრადიდან უნდა ჩამოვიდეს ექსპედიციის უფროსი პროფესორი ვიზე, რის შემდეგ „მალიგინ"-ი დაუყოვნებლივ გავა ახალ მიწისაკენ. „მალიგინ"-ი თან წაიღებს იუნკერსის სისტემის აეროპლანს. მფრინავი ჩუხნოვსკი არხანგელსკში მოფრინდება ჰიდროაეროპლანით და „მალიგინ"-ის გასვლის შემდეგ გაფრინდება ახალ მიწისაკენ. (ადს).

მურმანსკი, 7 ივნისი. მოვიდა გემი „პერსეი", რომელიც მურმანსკიდან გავა ფრანც იოსების მიწისაკენ დირიჟაბლ „იტალია"-ს საძებნელად. ამჟამად „პერსეი" იღებს ტვირთს და ემზადება გასასვლელად. (ადს).

ოსლო, 6 ივნისი. ნორვეგიის სამხედრო სამინისტროს ცნობებით, მფრინავმა ლიუტცოვ-ხოლმმა მოახდინა საჰაერო დაზვერვა კუნძულ ნორვეგიისა და კონცხ გრეის შორის. ნობილეს ექსპედიციის კვალი არ აღმოჩნდა. (ადს).

მაქსიმ გორკი ჩამოვა საქართველოში
თბილისი, „კომუნისტი"-ს რედაქციას

მოსკოვი, 7 ივნისი. დღეს ვესაუბრე მაქსიმ გორკის, რომლის დროსაც გორკიმ განაცხადა, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიმდინარე წლის ივლისში გაემგზავროს საქართველოში. საქართველოში ყოფნის დროს ის ეწვევა თბილისს და ბათომს.

მუშიშვილი.

მოსკოვი
(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საკავშირო მუშგლეხინი ზაჰესის მშენებლობის შესახებ

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავის საერთო მოხსენებაში, რომელიც წარმოდგენილია შრომისა და თავდაცვის საბჭოში, ეხება ელექტრომშენებლობის შედეგებს წარსულ წლის განმავლობაში. მოხსენებაში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი ზაჰესის მშენებლობას.

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია აღნიშნავს, რომ ზაჰესის მშენებლობა მნიშვნელოვნად შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ საჭირო მანქანებს და ტექნიკურ მოწყობილობას სათანადო ფაბრიკა-ქარხნები დროზე ვერ ამზადებდნენ. ამასთან ერთად ზაჰესის მშენებლობის დროს არ სწარმოებდა დახარჯულ მასალის სწორი აღრიცხვა. გარდა ამისა ადგილი ჰქონდა სამუშაოთა შესრულებაზე მათი ფაქტიურ ღირებულებაზე მეტი თანხის დახარჯვას.

ბოროტმოქმედებანი ტილოს ქსოვილების სამმართველოში

მოსკოვი, 7 ივნისი. სათანადო ორგანოების მიერ დანიშნულ გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ტილოს ქსოვილების სამმართველოში ადგილი აქვს მრავალ უმსგავსოებას. სამმართველოს მთელი საწარმოო და კომერციული მუშაობა ყოფილ კაპიტალისტების ხელშია, რომელთა ფაბრიკებსაც ამჟამად აერთიანებს ტილოს ქსოვილების ტრესტები. ასეთ ყოფილ ფაბრიკანტთა რიცხვს ეკუთვნიან: მალინინი, ზოტოვი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ყოფილ ფაბრიკანტებს ტრესტებში ეჭირათ ხელმძღვანელი პოსტები. ამით აიხსნება, რომ ტრესტები სამაგლად „ხელმძღვანელობდნენ" ფაბრიკებს. ახალ წარმოებათა მუშაობა შეფერხებულია, რადგან საჭირო ნახაზები თავის დროზე არ მზადდება. მუშებს ხელფასი ეძლევათ ერთი თვის დაგვიანებით.

ამგვარ ბოროტმოქმედებათა შედეგათ მივიღეთ ის, რომ ტილოს ქსოვილების სამმართველოს მიერ გაერთიანებული 22 ფაბრიკა უნდა დადგეს ორი თვით. ეს მაშინ, როცა ბაზარი ფაბრიკატების და უმთავრესად საფეიქრო ნაწარმოების დიდ ნაკლებობას განიცდის.

მიღებულია ზომები ყოფილ ფაბრიკანტების გასაძევებლად ტილოს ქსოვილების წარმოებებიდან. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

შინამრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის საბჭოებს, რათა ისინი შეუდგნენ შინამრეწველობის ხუთწლიან გეგმის შედგენას.

დირიჟორი გოლოვანოვი დათხოვნილია დიდი ოპერის თეატრიდან

მოსკოვი, 7 ივნისი. როგორც უკვე არაერთხელ გადმოგცემდით მოსკოვის დიდი ოპერის თეატრის დირიჟორ გოლოვანოვის ირგვლივ უკანასკნელ ხანებში მრავალ სამართლიან უკმაყოფილებამ იჩინა თავი, რამაც ფართე გამოხმაურება ჰპოვა პრესაშიც. საქმეში ჩაერია პროფესიონალურ კავშირისა და მთავრობის ორგანოები.

ხელოვნების მუშაკთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ გამგეობამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა დიდი ოპერის თეატრში შექმნილ მდგომარეობის გამოკვლევა. პროფკავშირის კომისია, სათანადო კვლევა-ძიების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა დიდი ოპერის თეატრიდან მოხსნილ იქნას დირიჟორი გოლოვანოვი, როგორც ანტისაზოგადოებრივი ელემენტი.

ამავე საქმეზე გამოყოფილ მთავრობის კომისიამაც მიზანშეწონილად აღიარა გოლოვანოვის თანამდებობიდან განთავისუფლება. კომისიის დადგენილების თანახმად განათლების სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება გოლოვანოვის დიდი ოპერის თეატრიდან მოხსნის შესახებ. დიდი ოპერის დირექციამ უკვე გასცა ბრძანება კომისარიატის განკარგულების აღსასრულებლად.

სცენის მუშაკთა და მოსკოვის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წრეებში მთავრობის ამგვარ ზომას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმური სალამი სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ

საქ. სახკომსაბჭოს მისალმება



ამხ. ალ. ჯატიევი

სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე

დღეს სრულდება რვა წელიწადი, რაც სამხრეთ-ოსეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამის გამო საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმ. კომიტეტს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

მენშევიკების ბატონობიდან განთავისუფლების რვა წლის თავზე, საქართველოს სახკომსაბჭო მხურვალე სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ. სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა საქართველოს მშრომელებთან ერთად 1921 წელში საბოლოოთ დაამხეს მენშევიკური დესპოტიზმი. სამხრეთ ოსეთი წარმატებით აწარმოებს ახალ სოციალისტურ მშენებლობას კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე. მიღწეული შედეგები ნათელყოფენ, რომ პატარა ერებს მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს სრულ დამოუკიდებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ-ოსეთს!

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სახალხო განათლება სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის ეკონომიური და კულტურული აღორძინება მჭიდროთ დაკავშირებულია სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ სახალხო განათლების საქმეს სამხრეთ-ოსეთში, დავინახავთ, რომ სკოლების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

ასე, მაგალითად, 1921-22 წელში პირველი და მეორე საფეხურის სკოლა სამხრეთ-ოსეთში იყო სულ 44, რომლებშიაც სწავლობდა 2324 კაცი, 1922-23 წელში სკოლების რიცხვი გაიზარდა 50-დე, 1923-24 წელში იყო 68 სკოლა, 1924-25 წელში კი—85, რომლებშიაც უკვე სწავლობდა 4369 ბავში;

1926-27 წელში სკოლების რიცხვმა მიაღწია 119-დე; აქედან ოთხწლედი იყო—115, შვიდწლედი—2 და ცხრაწლედი—2. აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობისა და მენშევიკების დროს სამხრეთ-ოსეთში სრულებით არ ყოფილა საბავშო დაწესებულებები და პროფტეხნიკური სასწავლებლები. ამჟამად კი სამხრეთ-ოსეთში არსებობს ერთი საბავშო სახლი, 1 პედაგოგიური ტეხნიკუმი, 2 პროფსკოლა და 3 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

სამხრეთ-ოსეთში სახალხო განათლების საქმის განსავითარებლად საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილია სამხრეთ-ოსეთში საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმა, რომლის მიხედვით 7 წლის განმავლობაში (1928-9—1934-5) სამხრეთ-ოსეთში უნდა გაიხსნას 39 ახალი სკოლა 182 ჯგუფით, რისთვისაც საჭირო იქნება 396 მასწავლებლის მომზადება. გეგმის მიხედვით, სულ ახალი ჯგუფების გასახსნელად საჭირო იქნება 118.300 მანეთი, არსებულ ჯგუფების შესანახად 1.477.450 მან., სულ კი შვიდი წლის განმავლობაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების განსახორციელებლად საჭირო იქნება 1.595.750 მანეთი.

გარდა სკოლების გახსნისა, სამხრეთ-ოსეთში დიდი ყურადღება ექცევა სხვა გვარ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასაც. სამხრეთ-ოსეთში იგზავნება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციები, სწარმოებს ახალი ტერმინოლოგიის შემუშავება და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოსეთისათვის ახალი ალფაბეტის (ლათინური) შედგენა, რომელიც სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა 1925 წელს. ამჟამად ახალი შრიფტით ცხინვალში გამოდის ოსური გაზეთი, რომლის ტირაჟი თანდათან იზრდება.

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

6 ივნისის დილის სხდომა

ბრალდებულ კუზმას დაკითხვა

მოსკოვი, 7 ივნისი. 6 ივნისს დილის სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულ კუზმას ვლასოვკაში მუშაობის მესამე მომენტის გამორკვევას. კითხვებზე ვლასოვკაში მუშაობის შესახებ ბრალდებული იძლევა ვრცელ პასუხს ტეხნიკურ დეტალების შესახებ და გაურბის პასუხს. ბრალდებული კუზმა ამტკიცებს, რომ დამუშავების სისტემა, რომელიც მან შემოიღო ვლასოვის მაღაროების სამმართველოს არტემის სახელობის მაღაროში, კომერციულად ხელსაყრელი აღმოჩნდა. ამავე დროს, არტემის სახელობის მაღაროში შემოღებულ დამუშავების სისტემის გამოკვლევის შედეგათ სასამართლომ გამოარკვია ორი უდავო ფაქტი, რომლებსაც სცნობს თვით ბრალდებულიც: რომ უკეთესი პროდუქციის მოპოვება შემცირდა და რომ იმ ნახშირის ხარისხი, რომელიც გადიოდა ბაზარზე, გაუარესდა.

შემდეგ სასამართლო გადადის ქვა-ნახშირის დახარისხების საკითხზე არტემის სახელობის მაღაროში. ბრალდებული აღიარებს, რომ ნახშირის ხარისხი გაუარესდა ცუდი დახარისხების გამო. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო არკვევს საკითხს—შეეფერებოდა თუ არა ნახშირის დახარისხების ტემპი არტემის სახელობის მაღაროში ნახშირის ამოღებას,—კუზმას სისტემის მიხედვით. ირკვევა, რომ დახარისხების ტემპი იყო უფრო ნელი, ვინემ ამას მოითხოვდა ამოღებულ ნახშირის რაოდენობა. კითხვაზე დახარისხების გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ, ბრალდებული მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლევა.

დახარისხების დარგში წარმოებულ მუშაობის გამოსარკვევად სასამართლომ დაჰკითხა არტემის სახელობის მაღაროს ყოფილ გამგეს ბრალდებულ **გორლოვს**. ის ამბობს, რომ დახარისხება 1924 წელში არ გაუმჯობესებულა. დახარისხების დროს პროდუქცია ეჭვს გარეშეა ფუჭდებოდა, ზიანი იყო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ ეს ჰგონია კუზმას. მუშაობის გაუმჯობესება შეიძლებოდა მხოლოდ დახარისხების მოწესრიგებით, ხოლო ამისთვის საჭირო იყო ნახშირის ამოღების იმ სისტემის შეცვლა, რომელიც შემოიღო კუზმამ. გორლოვის სიტყვით, მთავარი ინჟინერის კუზმას წინაშე დასმული იყო დახარისხების მეთოდის რადიკალურად შეცვლის, მაგრამ საამისოდ არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

შემდეგ სასამართლო არკვევს საკითხს—ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ დახარისხება არტემის სახელობის მაღაროში არ შეეფერებოდა ნახშირის ამოღებას.

ბრალდებული კუზმა ამტკიცებს, რომ მან არა ერთხელ განუცხადა დონუგოლის გამგეობას, რომ საჭიროა ახალი დამხარისხებლის მოწყობა. ამ ფაქტის გამოსარკვევად დაკითხულ იქნა ბრალდებული **ბოიარშინოვი**, რომელიც იმ დროს დონუგოლის ტეხნიკურ დირექტორად იყო. ბრალდებულ კუზმასა და ბოიარშინოვის ერთდროულ დაკითხვის გზით, სასამართლო არკვევს, რომ 1926 წლ. 24 მაისს დონუგოლის დირექტორის სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება ახალი დამხარისხებლის მოწყობის შესახებ, მაგრამ ამ დადგენილებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა—თითქოსდაც კი დაეკმაყოფილებიათ მემაღაროები.

სასამართლო არკვევს ვლასოვსკის ელექტრო-სადგურისათვის საზღვარგარეთ მოწყობილობის დაკვეთის საკითხს.

ბრალდებულ კუზმა უჩვენებს, რომ ამ სადგურისათვის დაუკვეთეს სრულიად შეუფერებელი მოწყობილობა. მაგალითად, 4.000 ან 6.000 კილოვატიანი ტურბინის მაგიერ ელექტრო-სადგურმა მიიღო 5.000 კილოვატიანი ტურბინა. ძველი ტურბინები ვლასოვსკის ელექტრო-სადგურზე იყო 12 ატმოსფერული წოლვის, საზღვარგარეთიდან კი მიღებულ იქნა 15 ატმოსფერული წოლვის. ძველი ქვაბები იყო ერთი 13-ის, ხოლო მეორე 14 ატმოსფეროს წოლვის, ახალი ქვაბები კი 16 ატმოსფეროლი წოლვის.

ბრალდებული **კუზმა** არ სცნობს თავს დამნაშავედ ამ საქმეში, რადგან მოწყობილობა დაუკვეთა არა მაღაროების სამმართველომ, არამედ „დონუგოლმა“. დამზიანებლებმა ვლასოვკაში დაანგრიეს ნალიხა და ლურსმნის ქარხნები და საბრიკეტო ფაბრიკა. ქარხნების დანგრევაში კუზმა არ სცნობს თავს დამნაშავედ, ამტკიცებს რა, რომ ეს მოხდა მის მისვლამდე ვლასოვკაში. სულ სხვაა საბრიკეტო ფაბრიკა, მის დანგრევასთან მას აქვს დამოკიდებულება და აშკარად აღიარებს ამას. საბრიკეტო ფაბრიკიდან კუზმამ, მისი სიტყვით წაიღო ყველა ელევატორები, ტრანსმისიები და საერთოდ მთელი სატრანსპორტო მექანიზმები. მაგრამ, ამაში ის ბრალს სდებს „დონუგოლს“, რომლის ნებართვით ის სჩადიოდა ყველაფერ ამას. ელევატორები საჭირო იყო მაღაროსათვის, საბრიკეტო ფაბრიკა არ მუშაობდა და „დონუგოლმა“ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ფაბრიკაში დარჩა მხოლოდ პრესები და ღუმელები. კუზმას ბრძანებით, ფაბრიკის კარებზე და ფანჯრებზე დააჭედეს ფიცრები და მოხსნეს მცველი, დარჩენილი მოწყობილობა, რის შესახებაც უკვე ილაპარაკა მოწმე ბეზმა, საბოლოოდ დაიტაცეს. ბეზი ელაპარაკა ამის შესახებ კუზმას და განუცხადა მას, რომ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას საბრიკეტო ფაბრიკისათვის, მაგრამ კუზმამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია მის განცხადებას.

ამხ. კრილენკო გადადის საბურღავი მანქანების საკითხზე, რამდენი იყო ასეთი მანქანები მაღაროში და რა მდგომარეობაში იყო ისინი?

კუზმა უპასუხებს, რომ მაღაროში იყო 18 სულივანის მანქანა, 4—კნაპის, 2—ვოლის სისტემის მანქანა და 5 სისკოვის მანქანა. უნდა ითქვას, რომ ეს მანქანები საბურღავი მანქანები კი არ იყო, არამედ მხოლოდ მოსამზადებელი ტიპის მანქანები. ორი საცდელ მუშაობაში იყო, სამი კი—საწყობში იდგა. ვოლის მანქანები მაღაროსათვის ახალი იყო. ეს მანქანები ამუშავეს, მაგრამ, კუზმას სიტყვით, ისინი უვარგისი აღმოჩნდა.

„ვინ მიაწოდა მაღაროს ეს მანქანები?“—ეკითხება ბრალდებულს ამხ. კრილენკო.

— ეს მანქანები მოგვივიდა „დონუგოლიდან“—უპასუხებს კუზმა—მექანიზაციის განყოფილებიდან.

საერთოდ კუზმა აცხადებს, რომ ის მანქანებს იბარებდა რაოდენობის მიხედვით და თუ როგორ მანქანებს გამოუგზავნიდნენ მას, ეს არასოდეს არ იცოდა. „დონუგოლს“ არასოდეს უკითხავს, თუ როგორი მანქანები ესაჭიროებოდა მაღაროს.

— თუმცა აღნიშნავს გზადაგზა ამხ. კრილენკო—გორლეცკი მიდიოდა „დონუგოლიდან“ კუზმასთან და სადილობდა მასთან.

— „არც კნაპის მანქანები გითხოვიათ თქვენ გორლეცკისათვის?“—ეკითხება ამხ. კრილენკო.

— არა, მე მხოლოდ ვთხოვე გამოეგზავნა მანქანები ზედაპირის ბურღვისათვის.

ამ თხოვნის საპასუხოდ, კუზმას სიტყვით, მას გამოუგზავნეს კნაპის მანქანები. თუ რას წარმოადგენდა ეს მანქანები, კუზმამ, როგორც თითონ აცხადებს, მხოლოდ პროსპექტებიდან იცოდა. ამას გარდა 1925 წლის ზაფხულში ვლასოვკაში მოვიდა კნაპის ფირმის ინჟენერი **კესტერი**. კესტერი აქებდა თავის მანქანებს და ამბობდა: „ეს მანქანები თქვენს საბურღავებზე იმუშავებსო“.

კნაპის მანქანები მაღაროში მიღებულ იქნა კუზმას სიტყვებით, ერთი წლის შემდეგ კესტერის ჩამოსვლიდან. მანქანებს მოჰყვენ ფირმის მონტიორები. მათი გვარები კუზმას აღარ ახსოვს. მაღაროში ისინი დაახლოებით სამ კვირას დარჩნენ. მათ შემდეგ ჩამოვიდა ფირმის მეორე ინჟენერი **ზეებოლდი**. ამ დროს მანქანებს უკვე სცდიდნენ მელეხობის ფენაზე.

— „რა შედეგები მოჰყვა ამ გამოცდას“—ეკითხება ამხ. **კრილენკო**.

— უარყოფითი—აცხადებს ბრალდებული. მანქანები უვარგისი აღმოჩნდა ამ ფენისათვის.

— შესდგა თუ არა ამის გამო რაიმე აქტი?

კუზმა აცხადებს, რომ ეს მას არ ახსოვს. შეიძლება ასეთი აქტი შეადგინეს, მაგრამ ეს მან არ იცის.

საბურღავი მანქანების საკითხის გამოძიების წესით ბრალდებულ **ბადშტიბერის** დამცველი **დალმატოვსკი** მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით, რომ გამოქვეყნებულ იქნას კნაპის ფირმის მანქანების მუშაობის ზოგი დახასიათებანი, რომლებიც დართული აქვს საქმეს, დამცველი ბადშტიბერს უწოდებს კნაპის ფირმის წარმომადგენელს.

ამასთან დაკავშირებით სასამართლოს თავმჯდომარე **ვიშინსკი** იმეორებს იმ განმარტებას, რომელიც უკვე გააკეთა მან პროცესის დასაწყისში: კნაპის ფირმა არ ზის საბრალდებულო სკამზე, ჩვენ კნაპის მანქანას როდი ვასამართლებთ. ჩვენ არც ბადშტიბერი, არც რომელიმე სხვა არ მიგვაჩნია ამ ფირმის წარმომადგენლად. ჩვენთვის ისინი არიან მხოლოდ განსაზღვრული პირები, რომლებსაც წარდგენილი აქვს გარკვეული ბრალდება.

კუზმა განაგრძობს თავის ჩვენებას და უბრუნდება თავის ნაცნობობას **კესტერთან**. კესტერმა ორჯერ ისადილა მასთან. **ზეებოლდი** რამოდენიმეჯერ იყო მასთან საქმეზე.

— ხომ არ მოლაპარაკებიხართ თქვენ კესტერს საზღვარგარეთ შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ?—ეკითხება კუზმას ამხ. კრილენკო.

— დიახ, კესტერს მოველაპარაკე,—ამბობს ბრალდებული,—მინდოდა მიმეღო მივლინება, მენახა რურის ოლქი და დამეთვალიერებია მაღაროები. ამიტომ გამოვართვი კესტერს მისამართი. მე იმედი მქონდა, რომ ის, როგორც ინჟენერი, დამეხმარებოდა მაღაროების მოწყობილობის გაცნობაში.

იმ გარემოებათა გამოსარკვევად, რომელშიაც მოხდა კნაპის მანქანების მიღება, კრილენკო ეკითხება ბადშტიბერს, თუ რა იცის მან კუზმას მატერიალური დაინტერესების შესახებ კნაპის მანქანების მიღებაში.

ბადშტიბერი უპასუხებს, რომ ვლასოვკაში ის კუზმას არ იცნობდა, იყო შემთხვევა, როდესაც მან უარი სთქვა ხელიმოეწერა მანქანების ვარგისობის დამადასტურებელ დოკუმენტზე, მაგრამ ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ვოროვსკის სახელობის მაღაროში და არა ვლასოვკაში.

შემდეგ **ბადშტიბერი** მოუთხრობს სასამართლოს, რომ **კესტერმა** დაიბარა ის სტალინოში და გალანძღა იმისათვის, რომ ფირმის ინტერესებს არ იცავს, როდესაც ხელს აწერ აქტზე მანქანების უვარგისობის შესახებ. (ასეთ აქტზე ბადშტიბერმა ერთხელ მოაწერა ხელი ბუტოვკაში). როდესაც დამშვიდდა, კესტერმა სთქვა, რომ შესდგება ახალი კომისია, კუზმას მივცემ 2.500 მანეთს და ყველაფერი კარგად მოგვარდებაო. ასეთივე ლაპარაკი ჰქონდა ბადშტიბერს აგრეთვე ბუტოვკაშიაც. კესტერი ისევ ესაყვედურებოდა მას და ამბობდა, რომ მანქანების მიღება ძლიერ ძვირი დამიჯდაო. ამას შემდეგ, უკვე ხარკოვში, **ბადშტიბერი** შეხვდა **ზეებოლდს**, რომელმაც სთქვა, რომ მანქანების მიღება უკვე შესდგა და ამისათვის კუზმას მიეცა—2.000 მანეთიო. პირველი აქტი უვარგისობის შესახებ თითქოს დაიწვა.

მთელ რიგ გარემოებათა გამოსარკვევად სასამართლომ გამოუძახა ბრალდებულ **ბაშკინს**, რომელიც აცხადებს, რომ კესტერი ვლასოვკაში ჩამოვიდა 1926 წლის ზაფხულში. მან იცის, რომ კესტერი კუზმასთან ერთად იყო შახტში, რომ მათ ერთად გადაიღეს სურათი, და რომ კესტერი დადიოდა კუზმასთან. კესტერმა ერთხელ ბაშკინთან ლაპარაკის დროს სთქვა, რომ ის დაინტერესებულია იმათ, რომ მისი ფირმის მანქანები მიღებულ იქნას დონბასში; ის აგრეთვე ამბობდა, რომ გერმანიაში მიღებულია ინჟენერებისათვის „ტანტიემის“ მიცემა მანქანების მიღების დროს. **ბაშკინმა** მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ კესტერს განზრახული ჰქონდა ასეთივე „ტანტიემა“ მიეცა კუზმასთვისაც; მისცა თუ არა, ბაშკინს ამის თქმა არ შეუძლია.

სასამართლო აქვეყნებს ბაშკინის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას რომელშიაც ბაშკინი ამბობს, რომ კესტერისაგან კუზმამ 2.000 მანეთი მიიღო. ეხლა ბაშკინი ამას უარჰყოფს.

მთელ რიგ გარემოებათა გამოსარკვევის მიზნით, დამცველებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ „იუგოსტალს“ მოეთხოვოს ცნობები—შეიძინა თუ არა მან 1925 წლიდან 1927 წლამდე კნაპის მანქანები, იყო თუ არა შექმნილი განსაკუთრებული კომისია ამ მანქანების მისაღებად და შედიოდა თუ არა კუზმა ამ კომისიის შემადგენლობაში.

სასამართლომ დააკმაყოფილა დამცველთა შუამდგომლობა.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

6 ივნისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულ კუზმას მუშაობის გამოძიებას სკაჩინსკის ანტრაციტის მაღაროში, პარამონოვის ყოფილ მამულ ნესვეტაიში. ნესვეტაიში მუშაობის დროს კუზმას ბრალად ედება მაღაროს დამუშავების ისეთი პროექტის შედგენა, რომელიც იწვევდა ქვანახშირის ხარისხის გაუარესებას და ფერხდება მაღაროს ამუშავებას. კუზმას მოსვლამდე, არსებობდა ნესვეტაის მაღაროს დამუშავების მეორე პროექტი, რომელიც შედგენილი იყო ინჟენერ **კალინინის** მიერ, პროფესორ **სკაჩინსკის**, და აგრეთვე ბრალდებულ **ბერეზოვსკის**, მონაწილეობით. კალინინის და ბერეზოვსკის პროექტი პირველად მოიწონა „დონუგოლის“ ტეხნიკურმა საბჭომ, მაგრამ კუზმას დაჟინებული მოთხოვნით, ეს პროექტი უარყოფილ იქნა და ტეხნიკურმა საბჭომ მის მაგიერ მიიღო კუზმას პროექტი.

ამხ. **კრილენკო** ბრალდებულის დაკითხვის საშუალებით სცდილობს გამოარკვიოს თუ რაში მდგომარეობდა კუზმას პროექტის უპირატესობა.

კუზმა ამბობს, რომ პროექტების განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ კუზმას პროექტის მიხედვით მაღაროდან შეიძლებოდა 60 მილიონი ფუთი ქვანახშირის ამოღება, კალინინის პროექტით კი—[illegible] მილიონი ფუთის.

ბრალდებული კატეგორიულად აცხადებს, რომ კალინინის სისტემას წინ ელობებოდა ობიექტიურად დაუძლეველი დაბრკოლებები ზედაპირზე ქვანახშირის ამოღების საქმეში.

— როდის ფიქრობდით თქვენ—ეკითხება ბრალდებულს ამხ. **კრილენკო**,—ამოგეღოთ მაღაროდან თუნდაც პირველი ფუთი ქვანახშირი თქვენი პროექტის მიხედვით?“

— დაახლოებით 1929 წლის 1 ოქტომბერსა და 1930 წლის 1 იანვარს შორის.

„სწორედ ისევ ის მიუვა—ამბობს ამხ. კრილენკო,—1929 წლის ბოლო და 1930 წლის დასაწყისი—აი ის ობიექტიურად გარკვეული მომენტი, როდესაც სკაჩინსკის მაღარო, მოწყობილი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ქვანახშირის იმავე პროცენტით, რომელიც გათვალისწინებული იყო კალინინის პირველი პროექტით, მაგრამ 40—50 პროცენტით გადიდებული ამოღებით, უნდა გადასულიყო იმის განკარგულებაში, ვინც მას უწინ ფლობდა“.

იმ მიზნით, რათა შემოწმებული ყოფილიყო კუზმას განცხადებები მისი პროექტის ღირსებათა და უარყოფილი პროექტის დეფექტების შესახებ, სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულებს **კალინინს**, **ბერეზოვსკის**, აგრეთვე ბრალდებულ **მატოვს**, რომელიც განაგებდა ახალ აღმშენებლობას „დონუგოლში“ და „დონუგოლის“ ყოფილ ტეხნიკურ დირექტორ **ბოიარშინოვს**.

კალინინი ადასტურებს სასამართლოს წინაშე, რომ სკაჩინსკის მაღაროს დამუშავების შესახებ კუზმას მიერ შედგენილ პროექტში მიღებულია იგივე სისტემა ქვანახშირის ხარისხის გაუარესებისა, რომელიც ჰქონდა მიღებული კუზმას ვლასოვკაში. ასევე უარყოფითად ახასიათებენ კუზმას პროექტს დანარჩენი ბრალდებულებიც, რომლებიც დაკითხულ იქნენ ამ საქმეზე.

ბრალდებულის დამცველი **ლევენბერგი** შუამდგომლობს ტეხნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ კუზმას და კალინინ-ბერეზოვსკის პროექტების შესადარებლად, ვინაიდან დამცველთა აზრით პროექტების დაფასება შეუძლებელია ბრალდებულთა ჩვენების მიხედვით. ბრალდება მხარს უჭერს ამ წინადადებას.

სასამართლო აკმაყოფილებს დამცველთა შუამდგომლობას. მხარეებს წინადადება მიეცა წარმოადგინონ პროექტები, რომლებსაც განიხილავს ექსპერტიზა.

კუზმა კატეგორიულად უარყოფს თავის მონაწილეობას კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციაში.

მიუხედავად ამისა, იმას, რასაც კატეგორიულად უარყოფს კუზმა, არა ნაკლებ კატეგორიულად ამტკიცებს სხვები. სასამართლომ გამოიძახა ბრალდებული ბერეზოვსკი.

— გვითხარით, ბერეზოვსკი, თქვენ არ იცნობდით კუზმას, როგორც დამზიანებელთა ორგანიზაციის წევრს?—ეკითხება ბრალმდებელი როგინსკი.

— ვიცნობდი —უპასუხებს ბერეზოვსკი—და დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს როგორ, სად და როდის შეხვდა ის კუზმას, რა ლაპარაკი ჰქონდა მასთან ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. ბერეზოვსკი არ მალავს, რომ მას ჰქონდა განსაზღვრული მიზანი—კუზმას გადაყვანა ორგანიზაციაში. კუზმა მალე მიუხვდა მას და შედარებით ადვილად დასთანხმდა ყველაფერზე. კიდევ მეტი, ის, თითქმის მოელოდა ამ ლაპარაკს. ბერეზოვსკი ირწმუნება, რომ მას საუბარი ჰქონდა კუზმასთან იმ ჯილდოს შესახებ, რომელსაც ის მიიღებს საზიანო მუშაობისათვის და კუზმას მშვენივრად ესმოდა, თუ რაზე სთანხმდებოდა ის. მატერიალური პერსპექტივები მისთვის გარკვეული იყო და, ალბათ, ის დაინტერესებულიც იყო ამაში. კუზმას ესმოდა აგრეთვე თავისი ამოცანები. ბერეზოვსკი ამბობს, რომ 1925 წლიდან 1926 წლის ბოლომდე მან კუზმას გადასცა 30.000 მან., აქედან კუზმას პირადათ თავისთვის უნდა მიეღო 6.000 მან., ხოლო დანარჩენი თანხა უნდა გაენაწილებია თავის თანამოაზრეთა შორის ვლასოვის მაღაროების სამმართველოში.

იმავე კითხვას კუზმას მონაწილეობის შესახებ კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციაში როგინსკი აძლევს სხვა ბრალდებულებს. სასამართლოს წინაშე წარსდგა ბეკინი, კალგანოვი, ბრატანოვსკი, სოკოლოვი, მატოვი, ბოიარინოვი, ბუდნი, სუშევსკი და დეტერი.

მათი ჩვენებანი უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში: კუზმა იყო კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრი, ასრულებდა საზიანო მუშაობას და ამისათვის ღებულობდა გასამრჯელოს.

კერძოდ. ბაშკინი ამტკიცებს, რომ კუზმა მას აძლევდა განსაზღვრულ დავალებებს და 1925—26 წელში მან ამ დავალებების შესრულებისათვის კუზმასაგან მიიღო 5.000 მანეთამდე. კალგანოვი ისე, როგორც ყოველთვის, მიუთითებს ბერეზოვსკიზე,—კუზმას მონაწილეობის შესახებ მას აცნობა ბერეზოვსკიმ. ამავე დროს, კალგანოვი დასძენს, რომ ბაშკინს ჯერ ის აძლევდა ფულს, ხოლო შემდეგ ბაშკინი გასამრჯელოს ღებულობდა კუზმასაგან. ბრატანოვსკი აცხადებს, რომ მას შეხვედრია კუზმას გვარი გაცემულ თანხების იმ სიაში, რომელიც ორგანიზაციამ შემოიღო სწორი ანგარიშების შექმნის მიზნით. სოკოლოვს მოჰყავს მთელი რიგი საბუთი იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ სთვლიდა ის კუზმას ორგანიზაციის წევრად. ორგანიზაციის წევრად სთვლიდენ მას აგრეთვე მატოვი და ბოიარინოვი.

იცნობდა თუ არა კუზმა დვორჟანჩიკს? ამ კითხვაზე კუზმა უარყოფით პასუხს აძლევს. საკვირველია, რომ ცნობილ სამთამადნო ინჟენერს არ გაუგონია სამხრეთ რუსეთის ერთერთი მსხვილი ქვანახშირის მრეწველის დვორჟანჩიკის სახელი.

მიგიღიათ თუ არა თქვენ დვორჟანჩიკისაგან წერილი? ეკითხება ბრალდებულს როგინსკი.

კუზმა კატეგორიულად უარყოფს ამას.

სასამართლომ გამოიყვანა ბრალდებული ბუდნი.

გადაეცით თუ არა თქვენ კუზმას წერილი დვორჟანჩიკისაგან? —ეკითხება მას როგინსკი.

დიახ, უპასუხებს ბუდნი—ერთი წერილი დვორჟანჩიკისაგან მე გადავეცი კუზმას. ეს იყო მგონი 1923 წელს. მაშინ მე კუზმას არ ვიცნობდი და წერილი გადავეცი სუშევსკის ხელით.

სუშევსკი ადასტურებს ბუდნის ჩვენებას. წერილი კუზმასთვის მას მართლაც გადასცა ბუდნიმ, ხოლო მან ჩააბარა კუზმას. სუშევსკის მხოლოდ არ ახსოვს კარგათ წერილი გადასცა კუზმას პირადათ, თუ შადლუნის ხელით.

კუზმა კი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მან „არაფერი არ იცის, არაფერი არ გაუგონია, არავისთან არ ჰქონია ლაპარაკი და არ მიუღია წერილები“.

სახელმწიფო ბრალმდებელი გადადის მეორე კითხვაზე—რისთვის ჰკრებდა კუზმა ცნობებს საზღვარგარეთ მივლინებაში გამგზავრების წინ და რა ცნობები იყო ეს. კუზმა უპასუხებს, „რომ ის აპირებდა ამერიკაში გამგზავრებას პროფესორთა და ინჟენერთა კომისიასთან ერთად. პოლონეთში გავლას ის სრულიადაც არ ფიქრობდა.

ბრალდებული მატოვი უპასუხებს კითხვაზე —რა ცნობებს ჰკრებდა კუზმა—და გარკვეულად აცხადებს, რომ ეს იყო ინფორმაციული ხასიათის ცნობები, რომლებიც საინტერესო იყო არა იმდენად კუზმასთვის, როგორც კომისიის წევრისთვის, რამდენადაც იმ ორგანიზაციებისათვის საზღვარგარეთ, რომლებთანაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ მავნებლებს.

„ვისგან შესდგებოდა ეს ორგანიზაციები?“ —ეკითხება მას ამხ. ვიშინსკი.

ყოფილ მეპატრონეებისაგან—უპასუხებს მატოვი.

„შეიძლებოდა თუ არა, რომ ეს ცნობები ხელში ჩავარდნოდა დვორჟანჩიკს?“.

— დიახ, შეიძლებოდა, იმიტომ, რომ მას აინტერესებდა ასეთი ცნობები.

ამით თავდება საღამოს სხდომა.

მაქსიმ გორკი მუშკორებთან

მოსკოვი, 7 ივნისი. 6 ივნისს გორკიმ დაათვალიერა შრომის ცენტრალური ინსტიტუტი, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდა იმ კაბინეტით, რომელშიაც დადგმულია განსაკუთრებული მოწყობილობანი ზეინკლებისათვის ხელობის შესასწავლად.

საღამოს შესდგა გორკის შეხვედრა მუშკორებთან, რომლებსაც გორკიმ წაუკითხა თავისი წერილი იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ის მწერლად. შემდეგ გორკიმ პასუხი გასცა მუშკორების მრავალრიცხოვან წერილობით შეკითხვებზე.

ამხ. ბუხარინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ გორკი არ უნდა დავღალოთ საზეიმო შეხვედრებით და სიტყვებით და საშუალება უნდა მივსცეთ მას გაეცნოს საბჭოთა ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებსო. (ადს).

რუსეთ-ფინეთის მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის და ფინეთის ხეზე მომუშავეთა კავშირის შორის მოხდა წინასწარი შეთანხმება რუსეთ-ფინეთის ხეზე მომუშავეთა მთლიანობის კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტის შექმნის შემდეგ დადებულ იქნება განსაკუთრებული ხელშეკრულობა გაფიცვების და კონფლიქტების დროს ურთიერთდახმარების შესახებ.

გოლოვანოვის დათხოვნა

მოსკოვი, 7 ივნისი. მთავრობის კომისიის დადგენილების გამო, განათლების სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორ გოლოვანოვის დათხოვნის შესახებ. 6 ივნისს დიდი თეატრის დირექციამ გასცა სათანადო ბრძანება (ადს).

მუშკოოპის რწმუნებულთა მე-13 ყრილობა

გუშინ საღამოს თბილისის მუშკოოპის ცენტრალურ სამმართველოში გაიხსნა მუშკოოპის რწმუნებულთა მეცამეტე ყრილობა. პრეზიდიუმის არჩევის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა გადავიდა მოხსენების მოსმენაზე.

პურის განყოფილების და სათბობი მასალის სექციის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ძაგანია.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშკოოპს ჰქონდა 222 პურის გამსაღებელი პუნქტი, ხოლო 1928 წლის 1 აპრილისათვის 288 პუნქტი.

გასულ საანგარიშო წლის მეორე ნახევარში მუშკოოპს გამოუცხვია და გაუსაღებია 482.377 ფუთი პური, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1.118.479 ფუთი.

გამგეობის მიერ დამტკიცებულია პურის საცხობი ქარხნის პროექტი. ქარხანა აგებული იქნება ორჯონიკიძის და ფეიერვერკის ქუჩების კუთხეში. ქარხნის შენობის აგება ჯდება 200.000 მან., ხოლო მანქანები და მთელი მოწყობილობა 150.000 მანეთი. აღნიშნული ქარხანა დღეში გამოაცხობს 1.500 ფუთ პურს. ამ რაოდენობის გამოცხობას ამჟამად სჭირდება 250 კაცი, ხოლო ქარხანაში იმუშავებს მხოლოდ 75 კაცი. მანქანები თითქმის ყველა მიღებულია. კუსტარული წესით 1 ფუთი პურის ცხობა ჯდება 1 მან. 26 კაპ. ხოლო ქარხანაში დაჯდება—85,5 კაპ.

მუშკოოპის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ქართული პურის მექანიკურათ ცხობა და [illegible] თონეები გააერთიანოს ფართო შენობებში. თვითეული გაერთიანებული თონეების შენობის მოწყობა ჯდება 20.000 მან.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, თბილისის თვითეულ მცხოვრების პურის ნორმათ აღებულია 1,3 გირვანქა. ამ ვარაუდით თბილისის მოსახლეობისთვის დღიურათ უნდა ცხვებოდეს 7.000 ფუთი პური.

გამოკვლევით დამტკიცდა, რომ თბილისის მახლობელ სოფლებს დღიურათ გააქვთ თბილისიდან 1.830 ფუთამდე პური.

ამის გამო დღიური ნორმა გადიდებულია და ნაცვლად 7100 ფუთისა დღიურათ ცხვება 9.000 ფუთი პური.

სათბობი სექციის მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში სათბობმა სექციამ მოსახლეობის შორის გაანაწილა 340.000 ფუთი ნავთი, 11.000 ფუთი ბენზინი, 65.000 ფუთი ნახშირი და სხვ.

სექციის ბრუნვა აღნიშნულ პერიოდში უდრის 621.445 მან.; საოპერაციო გეგმა შესრულებულია 22 პროცენტის გადამეტებით.

სათბობი მასალის სარეალიზაციოთ მუშკოოპის განკარგულებაშია 25 მოძრავი ლუქანი (ბოჭკები), 110 ნავთის ხელზე დამტარებელი, 1 ნახშირის საწყობი და 3 ნახშირის დამტარებელი ცხენით.

მუშკოოპის წევრთათვის მომავალი ზამთრისათვის სატყეო ტრესტმა უნდა გადასცეს მუშკოოპს 5.000 კუბიკური საჟენი შეშა, მაგრამ შეშის დამზადების რაიონების გამოკვლევამ სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და მომავალ სეზონში შესაძლებელია ადგილი ექნეს შეშის ნაკლებობას.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი.

კოლმეურნეობათა საკავშ. ყრილობა

ამხ. კალინინის მოხსენება

მოსკოვი, 7 ივნისი. კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში ამხ. **კალინინმა** გააშუქა საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა და დაწვრილებით შეეხო სასოფლო მეურნეობის ამოცანებს.

„არ არის სწორი,—სთქვა ამხ. კალინინმა,—რომ ჩვენი სიძნელენი პურის დამზადების ფრონტზე გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი შეცდომებით. რასაკვირველია, ასეთ შეცდომებს ქონდა ადგილი. მაგრამ სიძნელეთა მიზეზები მაინც უფრო ღრმა არის. სიძნელეთა უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდაში და იმ პოლიტიკური დირექტივების პრაქტიკულად განხორციელებაში, რომლებიც შეეხება საშუალო და ღარიბ მეურნეობათა განმტკიცებას კულაკურ მეურნეობათა ხარჯზე. პრაქტიკულად ტარდება ჩვენი ლოზუნგი, რომლის თანახმად მიწა, ინვენტარი და სხვა მატერიალური რესურსები კულაკის ხელიდან გადადის ღარიბ და საშუალო გლეხის ხელში. არსებითად სწარმოებს საბჭოთა წყობილების განმტკიცება სოფლად. სოფელი ამჟამად დიდ სოციალურ ცვლილებებს განიცდის. ჯერ ჯერობით ჩვენს თვალწინ სწარმოებს მიწის სიმდიდრეთა გადაცემა ღარიბთათვის და არა ამ სიმდიდრეთა გადიდება ომის წინადროინდელ მდგომარეობასთან შედარებით. არსებული ცნობებით, პურის რაოდენობა ღარიბ და საშუალო შეძლების მეურნეობებში თითქმის ორჯერ გადიდდა, მაგრამ ბაზრზე გამოსატანი პურის რაოდენობამ იკლო. როგორ უნდა მივაღწიოთ ბაზარზე გამოსატანი პურის რაოდენობის გადიდებას? ამას ჩვენ უნდა მივაღწიოთ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ინტენსიფიკაციით და საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების განვითარებით.

„თუ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას,—განაგრძობს ამხ. კალინინი,—ავსწევთ 15 პროცენტით (ეს ჩვენს პირობებში სავსებით შესაძლოა), მაშინ მარცვლეული კულტურების საკითხი უმთავრეს ნაწილში გადაწყდება. ინდივიდუალური მეურნეობა დაქუცმაცებულია, მაგრამ მთავრობა გამონახავს ტეხნიკური და სხვა ხასიათის საშუალებებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა ზრდას. მთავრობა განსაკუთრებით დიდად აფასებს კოლმეურნეობათა შექმნას და განვითარებას და სცდილობს გეგმიანობა შეიტანოს მათ მუშაობაში. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ გლეხობა იძულებით იქნას ჩაბმული კოლმეურნეობებში. მაგრამ საბჭოთა მთავრობა ყოველგვარი ეკონომიური ზომებით შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა ზრდასა და განვითარებას. თავის თავად ცხადია, რომ მხოლოდ სახელმწიფო ღონისძიებებით შეუძლებელია კოლმეურნეობათა შექმნა-განვითარება, აუცილებელია საზოგადოებრივი ბაზა და მასების ფართო თვითმოქმედება. არაფერს არ შეუძლია შეუწყოს ხელი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივიზაციის ზრდას ისე, როგორც თვით კოლექტივიზაციის წარმატებებს. კოლმეურნეობანი უნდა გახდენ არა მარტო სამეურნეო საქმიანობის, არამედ კულტუროსნობის უმაღლესი საფეხური. კოლმეურნეობათა პრობლემა არის მთელი მსოფლიოს გლეხობის პრობლემა. წარმოების მაქსიმალურად მოწყობით კოოპერატიულ ნიადაგზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ კოლექტივის ყოველი ნაწილის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კოლექტივიზაციის ძირითადი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ გამონახულ იქნას სასოფლო მეურნეობის კოოპერატიულ ნიადაგზე მოწყობის საუკეთესო ფორმები. სასოფლო მეურნეობა თავის განვითარებაში არ უნდა ჩამორჩეს ჩვენი მრეწველობის განვითარებას. ამ ამოცანებს პირველ რიგში გადასწყვეტენ ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი. „ეს პრობლემა,—ამბობს კალინინი,—უდიდესი პრობლემაა; ამ პრობლემის სასურველად გადაწყვეტით შესაძლო იქნება მტკიცე საფუძვლის ჩაყრა სოციალისტური მეურნეობისათვის“ (ადს).

თავდაცვა-ავიქიმ-ის მეორე საკავშირო ლატარია

ვინ მოიგო მოგზაურობა მოსკოვი—ბერლინი

კიევი, 7 ივნისი. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უკანასკნელი ლატარიის მოგება, რომელიც იძლევა მოსკოვ—ბერლინის შორის მოგზაურობის უფლებას, ხვდა ყოფილ უპატრონო ბავშვს, ეხლა კი ქარხანა „ჩერვონი კუტ“-ის მუშა მოროზოვსკის. მოროზოვსკი ჩქარა შეუდგება მოგზაურობას ჰაეროპლანით მოსკოვ-ბერლინის შორის. (ადს)

საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტი

ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ, გუშინ ღამის თერთმეტის ნახევარზე.

ამიერ-კავკასიის ცაკი და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო

ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ, გუშინ ღამის თერთმეტის ნახევარზე.

საქართველოს ცაკი, საქართველოს სახკომსაბჭო და თბილისის აღმასკომი

ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს

ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის

ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ, გუშინ ღამის თერთმეტის ნახევარზე.

დღეს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე ამხ. ა. გეგეჭკორის ბინაზე (დ. ჭონქაძის ქუჩა — ყოფ. ბუდოვიჩის № 12) შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

ამხ. ქართველიშვილის სიტყვა

6 ივნისის საღამოს სხდომაზე კამათის დამთავრების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლ. ქართველიშვილმა, რომელმაც დასკვნები გაუკეთა საბჭოთა აღმშენებლობის გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

სამი დღე ნახევარი—ამბობს ამხ. ქართველიშვილი, რომელიც თათბირმა მოანდომა ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების მოსმენას, უნაყოფოდ არ დაგვიკარგავს. ფაქტიურად ეს თათბირი წარმოადგენს პირველ ცდას, როცა სამაზრო მუშაკები ცენტრალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად კოლექტიურად მსჯელობენ საერთო მტკივნეულ საკითხებზე და ამუშავებენ ღონისძიებებს — შემდეგი მუშაობისათვის. ეს თათბირი, როგორც პირველი ცდა, შეიძლება საკმაოდ მომზადებული არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან შესძლო ბევრი მასალის მოცემა იმ დეფექტების გამოსასწორებლად, რომელთაც ადგილი აქვს, როგორც ადგილებზე, ისე ცენტრალურ აპარატში.

რა გვიჩვენა ჩვენ ადგილებიდან გაკეთებულ მა მოხსენებებმა? პირველ ყოვლისა ის, რომ ჩვენი სამაზრო ორგანიზაციები და მაზრის ხელმძღვანელები გაიზარდნენ. მათ თავისი მუშაობა და თავისი ამოცანები უკეთ და უფრო გარკვევით აქვთ გათვალისწინებული, ვიდრე ამ ორი-სამი წლის წინედ. ამ მხრივ არ შეიძლება ითქვას, თითქოს ჩვენ ნაბიჯი არ გადაგვედგას წინ. მეორე მხრით, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ და ჯამს გაუკეთებთ მოხსენებებს, მივიღებთ სრული კეთილდღეობის სურათს. გამოდის, რომ ყველგან ყველაფერი კარგად არის. კარგად მუშაობენ სამაზრო აღმასკომები, კოოპერატივები, სკოლები, ჯანმრთელობის ორგანოები, სასოფლო მეურნეობა ვითარდება სოციალისტური გზით და სხვ. ასეთია საერთო შთაბეჭდილება.

ამ სენით შეპყრობილნი არიან არა მარტო სამაზრო მუშაკები, არამედ ცენტრალური ორგანიზაციების წარმომადგენელნიც, რომელნიც თავიანთ სიტყვებში ამტკიცებენ, რომ ცენტრალურ დაწესებულებებში ყველაფერი უნაკლოდ კეთდება.

იმ დროს, როდესაც ჩვენ მიცემული გვაქვს დირექტივა, გამოვამჟღავნოთ ყველა ჩვენი ტკივილები, ამ თათბირზე ისმის მხოლოდ თავის-თავის ხოტბა და ქება-დიდება. თათბირმა უნდა დაგმოს ასეთი გზა, რომლის გამართლება არ შეიძლება. სამაზრო მუშაკები ლაპარაკობდენ ცენტრალური აპარატის დეფექტებზე, ხოლო ცენტრალური დაწესებულებების წარმომადგენელნი ბრალს სდებენ სამაზრო აღმასკომებს. საქმის ნამდვილი ვითარება კი ასეთია: სამაზრო აღმასკომები ჯერ კიდევ არ დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე. ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან ჩვენი მაზრების ცხოვრების ორგანიზატორები. მათ ჯერ კიდევ თავის ხელში ვერ მოუქცევიათ სამაზრო მუშაობის ყველა დარგები, სასოფლო მეურნეობა, სკოლები და სხვ. აღმასკომებს არა აქვს მტკიცედ გამომუშავებული გეგმა. მათ არ იციან, თუ რა დარგს უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება, თუ რა ტემპით განავითარონ მუშაობა. ეს არის მიზეზი, რომ ერთ და იმავე დროს ხელს კიდებენ სხვადასხვა საქმეს. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა.

მაზრები, სადაც თამბაქოს კულტურას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და მაზრის საქონლიანობის აწევისათვის, თავიანთ მოხსენებებში დიდხანს ჩერდებოდენ იმაზე, თუ რამდენი დესეტინა თამბაქო აქვთ გაშენებული. ქუთაისის აღმასკომი ზრუნავს განავითაროს მეთამბაქოება ქუთაისის მაზრაში, სადაც გლეხს თამბაქო მოჰყავს მხოლოდ თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, და იგივე აღმასკომი არ იღვწის მებამბეობას, რომელიც ამ მაზრაში ზარალის მეტს არაფერს იძლევა. ასევე იქცევა ოზურგეთის აღმასკომი, რომელსაც გონია, რომ „იზაბელას“ გაშენება ძალიან სასარგებლო საქმეა.

მოხსენებიდან გამოირკვა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი,—სახელდობრ ის, რომ სამაზრო მუშაკებს დაავიწყდათ ან გამოეპარათ მთავარი, ძირითადი მოვლენა, რომელიც მთელი ჩვენი მუშაობის ღერძია. არც ერთს სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელს არ მოუცია ჩვენი დღევანდელი სოფლის მდგომარეობის სურათი. მათ ჩვენ არ გვითხრეს, რა პროცესები სწარმოებს სოფლად, როგორ მიმდინარეობს ბრძოლა კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტებს შორის ჩვენი სოფლის სინამდვილეში. ეს საკითხი კი ჩვენთვის ძირითადი საკითხია, რომელსაც ჩვენ ვემყარებით ჩვენი გეგმების შედგენის დროს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ სამაზრო მუშაკებს თავის პრაქტიკულ მუშაობაში არა აქვთ დასაყრდენი წერტილი. არც ერთ სამაზრო მუშაკთაგანს კრინტი არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ სოფლის განვითარების შემდგომი პროცესები. თათბირისთვის საინტერესო იყო შეეხებოდენ ძირითად საკითხებს და არა მარტო იმას, თუ სად რამდენი სკოლაა, ან რამდენი საექიმო პუნქტი. არ შეიძლება ჩვენი სოფლის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის, მისი შემდგომი განვითარების სურათის მოცემა თუ არ გამოვალთ ამ ძირითადი ამოცანებიდან. ეს ძირითადი საკითხი არც ერთ მომხსენებელს არ გაახსენდა.

როგორია ჩვენი ცენტრალური ორგანიზაციების საქმიანობა? როგორ ეხმარებიან ცენტრალური ორგანიზაციები მაზრებს, როგორ ხელმძღვანელობენ ისინი მათ მუშაობას? ამ კითხვაზე ერთი პასუხია: ჩვენი ცენტრალური აპარატები მუშაობენ ცუდად, თითქმის სრულიად არ ხელმძღვანელობენ მაზრებს და არ ეხმარებიან მათ. ჩვენს ცენტრალურ დაწესებულებებს გონიათ, რომ მაზრების ხელმძღვანელობა შეიძლება თბილისიდან ფეხგაუდგმელად. ცენტრის ზოგიერთმა მუშაკებმა აქ განაცხადეს, რომ ისინი იშვიათად დადიან მაზრებში, რატომ დადიან იშვიათად? ვინ აკავებს, ვინ უშლის ხელს? ერთი ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელი ამტკიცებდა, რომ უკეთ ხელმძღვანელობა ყოფ. ევანგულოვის ქუჩიდან არ შეიძლებაო. ვინ ართმევს ძალას, რომ ამ ქუჩიდან ფეხი არ გაადგას? უკეთესი იქნებოდა, რომ ინსპექტორების გაგზავნის გარდა ისინიც სწვევოდნენ არა მარტო ჩვენი სამაზრო ცენტრებს, არამედ სოფლებსაც.

ავიღოთ გეგმიანი მუშაობა მაზრებში. მაზრებს წარმოდგენა არა აქვს გეგმიანობაზე. ჩვენი საგეგმო კომისია მოვალე იყო დახმარება გაეწია მაზრებისათვის. არც ერთს იმ საკითხის დამუშავებაში, რომელიც ამა თუ იმ მაზრას შეეხება, მონაწილეობის მისაღებად არასოდეს სამაზრო აღმასკომები არ მოუწვევია. ეს მაშინ, როცა ჩვენი საგეგმო ორგანოების მუშაობა უნდა იყოს საფუძველი სამაზრო და, საერთოდ, ყველა საბჭოთა ორგანოების საქმიანობისათვის.

თუ როგორი ყურადღებით ეპყრობა საგეგმო კომისია ადგილებზე მუშაობას, გვიჩვენებს ის, რომ ამ თათბირზე ერთი მისი წარმომადგენელიც არ დასწრებია. აქედან ცხადია, რომ ჩვენ არა გვაქვს ისეთი საგეგმო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს წაახალისოს ჩვენი მაზრების ინიციატივა, უხელმძღვანელოს მათ, შეათანხმოს ერთმანეთს მათი მუშაობის ცალკე დარგები. საჭიროა ჩვენი საგეგმო კომისიის რეორგანიზაცია. მისი შევსება საუკეთესო ახალგაზრდა ძალებით.

შემდეგი ცენტრალური ორგანიზაცია, რომელსაც ძალიან მოხვდა მომხსენებლებისაგან, არის ჯანსახკომი, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად აქვს მოწყობილი. ჯანსახკომს ყოველთვის მზადა აქვს ერთი პასუხი; რომ ყველაფრის გაკეთებას იგი ვერ ისწრებს, რომ არსებობს ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტი. მაგრამ საქმე მარტო ბიუჯეტში არ არის. როცა ჯანსახკომის წარმომადგენელი ხედავს ისეთ საცოდაობას, როგორიც მაგალითად ზუგდიდის მაზრაშია, იმდენი მაინც უნდა გააკეთოს, რომ სამაზრო აღმასკომმა სასტუმროს მაგივრად ხეირიანი საავადმყოფო აშენოს. ჯანსახკომი უნდა იყოს ორგანიზატორი, ადგილობრივი ინიციატივის ხელის შემწყობი და წამახალისებელი. ამ თვისებებს კი იგი მოკლებულია. აქ თავს იმართლებენ იმით, რომ ფული არა გვაქვსო, მაგრამ ფულიც რომ გქონდეთ, ეს საქმეს არ უშველის. მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით როგორ ვაკეთოთ და რა ვაკეთოთ.

განვიხილოთ ეხლა, როგორ მუშაობს ის ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს მრეწველობას?

ს. მ. უ. ს. მუშაობა ჩვენ ბევრად გამოვასწორეთ. მაგრამ შეცდომები და დეფექტები მაინც აქვს. იქ არის განყოფილება, რომელიც მოწყობილია ადგილობრივ მრეწველობის სახელმძღვანელოდ. ეს ორგანიზაცია ახალი ორგანიზაციაა, მას არ ყავს სათანადო ძალები, არა აქვს გამოცდილება, იგი საჭიროებს განსაკუთრებულ მფარველობას—პროტექციონიზმს. საჭირო იყო ადგილობრივ მრეწველობისათვის მიგვექცია განსაკუთრებული ყურადღება, გამოვენახა მისთვის საშუალებები, მოგვეწყო წარმოებები, შემდეგ გადაგვეცა ადგილებისათვის და გვესწავლებინა მათთვის მათი ექსპლოატაცია.

თუ როგორ ასრულებს ამ ძირითად ამოცანას ს. მ. უ. ს., მოწმობს გორის საკონსერვო ქარხნის აგების ამბავი.

მაზრის წარმომადგენლები აქ სამართლიანად აღნიშნავდნენ, თუ რა უმომჭირნეოთ სწარმოებს და რამდენად აგვიანდება ადგილობრივ მრეწველობის მშენებლობას. სამართლიანია მათი დასკვნები ადგილებზე წარმოებულ სახელმწიფო მრეწველობის მშენებლობის შესახებაც. ჩვენ მათ ვაშენებთ უგეგმოთ, უმომჭირნეოთ, მიზანშეუწონლად. ამის მაგალითია ბორჯომისა და მარელისის ქარხნები.

თათბირზე არაფერი ითქვა, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი კომუნალური მეურნეობა. ვითარდება იგი თუ არა? დღემდე ს. მ. უ. ს.-მ ვერ გამოარკვია, როგორ მოუაროს კომუნალურ მეურნეობას. თათბირმა ამ საკითხს პასუხი უნდა გასცეს.

რა სთქვეს მაზრის წარმომადგენლებმა სახალხო განათლების შესახებ? მათ განსახკომს უსაყვედურეს, რომ ხელმძღვანელობა ცუდია. ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს, თუ რამდენი ოთხწლედია ან ახალგაზრდობის სკოლა სოფლად, არამედ ის, არის თუ არა ჩვენს სკოლებში საბჭოთა სული, იზრდება თუ არა იქ ახალი სოციალისტური თაობა. საქმეა ამ სოფლის სკოლაში რამე გაკეთდეს, რომლის გამგე, როგორც ამხ. ქურდაძემ აღნიშნა სკოლის საქმეებს თბილისიდან განაგებს.

არც მიწადმოქმედების კომისარიატში არის კარგად საქმე. ჩვენი სოფლის სოციალისტური განვითარება ჩვენი სასოფლო-მეურნეობის წინ წაწევა ამ კომისარიატის ხელთ არის. ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ ლაბარატორია, რომელსაც ეს დიდი საქმე აქვს დაკისრებული, სუსტათ მუშაობს. [illegible] მისი საქმიანობის ცალკე დარგები.

აქ ბევრი ილაპარაკეს მიწადმოწყობაზე. მიწადმოქმედების და მისი ორგანოების მთავარი ამოცანა იყო გადაეწყვიტა საკითხი, თუ რომელ რაიონში როგორ მოეწყო მიწები. ნამდვილად დღემდე ტარდება არა მიწადმოწყობა, არამედ მიწების უბრალოდ დამიჯნვა. გასამიჯნი კი, განსაკუთრებით, დასავლეთი საქართველოში არაფერია. აქ მთავარია, თუ რიგვარ უნდა ჩატარდეს ჯგუფური მიწადმოწყობა. ამ საკითხებზე მიწადმოქმედების მუშაკებს არ უმუშავნიათ.

შემდეგ სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელნი ნაკლებად შეეხნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, ეს კი მთავარი ღერძია, რომლის გარშემო უნდა იწარმოოს სოციალისტურმა მუშაობამ სოფლად. თუ აღმასკომის საქმიანობაში ამ საკითხს ასეთი უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, სოფლის კოლექტივიზაციის საქმე შორს ვერ წაიწევს. გლეხობა თვითონ ებმება კოლექტივიზაციაში, რადგან იცის რომ უკეთესი ფორმა მეურნეობის წინწასაწევად ჩვენს პირობებში არ არის, მაგრამ ჩვენში კოლექტიური მეურნეობა სულ სხვა ნიადაგზე უნდა განვითარდეს. რუსეთი და უკრაინა, სადაც მემინდვრეობაა გავრცელებული სანიმუშოდ არ გამოგვადგება. იქ მხოლოდ ტრაქტორი კმარა გლეხობის გასაერთიანებლად, ჩვენში კი უმაღლესი ტეხნიკური კულტურაა და იმისათვის, რომ ამ მაღალ კულტურების გარშემო კოლექტიურად დავრაზმოთ გლეხობა, საჭიროა განსაკუთრებული ფორმების გამომუშავება.

გვაქვს ჩვენ საბჭოთა მეურნეობები, რომელიც ალაგ-ალაგ სახაგლოდ არის დაყენებული. მაგ. რა უნდა ასწავლოს მუხრანის მამულმა ჩვენს სოფლებს. აქ ცუდათ დაახასიათეს ეს მამული, მაგრამ იმ პირებმა, რომლებსაც ეს მამული აბარიათ, უპასუხოდ დასტოვეს და არ განმარტეს, თუ რა არის მიზეზი მუხრანის მამულის უმოქმედობისა?

როცა სოფლის მეურნეობას ვეხებით არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების საკითხი.

ძველი აგრონომები, ძველი სპეციალისტი მუშაკები, მიწის მზომელები სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში არ გამოგვადგება. სოფლად მომუშავე აგრონომი დღეს გამსჭვალული უნდა იყოს იმ ამოცანებით და მიზნებით, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას სოფლის მეურნეობის დარგში. სოციალისტური შეგნების გარეშე ჩვენი აგრონომი, მიწისმზომელი და სხვა სპეციალისტი ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწევს წინ ჩვენს სოფელს. ასეთი სპეციალისტები კი ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს. ბრალი ამაში რამდენიმეთ ჩვენ მიგვიძღვის, რადგან ჩვენ მათ ვერ შევაგნებინეთ ჩვენი მთავარი ხაზი სასოფლო მეურნეობის დარგში.

ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ჩვენ აგრეთვე იმ პირებსაც, ვინც მაზრაში მეთაურობს სასოფლო მეურნეობის განვითარებას. როგორი არიან ჩვენი სამაზრო საადგილმამულო განყოფილების გამგეები? თვით მათ ესმით თუ არა საბჭოთა სოციალისტური ამოცანები სასოფლო მეურნეობის დარგში? მათ დაკისრებული აქვთ თავის ხელმძღვანელობას ქვეშ ამუშაონ აგრონომები, მიწის მზომელები და სხვა სპეციალისტები. თუ მეთაურებს თვითონ არ ექნებათ შეგნებული სოციალისტური ამოცანები, რასაკვირველია ისინი ვერ გაუწევენ ხელმძღვანელობას თავის თანამშრომლებს. ამიტომ ამჟამად პირველ რიგში დგება საკითხი საადგილ-მამულო გამგეების შერჩევის შესახებ, ამ დარგის მუშაკთა კადრის მომზადების შესახებ. ეს დღემდე არ გაუკეთებია ცენტრალურ აპარატს და ეხლა მაინც უნდა გავაკეთოთ.

შემდეგი საკითხი, რომელიც აწუხებს ჩვენს მაზრებს არის საქმის ბიუროკრატიული გაჭიანურება. ეს ახასიათებს, როგორც ადგილებს, ისე ცენტრალურ დაწესებულებებს. ამ ბიუროკრატიზმს, რომელიც მაზრებში უფრო მახინჯი ფორმით აშკარავდება, უნდა გამოეცხადოს სისტემატიური—დაუნდობელი ბრძოლა ცენტრში და ადგილებზე.

დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია აქ მაზრების გაერთიანების საკითხმა. არავითარი სერიოზული საბუთი იმის წინააღმდეგ, რომ საჭიროა ისეთი მაზრების გაერთიანება, სადაც ერთნაირი მეურნეობაა, არ წამოუყენებიათ. თუ ვინმეა მაზრების გაერთიანების წინააღმდეგი, აქ არის გავლენა იმ ინტელიგენციის ცალკე ჯგუფისა, რომლისთვის სასურველი არ არის ამ ღონისძიების გატარება. რადიკალურად უნდა დაისვას საკითხი თემების გაერთიანების შესახებაც.

ჩვენი თათბირის სისუსტეა ის, რომ აქ არაფერი ითქვა ერთ უმსგავსობაზე, რომელიც ძალიან არის გავრცელებული. არაფერი არ თქმულა ნათლიმამობაზე, პროტექციონიზმზე, ძმა-ბიძობაზე და სხვ. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მაზრებს ეს ავადმყოფობა არ აქვთ. მე ხელთ მაქვს 900-მდე სოფლიდან მოწერილი კორესპონდენცია, რომელთაგან 70 პროც. ამ უმსგავსოებას ეხება. მაზრის აღმასკომები კი ამის შესახებ სდუმან. ბევრ ალაგას ადგილი აქვს გაფლანგვას, სამსახურში ნათესავების მოწყობას, ბოროტმოქმედთა მფარველობას და სხვა, ჩვენი მთავარი დასკვნა: ბრძოლა ამ სისაძაგლესთან, რომლითაც დაავადებულია, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი აპარატები.

შემდეგი საკითხი ეხება ადგილობრივ ბიუჯეტს. მაზრებს ჩვენთვის უნდა მოეხსენებიათ, როგორია მათი ადგილობრივი ბიუჯეტი და როგორ ფიქრობენ შეადგინონ იგი მომავალი წლისათვის, არაფერი კი არ სთქვეს. ჩვენი ამოცანა ახალი ბიუჯეტის შედგენის დროს მდგომარეობს იმაში, რომ უპირატესობა მივსცეთ სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო ხარჯებს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების წინაშე. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულება გვიჩვენებს, რომ ადმინისტრატიულ სამეურნეო საქმეებზე, დახარჯულია მეტი, ვიდრე ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. ეს იმის მაჩვენებელიც არის, რომ ადგილები კიდევ ვერ შეჩვევიან საბიუჯეტო დისციპლინის დაცვას. ადგილობრივ მუშაკებს შორის ჯერ კიდევ ნაკლებად არის შეგნება, თუ რა დაზოგვით, სიფრთხილით და მოფიქრებით უნდა იხარჯებოდეს გაჭირვებით შეგროვილი სახალხო ფულები. თუ ეს შეგნება არ განმტკიცდა, ჩვენ წინ ვერ წავსწევთ ადგილობრივ ბიუჯეტს. ადგილობრივი მუშაკები თავს იმით იმართლებენ, რომ ცენტრი არ გვაძლევს დირექტივებს და დარიგებებსო. ეს არ არის მართალი. დირექტივებს უგზავნიან, მაგრამ ისინი მათ უყურადღებოდ ეკიდებიან. თავის მხრით, სახალხო კომისართა საბჭოს მოვალეობაა—მოსთხოვოს ადგილებს მიცემულ დირექტივების შესრულება და პასუხისმგებლობაში მისცეს დამნაშავენი.

დასასრულ ამხ. ქართველიშვილი ჩერდება სპეციალისტების საკითხზე.

შახტის ამბების შემდეგ, თუ რამე მოხდა ყველაფერს სპეციალისტებს აბრალებენ. ეს დაუშვებელია. ჩვენ გვყავს სპეციალისტები, რომელნიც ჩვენთან პატიოსნად და ერთგულად მუშაობენ. ისინი ჩვენთან ერთად ზიდავენ ჩვენი მშენებლობის სიმძიმეს. ამ სპეციალისტებს ჩვენ არავის დავაჩაგვრინებთ. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ სპეციალისტების დახმარების გარეშე წინსვლა არ შეგვიძლია. თათბირმა ხაზი უნდა გაუსვას, რომ უნდობლობა პატიოსან და ერთგულ სპეციალისტებისადმი დაუშვებელია. თუ კი ჩვენ აღმოვაჩენთ სპეციალისტს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ვნებას აყენებს ჩვენს მეურნეობას, ასეთ სპეციალისტს ჩვენ და ჩვენთან მომუშავე ერთგული სპეციალისტები ერთად პასუხს მოვსთხოვთ და დავსჯით.

—:—

ამხ. ქართველიშვილის სიტყვის შემდეგ სათანადო რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

საგზაო მშენებლობა

(მომხსენებელი ამხ. კაციტაძე)

გუშინ დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა გზათა სამმართველოს უფროსის ინჟ. ა. **კაციტაძის** მოხსენება საგზაო მშენებლობის შესახებ.

ადგილობრივი გზების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. მთავარი სახსარი ადგილობრივი გზების გასაყვანად და შესაკეთებლად არის საფუთო გადასახადი, მაგრამ საფუთო გადასახადიდან შემოსული თანხის განაწილების ამჟამად არსებული წესი, რომელიც ტერიტორიალურ პრინციპს ემყარება, არ არის რაციონალური და საჭიროებს შეცვლას. ის მაზრები, სადაც მოზრდილი ქალაქები მდებარეობენ, ანდა რკინის გზის ახლოს იმყოფებიან, საფუთო გადასახადით აგროვებენ რამოდენიმე ას ათას მანეთს. (მაგ., თბილისი-ბათომი), მაშასადამე ამ მაზრებს თავის განკარგულებაში აქვთ საგრძნობი თანხები საგზაო მშენებლობისათვის. მაზრების უმრავლესობას კი საფუთო გადასახადისაგან უმნიშვნელო შემოსავალი აქვს. მომხსენებლის აზრით, საჭიროა მოხდეს საფუთო გადასახადიდან შეგროვილი თანხების ცენტრალიზაცია და მისი რაციონალური განაწილება. მხოლოდ ამ ღონისძიებით შეიძლება ბოლო მოეღოს იმ მოვლენას, როცა რკინის გზის კვანძს დაშორებული ესა თუ ის მაზრა, ან სრულებით არაფერს იღებს საგზაო მშენებლობისათვის, ან ღებულობს ისეთ უმნიშვნელო თანხას, რომ საშუალება არა აქვს ერთი გზის მოხელეც დაიქირაოს.

გზების გაყვანა და შეკეთება ადგილებზე სწარმოებს თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საგზაო შრომის ბეგარის საშუალებით. ადგილობრივი აღმასკომები ყოველთვისა და სავსებით ვერ სარგებლობენ საგზაო ბეგარით. რაიმე გეგმიანობაზე ამ დარგში ლაპარაკიც მეტია. გარდა ამისა, საგზაო მშენებლობის საწარმოებლად ადგილებს არ მოეპოვებათ მასალები, იარაღები, ინსტრუმენტები, რის გამოც საგზაო ბეგარის გატარება სათანადო ნაყოფს არ იძლევა.

1926—27 წელს გლეხობის მიერ შესრულებულია 676 ათასი მანეთის სამუშაოები. შეკეთებულია და აღდგენილია გზატკეცილები 13 მაზრებში (გარდა თბილისის, ქუთაისის, და რაჭის მაზ.). მიმდინარე წელს ხანგრძლივი ზამთრისა და მით მუშა-საქონლის გაწყვეტის გამო, საგზაო მუშაობა დაიწყო დაგვიანებით. მოკლე ხანში დაიწყება მთელი რიგი ახალი საგზაო სამუშაოები, მათ შორის კვლევა-ძიება ფშავ ხევსურეთის გზატკეცილის და ცაგერ-ლვირიშის გზატკეცილის გასაყვანად. სულ მიმდინარე წელს სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით გადაწყვეტილია საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯოს 22.418.883 მანეთი. სამუშაოები შესრულებული იქნება ნაწილობრივ საგზაო ბეგარის გატარებით, ნაწილობრივ საფუთო გადასახადიდან გადადებული თანხებით.

აქ, თათბირზე,—განაგრძობს მომხსენებელი, ბევრი ილაპარაკეს გზების ცუდ მდგომარეობაზე. აგინეს გზათა სამმართველო, რომელსაც მთელი დანაშაული თავზე მოახვიეს. რასაკვირველია, სამმართველო ნაკლოვანებებისაგან თავისუფალი არ არის, მაგრამ იმ თანხებით, რომლებიც მას ეძლევა, მას მეტის გაკეთება არ შეეძლო. მთავარი ბრალი უფრო მაზრებს მიუძღვის, ვიდრე სამმართველოს, არა ერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ადგილებს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ მათთვის ნება დაერთოთ საგზაო მშენებლობისათვის დანიშნული თანხები მაზრის სხვადასხვა საჭიროებისათვის მოეხმარებიათ. მაზრები გაურბიან ცოცხალ კავშირს საგზაო სამმართველოსთან. ხშირად ისინი გზის გაყვანას აწარმოებენ გზათა სამმართველოს დაუკითხავად. არა ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ მათ დაუწყიათ გზების გაყვანა და კაპიტალური ხიდების აგება ისე, რომ წინასწარ გეგმები და პროექტები განსახილველად და დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ. ეს არანორმალური მოვლენაა და ამას ბოლო უნდა მოეღოს. შემდეგ ამხ. კაციტაძე შეეხო დანარჩენ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ საგზაო მშენებლობას. მისი სიტყვით, ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებაა დაბალი ტეხნიკური პერსონალის ნაკლებობა. ერთად ერთ ღონისძიებათ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის მომხსენებელს მიაჩნია კვალიფიციური ხელოსნების მომზადება სპეციალურად ადგილობრივი გზების საჭიროებისათვის.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებს და ამბობს, რომ ამ გზატკეცილების მდგომარეობა ცუდია. სულ საქართველოში რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების სიგრძე უდრის 1.880 კილომეტრს. გზათა სამმართველომ კი მიიღო ამ გზების შესაკეთებლად მხოლოდ 285.000 მანეთი, 16 პროცენტით ნაკლები შარშანდელთან შედარებით ცხადია, ასეთ პირობებში გზათა სამმართველოს არ შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს. ახალი გზების გასაყვანად მიღებულია 612.000 მანეთი. ამ თანხებით უნდა გაგრძელდეს სურამ-ძირულის, ჯავა-როკის გზატკეცილების გაყვანა და მოხდეს გოდერძის საუღელტეხილო გზატკეცილის შეკეთება

სათანადო მანქანებით და იარაღებით თვით სამმართველო საკმაოდ არ იყო უზრუნველყოფილი. მაგ., გასულ წლამდე სატკეპნი მანქანები 14 მეტი არ მოიპოვებოდა, წელს მათი რიცხვი 21-ს აღწევს. კიდევ გამოწერილი გვაქვს 15. ამიერიდან ჩვენ საშუალება მოგვეცემა ადგილობრივი გზებისათვის მაზრებს მივაწოდოთ ჩვენი სატკეპნი მანქანები. თავის პირდაპირ დანიშნულებას, ე. ი. ზედამხედველობის გაწევას გზათა სამმართველო მომავალშიაც გააგრძელებს. გასულ წელს მან ჩაატარა მთელ რიგ მაზრებში გზების მდგომარეობის გამოკვლევა, განიხილა და შეასწორა გზების გასაყვანი და ხიდების ასაგები პროექტები, გაუწია უშუალო დახმარება და ხელმძღვანელობა გზების გასაყვან მუშაობაში და სხვა. დასასრულ,—მომხსენებელი ადგილობრივი საგზაო მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ სცნობს საფუთო გადასახადის შემოსავლიდან რესპუბლიკანური ფონდის შექმნას და შრომის ბეგარის უფრო მტკიცე გატარებას.

—:—

ინჟ. კაციტაძის მოხსენებს გარშემო გაიმართა კამათი, რომლის დამთავრების შემდეგ მოხსენებით თვითდაბეგვრის შესახებ გამოვიდა ამხ. მათიკაშვილი. კამათის და ამხ. მათიკაშვილის მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება ხვალინდელ ნომერში.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

გოგმანა გორგაძიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: კორნელი კორინთელს; თეიმურაზ გარსევანიშვილს; თეიმურაზ ელიზბარაშვილს; კოტიკა ბლუაშვილს; ეორა ხუნჯუას; არჩილ ჩხირაძეს; გულნარა და დუშიკო კეზლებს; ნუნუ ჯარიაშვილს; მაყვალა ზედგინიძეს

ოთარ ფიცხელაური.

—:—

ტარიკო მაჭავარიანის გამოწვევით შემოგვაქვს თითო მანეთი და ვიწვევთ: კაკო და საშა კახიანებს, სერიოჟა კახიანს; ზურაბ მიქელაძეს და შოთა გეგიძეს; ეთერი და რეზო კახიანებს, შოთა გაბელიას, და კუკური ლალიაშვილს.

ბიჭი და თინა კახიანები.

—:—

მე-26 შრ. სკოლის მე-2-რე და მე-3 ჯგუფების მოწაფეებს შემოგვაქვს 7 მანეთი და ვიწვევთ მე-2 და მე-3 ჯგუფებს მე-9, 3, 29, 2, 8 და 16 შრომის სკოლებიდან.

—:—

1928 წ. ივნისის 5-ს შინა-მრეწველობის ქალთა საინსტრუქტორო სკოლის თანამშრომლებმა გადასდეს ქუთაისის დასახმარებლად თითო დღის ხელფასი: ქიქოძე ნატალია—7 მან.; ღვინიაშვილი ანა—3—79; დათუნაშვილი ნინო—1—88 კ.; როინიშვილი დავით—1—42 კაპ.; ბაქრაძე თამარ—1—10 კ.; გრძელიშვილი კოტე—2—12; შეწირული შალვა—1—30; ახვლედიანი ვალ.—5 მ.; ა. მაისურაძე—50 კაპ.; არდაზიანი მარგ.—1—56 კ.; ზაალიშვილი მარ.—1—40 კაპ.; ულენტი ალექს.—1—69 კ.; ცუმუხაძე ეკატ.—1—50 კ.; ბარისაშვილი მარიამ—1—42 კ.; ხანზეგაშვილი ნინო—1—72 კ.; დარბაისელი ელისა—1—50 კ.; გასანოლლი გუსეინ—1—35კ.; სპაროდონოვა—1—40; გუგუშვილი ლენა—1—57 კ.; გოგონაძე ვანო—2 მან.; წულაძე ქეთო—1—60 კაპ.; ხანზეგაშვილი ნინო—1—30 კაპ., მუზაშვილი ზაქარია—1—40 კაპ.; ჩორაში ფედია—1 მან.; მანუჩაროვი—1 მან.; ქელიძე კატო—1 მან.; ჩოლაში ლექსო—1 მან.; კახიანი—1—30 კაპ.; მოწაფეებიდან 1 მან 65 კაპ.; სულ 52 მან და 48 კაპ.

—:—

ოთარ ნოზაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლინა მგალობლიშვილს, დათუნა მაჭავარიანს; ნინა ფანცხავას, სუსანა ტოროშელიძეს; თამარ აბულაძეს; ლილი ფოლავას; მარგო ზეითუნიძეს; ნათელა ჯიბლაძეს.

თამარა გამყრელიძე.

—:—

თანახმად გივი კილურაძის გამოწვევისა შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: რეზიკო კალაძეს; თალიკო გვაზავას; რეზიკო და ლეილა მგელაძეებს; მერიკო მაჩაბელს; გუჯა ლუისს; ოთარ ჯაშს; ოდიკო დუმბაძეს; ვალიკო ბერაძეს; ნანო ვიგორბინას.

შალიკო კობიძე.

კიკია თულიას გამოძახებით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ოთარ თუხარელს; თამარ მაისურაძეს; ლონია ალაფუზოვს; ეკა შაპოშნიკოვს; კოკოჩკა ბანდარიჩს და ვალიკო, მიტუშა დომენტის ძეს სტეროვებს.

დოდიკ ბაქრაძე.

—:—

ეგ. ნინოშვილის სახელობის საცდელ-საჩვენებელ სკოლის გამგეობას შემოაქვს 3 მან. 65 კაპ. და იწვევს: დ. მელიქაძეს; ა. მახათაძეს; ე. ოდიშარიას; გ. თავზარაშვილს; ნ. მექვაბიშვილს; გ. გოგუაძეს; ფ. ნინუას; კ. ბუჯიაშვილს და გბკერს.

—:—

ოთარ გაბუნიას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: რენიკო თოლორაიას; შამია თოდრიას; ხუტა ნადარეიშვილს; ზენიკო ბერიას; გივი კილურაძეს; ნათელა შენგელაიას; თენგიზ აბხაზს; ნოდარ გაბუნიას და ნოდარ ჟორჟიკიას.

ჯუანშერ გუგუშვილი.

მაკა ფანცხავას გამოწვევით შემომაქვს 2 მან. და ვიწვევ: ნანული გომართელს; ციალა ცინცაძეს; ეკა ანდრონიკაშვილს; ციალა ამაშუკელს; ეთერი ანთაძეს და ლამარა შავიშვილს.

თინიკო გომართელი.

—:—

ლილი ლეკვეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: კვაჭაძე ნაპოლეონს; სვანიძე მარის; გივი და თალიკო რევიებს; ოთარი და ეთერი გვანცალაძეებს; ჯემალი ციციშვილს; ნორა ექსანიშვილს; ანდრო და დავით ლონღაძეებს.

ოთარ კოხრეიძე.

—:—

შემოგვაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევთ: მახაილოვკის; ალთაგლის; მულახლოს (სართიჭ. თემი) ვოეკოვს და გრიუნტალის სასოფლო გლეხკომებს.

ყარა-თაფის სასოფლო გლეხკომი.

—:—

ოთარ ოთხმეზურის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: რობიკო გოგოლაძეს; ქეთინო ცაგარელს; რევაზ სესიაშვილს; ეთერ ...აზაძეს; თამაზ ჩხენკელს და თენგიზ ციცაშვილს.

ნაირა გოგოლაძე.

—:—

კუჭუჭია ცაავას გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: სულიკო თოდრაძეს; შოთა როსტომაშვილს; ეთერი ფაციეშვილს; არჩილ ფერ[illegible]აშვილს; მერაბ ლომინაძეს; ეთერი მესხს; ნუნუ გოხაძეს; ანეტა ჩანგიშვილს; კუკური შანიძეს; ეორა გამცემლიძეს.

შოთიკო როსტიაშვილი.

—:—

ლილი ჯულელის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: მერიკო მაისურაძეს, ცისანა აბესაძეს; ხიტო ქუთათელაძეს, რუსუდან ქებულაძეს და კუკლა მგალობლიშვილს.

ნელი გამყრელიძე.

გუშინ, „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 85 მან. 13 კ. სულ წინად შემოსულთან ერთად 15.549 მან. 44 კაპ.

მუშათა ცხოვრება

საწარმოო თათბირები და მუშკორები

ფაბრიკა-ქარხნებთან არსებული მუშკორთა ორგანიზაციების მონაწილეობა საწარმოო თათბირებში, ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ზოგიერთი მუშკორი, არამც თუ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საწარმოო თათბირებში, არამედ არც კი იცნობს მის მუშაობას და ამ მუშაობის ნაყოფს. ეს, რასაკვირველია, არ არის საერთო მოვლენა. ასეთი მუშკორები თითებზე დაითვლებიან, მაგრამ რაც არის ისიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საწარმოო თათბირების ნაყოფიერ მუშაობაზე და ხელს უშლის ჩვენი წარმოების ნაკლულოვანებათა მიუდგომელ მხილებას.

მაგრამ მარტო მუშკორებს არ მიუძღვით ბრალი საწარმოო თათბირების ნაკლულოვანებათა გამოუმჟღავნებაში. მაში დამნაშავენი არიან აგრეთვე საწარმოო თათბირების ზოგიერთი ხელმძღვანელებიც, რომლებსაც საწარმოო თათბირები მიაჩნიათ რაღაც მტკიცე შტატიან სამუშაოდ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მუშკორთა ორგანიზაციების, საწ. თათ. ზოგიერთი ხელმძღვანელები, არამც თუ თითონ მოუწოდებენ ადგილობრივ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას და მუშკორთა ორგანიზაციას, რომ დაესწრონ საწარმოო თათბირებზე, არამედ ისინი ხშირად ხელსაც კი უშლიან საწარმოო თათბირებზე კამათში გამოსულ მუშკორებს და არ აძლევენ საშუალებას დაასრულოს თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. იყო შემთხვევა, როდესაც საწარმოო თათბირების თავმჯდომარემ, მუშკორს, რომელმაც გამოამჟღავნა საწარმოო თათბირის მუშაობის უარყოფითი მხარეები გაზეთში, არ მისცა სიტყვა. ეს, რასაკვირველია არ ვარგა. საწარმოო თათბირის ასეთი თავმჯდომარე, არამც თუ ხელს შეუწყობს მუშათა აქტივის წამოყენებას, რასაც უნდა ემსახუროდეს საწარმოო თათბირი, არამედ შეაფერხებს მას და წარმოებასაც გაუმჯობესების მაგიერ გააუარესებს.

არ ვარგა ისეთი საწარმოო თათბირი, რომლის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს ადგილობრივი მუშკორთა ორგანიზაცია. არ ვარგა არც ისეთი მუშკორი, რომელიც არ არის დაინტერესებული საწარმოო თათბირების მუშაობაში და არ იცნობს მის საქმიანობას. ასეთი მუშკორის წერილები და საწარმოო თათბირის მუშაობა ყოველთვის უნაყოფო იქნება.

საწარმოო თათბირები, ამხ. ლენინის სიტყვით, მუშათა ფართო მასისათვის წარმოადგენენ „სამეურნეო სკოლას". ამ სკოლის მიზანია ჩააბას მუშები წარმოების გაჯანსაღების საქმეში და აწიოს მათი კვალიფიკაცია. მუშკორები, როგორც ყველაზე უფრო აქტიური ძალა წარმოებაში, უნდა დაეწაფონ ამ სკოლას და მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმოო თათბირების საქმიანობაში.

ამით ისინი გაამართლებენ საწარმოო თათბირებისა და მუშკორთა მოძრაობის ამოცანებს და ხელს შეუწყობენ საწარმოო თათბირების ნაყოფიერ მუშაობას.

პროლეტარი.

—:—

ვინ გამოასწორებს!

ქალაქის აღმასკომის სადარაბო განყოფილების მე-4-ე უბნის გამგე, მოქ. ჯიბლაძე ვერ ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლად. ვინც მას დაპატიჟებს და ღვინით გაუსველებს ყელს, მასთან ძალიან კარგ განწყობილებაშია და ვინც ამას არ იზამს ვაი იმის ბრალი. დარაბების მოიჯარადრეებს, რომ თავი გავანებოთ, მოქ. ჯიბლაძე თავის დაბალ თანამშრომლებსაც ასე ექცევა. იგი გინებითა და თვალების ბრიალით მიმართავს ხოლმე თანამშრომლებს და ემუქრება სამსახურიდან მოხსნით. ამის გამო ზოგიერთი თანამშრომელი იძულებული ხდება უკანასკნელი კაპეიკებით დაპატიჟოს თავისი გამგე ღვინის სარდაფში და ამით თავიდან აიცდინოს მოსალოდნელი უმუშევრობა. ამის მაგალითები ძალიან ბევრია.

მაგრამ მოქ. ჯიბლაძეს საქმიანობა მარტო ამით არ არის აღსანიშნავი. იგი ცნობილია აგრეთვე კარგ პროტექტორად დარაბების ბინად გაცემის საქმეში. თუ მოეწონა მასთან ბინის საქმეზე მოსული ქალი, უბინაოთ არ დასტოვებს; გადაავლებს თავის მოწყალების თვალს და ორ დღეში მისცემს საუკეთესო დარაბას და თითონაც შეიქნება ამ „მშვენიერ" ბინათ არსების ღამის სტუმარი.

ამას წინად მასთან მივიდა მილიციელი გეგეჭკორი და სთხოვა ჩაესახლებინა იგი დარაბაში, მაგრამ ჯიბლაძემ ცივი უარით გამოისტუმრა იგი. მეორე დღეს გეგეჭკორმა მიგზავნა თავისი მეუღლე, რომელსაც ჯიბლაძემ ჩაუცინა და ნება მისცა დარაბაში ჩასახლებისა. ქალი, თავისი ქმრით ჩასახლდა ჯიბლაძის მიერ ბოძებულ დარაბაში. ჯიბლაძეს უნდოდა ამით მოეგო ქალის გული და გამხდარიყო მისი „მეგობარი", მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში. ის ქალი მილიციელ გეგეჭკორის ცოლი აღმოჩნდა.

ყვირილის ქუჩაზე, ერთ მეჩექმეს გაატიხვრინა დარაბა და ერთ ერთ ქალს საცხოვრებელ ბინად გადასცა. მას შემდეგ ვაჟბატონი ჯიბლაძე მუდამ ღამე დაიარება მასთან ღვინით გალეშილი.

ასეთია მე-9-რე უბნის სადარაბო განყოფილების გამგის, მოქ. ჯიბლაძის საქმიანობა. ვინ გამოასწორებს ჯიბლაძეს?

გარისელი.

აზერბეიჯანელი მუშები ოზურგეთის ჩაისახვევ ქარხანაში

ოზურგეთის ჩაისახვევ ქარხანას ესტუმრა აზერბეიჯანის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ქარხნის დაზგის მუშათა დელეგაცია. დელეგაციის მიზანი იყო, როგორც ქარხნისა და მუშაობის პირობების გაცნობა, ისე აღნიშნულ ქარხნის მუშებთან ძმური და საქმიანი კავშირის გაბმა.

დელეგაცია დიდის გულმოდგინებით ათვალიერებდა ქარხანას და ეცნობოდა მუშების მდგომარეობას. ქარხნის დირექტორმა დაწვრილებით აუხსნა დელეგაციას მუშაობის პირობები და გააცნო ქარხნის მდგომარეობა. ქარხნის დათვალიერების შემდეგ, ადგილკომის ხელმძღვანელობით, დელეგაცია აღნიშნულ ქარხნის მუშებთან ერთად გაემგზავრა ჩაის პლანტაციების და ახალი ფაბრიკის დასათვალიერებლად სოფ. ზვანში. აქ სტუმრებმა ინახულეს ჩაის ახალი ფაბრიკა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აზერბეიჯანელ მუშებზე. საღამოს სტუმრების საპატივცემოდ გაიმართა საღამო-წარმოდგენა.

დასასრულს ოზურგეთელ მუშებმა სტუმრებს გაუმართეს ძმური ვახშამი. ვახშამზე აზერბეიჯანელ და ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევ ქარხნის მუშებმა წარმოსთქვეს მისასალმებელი სიტყვები. მათ ხაზი გაუსვეს მენშევიკ-მუსავატელების ბატონობის დროინდელ მუშების მდგომარეობას და აღნიშნეს, რომ არც ერთი ხელისუფლების დროს, საქართველოსა და აზერბეიჯანის მუშებს შორის არ ყოფილა ისეთი ძმური და ნამდვილი პროლეტარული კავშირი, როგორიც არის დღეს. თუ წინად, ამ ორი ქვეყნის მუშები ღვრიდნენ ერთმანეთის სისხლს საზღვრებზე, დღეს ისინი საერთო ძალით აყვავებენ ამ ქვეყნების მეურნეობას და საფუძველს უმაგრებენ სოციალისტურ სახელმწიფოს.

მეორე დღეს სტუმრები ნასიამოვნები გაემგზავრნენ აზერბეიჯანისაკენ.

ალიოშ ელიაშვილი.

—:—

მშობლები უნდა დავაჯარიმოთ

31 მაისს ტრამვაის № 202 ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი რუსთანოვი, მოდიოდა ვაგზლის ქუჩით ძალზე აჩქარებული, რადგან ვაგონს აგვიანდებოდა. ანდრეევის ქუჩასთან მიახლოებისას, იქ, სადაც წინად გაჩერება იყო, უცბად გადმოხტა 5—6 წლის პატარა ბავშვი და ჩავარდა ვაგონის ქვეშ. ვაგონის გაჩერება ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ ბავშვი მაინც არ გაისრისა. იგი მოულოდნელად გაჩნდა ვაგონის წინ.

ვატმანმა რუსთანოვმა ერთ და იმავე დროს მიიღო სასწრაფო ზომები ვაგონის გასაჩერებლად და ჩაუშვა ვაგონის წინ არსებული საშველი ბადეც, რომელმაც გადაარჩინა ბავშვი გასრისას. ამ ბადეში მოყოლილი ბავშვით ვაგონმა 8—10 საჟ. გაიარა. გაჩერებისას ბავშვი მარჯვნივ გადაისროლა და გადაარჩინა სიკვდილს.

ეს იყო მოსკოვიდან მიღებული ახალი ვაგონი. მაგრამ რა იქნებოდა, რომ ძველი ვაგონი ყოფილიყო? იქნებოდა ის, რომ ბავში გაისრისებოდა და გამოესალმებოდა სიცოცხლეს.

ბავშვების უყურადღებოთ გაშვება არ უნდა ეპატიოს მათ მშობლებს. ისინი აუცილებლივ დაჯარიმებულ უნდა იქნენ, რომ მეორეთ აღარ გაუშვან ბავშვი ქუჩაში.

მეზაგრი.

ჩამოართვით სახლი

(უქსის საყურადღებოთ)

მე-9 უბანში, 1-ლ თუმანოვის ქ. № 14 სახლი ეკუთვნის ვინმე მირზოევს. სახლი შესდგება 40 ოთახიდან, რაშიც საკმაოდ ბლომად ქირას იღებს სახლის პატრონი. მიუხედავად კარგი შემოსავლისა, სახლის პატრონი სულაც არ ფიქრობს სახლის შეკეთებაზე.

სახლი ნგრევის პროცესშია; დაზიანებულია სახურავი, აივანი, ნიაღვრის სადენი მილები, და სხვა. მცხოვრებლების მიმართვაზე იმის შესახებ, რომ სახლი შეაკეთოს, მოქ. მირზოევი ასე უპასუხებს: „ოღონდ თქვენ დაგიტანოთ სახლმა და გაუშვი ჩემი სახლიც დაინგრესო".

აღმასკომმა ან უნდა აიძულოს მოქ. მირზოევი და შეაკეთებინოს სახლი და ან ჩამოართვას და გადასცეს საიჯარო ამხანაგობას.

გალითრკა.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ქალიშვილებს სწყალობს. (სად. ხეთა). სადგურ ხეთის უფროსმა მოქ. ნ. კობახიძემ, სადგურში, ტელეგრაფის პრაქტიკანტად მიიღო თავისი ნაცნობი, კოლუას ქალიშვილი. ადგილკომმა გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, მაგრამ მოქ. კობახიძემ ყურადღებაც არ მიაქცია მის ლაპარაკს.

კარო.

მოგვაშორეთ გიჟი ქალი. ძნელაძის ქ., სახ. № 33-ში მცხოვრებ ქ-ლმა, სამადუროვამ, თავი მოაბეზრა ამავე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს. დღე არ გავა, რომ ამ ქალბატონმა რომელიმე მდგმურს არ აუტეხოს უმიზეზო ლანძღვა-გინება და არ ჩაუმსხვრიოს ბინის ფანჯრები, მილიციავ მოგვაშორე გიჟი ქალი.

მწვერავი.

რატომ აჭიანურებენ? 1926 წ. 11 ოქტომბერს ომსკის რკ. გზიდან (სად. ტიუმენიდან) სად. თბილისში გადმოიყვანეს კანტორის მოხელე ჯაფარიძე. მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და მოქ. ჯაფარიძეს ჯერაც არ მიუღია გადმოსასვლელი ჯილდო. ეს საკითხი გაირჩა დაახლოებით 15 დისტანციაში, სადაც საქმე ჯაფარიძის სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ ჯილდოს გაცემას მაინც აფერხებენ.

რადიუმი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

კინოს მნიშვნელობა სოფლად

დღეს, როცა საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს მშრომელი მასების განვითარების საქმეს, კინო-თეატრის მნიშვნელობა კულტურულ ფრონტზე განუზომელია, განსაკუთრებით კინოს მნიშვნელობა შეუდარებელი საშუალებაა კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად სოფლად. ცხადია, მარტო მშრალი მოხსენებებით და ლექციებით ვერ შევძლებთ გლეხობის მიზიდვას და მათ გათვითცნობიერებას, სწორედ ამიტომ ნაწილობრივ უკვე გადაიდგა ნაბიჯი სოფლის კინოფიკაციის დარგში. ეწყობა კინო-სურათების ჩვენება სოფლად. ზოგიერთ სამაზ. პოლიტგანებთან სოფლად კინო დარგში მუშაობისათვის განსაკუთრებული შტატიც არის შექმნილი, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ასეთების მუშაობა მხოლოდ ცენტრთან მდებარე ახლო სოფლებით ამოიწურება. ის სოფლები კი, რომლებიც ამავე მაზრაში შედიან დაშორებულია ცენტრიდან, მოკლებულნი არიან არა მარტო კინო-სურათების ჩვენებას, არამედ კინოს ხსენებასაც.

რატომ ხდება ეს? იმისათვის, რომ ასეთი სოფლები ჩამორჩენილია და თანაც დაშორებულნი. იმის საკითხი, ნუ თუ კინო მარტო დაწინაურებულ და გამოფხიზლებულ სოფლებისათვის უნდა არსებობდეს? მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს მოძრავ კინოების მოწყობას სოფლად, ამის მიზეზი ისაა, რომ მოძრავ კინოს თანამშრომლებს ურჩევნიათ სულ ცენტრში იყვნენ მოკალათებულნი, ვიდრე მიყრუებულ სოფლებში იარონ. თუ მოხდა და გაგზავნეს იქ, სადაც მათ არ ესიამოვნებათ, გზაში ბენზინიც მალე დაილევა, ავტომობილიც გატყდება და ყველა უბედურება მაშინ დატრიალდება. შედეგი ამისა ის არის, რომ მთელი ორი-სამი თვეობით მანქანას დააგდებენ რემონტში და თვითონ კი ქალაქის ქუჩების ტკეპნას შეუდგებიან, ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ თუ ხელისუფლება ხარჯავს აუარებელ თანხებს კინო-სურათების საჩვენებლად სოფლად, მაშინ პირველ რიგში ასეთები უნდა ეწყობოდეს ჩამორჩენილ და მიყრუებულ სოფლებისათვის და არ უნდა იყოს დამოკიდებული კინო-მექანიკებისა და შოფერების ნება-სურვილზე.

ალ. ბედიაშვილი.

—:—

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს

ლეგიონებში არსებობენ ცნობათა ბიუროები და საკავშირო კომისია ლეგიონშტაბთან, რომელსაც კავშირი აქვს როგორც სამაზრო, ისე თემაღმასკომებთან. საკავშირო კომისიის საშუალებით ხდება წითელ არმიელის დაკავშირება ადგილებზე და მათი საჭიროების დაკმაყოფილება. საერთოდ საკავშირო კომისიის მნიშვნელობა დიდია, მაგრამ მიუხედავად ამისა ადგილზე მაინც ვერ ხდება სწორად ამის შესრულება, რაზედაც წით.-არმ. ლეგსაკავშ. კომისიის მიმართ გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მან თავისი საჩივარის პასუხი, თუ რამდენად დაკმაყოფილდა ის, ვერ მიიღო. მაგრამ ამაში ბრალი არ მიუძღვის ლეგსაკავშირო კომისიას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი აღმასკომები აზვიადებენ წითელარმიელის საჩივრების და განცხადებების გარჩევის საქმეს.

ლეგსაკავშირო კომისიას უხდება ერთი და იმავე მომართვის რამდენიმეჯერ განმეორებით გადაგზავნა აღმასკომებში. აქ იქმნება ვოლოკიტა და იზრდება საფოსტო ხარჯები, რაც უნდა მიეწეროს ზოგიერთ სამაღმასკომების გულგრილად მოპყრობას ამ საქმისადმი და დროზე ცნობების მიუწოდებლობას კომისიისადმი.

ამისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მესამე ლეგიონის საკავშირო კომისიის მაგალითი, რომელსაც აქვს დიდძალი მიმართვები, რომლებზედაც პასუხი არ არის გაცემული 6 თვისა და ხან ერთი წლის შემდეგაც.

ხშირად ნახავთ წითელარმიელს კარებზე მომლოდინეს, რომელიც ყოველ ფოსტის მოსვლის დროს კითხულობს, თუ რა ბედი ეწია მის განცხადებას და როგორ შესრულდა იგი.

ასეთ მდგომარეობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ადგილებზე. უნდა ვეცადოთ, რომ პირველ რიგში იქნეს დაკმაყოფილებული წითელარმიელის განცხადებები და გაეცეს სათანადო პასუხი მის საჩივრებზე.

სამაღმასკომის თავმჯდომარეებმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ ქვედა აპარატებს ასეთების შესრულებისათვის.

დ. კინწურაშვილი.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

ვანის თემი, ქუთაისის მაზრა

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო მეურნეობის გარდაქმნას კოლექტიურ საფუძველზე. ამ მიზნით სოფლად იქმნება კოლექტივები, არტელები და სამანქანო ამხანაგობები. ამ მუშაობაში ჩამორჩენილი არ არის ვანის თემის გლეხობაც. თემს აქვს ტრაქტორი, რომლითაც ღარიბი და საშუალო გლეხობა კოლექტიურად ამუშავებს მიწებს. საერთოდ გლეხობაში დიდია ლტოლვა კოლექტიურ მეურნეობების შექმნისათვის, რასაც სათანადო ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს. იმდენად დიდია გლეხობის მოთხოვნილება ტრაქტორზე, რომ ერთი ტრაქტორით შეუძლებელი ხდება მათი სავსებით დაკმაყოფილება. საჭიროა მომავლისათვის გადაიდგას ნაბიჯი მეორე ტრაქტორის შესაძენად.

თემში კულტურული მუშაობაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, ჩამოყალიბებულია ლიტერატურული წრე, რომლის ხელმძღვანელობით ხშირად იმართება სალიტერატურო გასამართლებები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლულოვანებები, რომელთა გამოსწორებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. ამათში უმთავრესია გზების სათანადოთ შეუკეთებლობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არათანაბარი განაწილება, კოოპერაციაში საქონლის განაწილების უსისტემობა და სხ. განსაკუთრებით ორი უკანასკნელი საკითხი იწვევს გლეხობაში ერთგვარ უკმაყოფილებას. სამეურნეო გადასახადის არასწორი განაწილება უნდა მიეწეროს თემსაბჭოს სუსტ მუშაობას, ხოლო კოოპერაციაში საქონლის განაწილების დროს ადგილი აქვს ნაცნობ-მეგობრობას და ნათლიმამობას. თემის ხელმძღვანელ ორგანოებმა ეს ნაკლულოვანებები უნდა გამოასწორონ.

ესომ.

გლეხკორთა წერილებიდან

ჩვენი მიღწევები

ს. ძევრი, გორის მაზრა

სოფელ ძევრის მოსახლეობა 500 კომლამდის აღწევს. აქ სოფლის კეთილმოწყობის საქმეს ხელმძღვანელობს საამშენებლო კომისია. ამ კომისიის ინიციატივით აშენდა სკოლის ახალი შენობა, მოეწყო სასმელი წყაროების ონკანები და საერთოდ გამშვენიერდა ჩვენი სოფელი. გლეხობა ენერგიულ მონაწილეობას იღებს ამ მუშაობაში. საჭიროა საამშენებლო კომისიამ მომავალშიაც განაგრძოს ასეთი ნაყოფიერი მუშაობა.

ს. ხოლილაშვილი.

სახელწოდება გამოუცვალეთ

კულაშის თემი, ქუთაისის მაზრა

კულაშის თემში შედის სოფ. ხუნჯულოური. ამ სოფლის მოსახლეობამ საერთო კრებაზე გამოიტანა დადგენილება შეცვალოს ამ სოფლის სახელწოდება და ამიერიდან ეწოდოს სოფელი „განათლება". ამავე კრებაზე დადგენილ იქნა სკოლას დაერქვას ამხ. ლ. ქართველიშვილის სახელობის სასწავლებელი.

მ. ძეიშვილი.

რა გამოირკვა

(„განათლების კავშირელის" წერილის გამო)

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 54-ში, 6 მარტის თარიღით მოთავსებული იყო „განათლების კავშირელის" წერილი თბილისის სას.-სამ. სკოლის გამგის ბ. გოგრიაშვილის შესახებ. წერილის ავტორი რამოდენიმე ბრალდებას უყენებს და გამგეს. ამ საკითხის დაწვრილებით გამოსარკვევად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც გამოარკვია შემდეგი: გამგისადმი წაყენებული ბრალდებები არ დამტკიცდა. სკოლას ბევრი უკმაყოფილო ელემენტი უტრიალებს, რომელთა უკმაყოფილება გამოწვეულია სკოლის შენობიდან გამოსახლებით, სამსახურიდან მოხსნით და სხვა. ამ პირებმა თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს სამხეო ნაწილის გამგე ორბელიანი. ანგარიშის წარმოების მხრივ თუ რამე დეფექტი აქვს სკოლას, ის არის მხოლოდ იმ ნაწილში, რომლის წარმოება ევალება ორბელიანს, რისთვისაც ის მოსახსნელად იყო წარდგენილი გამგის მიერ განათლების განყოფილებაში.

გამომრკვევ კომისიის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით განყოფილებამ მიიღო შემდეგი ზომები: ორბელიანი და ერთი მებაღე მოიხსნა თავიანთი ადგილიდან, როგორც შეუფერებელნი. ბაღის დარაჯი გოგრიაშვილი გადაყვანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო სკოლიდან.

თბ. აღმ. გან. გამგე—კ. ქაცარავა.

სასოფლო სამეურნეო იარაღ მანქანებით მომარაგების მოწესრიგება

ამიერ-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს კომისიის მიერ ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის საწარმოო საშუალებებით მომარაგების საქმის რაციონალიზაციის მიზნით შემუშავებული ღონისძიებები.

ვინაიდან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მრეწველობის საწარმოო პროგრამაში შეტანილია მხოლოდ ისეთი სას.-სამ. იარაღ-მანქანები, რომლებზედაც არსებობს მასიური მოთხოვნილება და რომლის ბაზარიც მეტად დიდია. ამიერ-კავკ. მოთხოვნილება სასოფლო მეურნეობის საწარმოო საშუალებებზე, თუმცა უმნიშვნელოა თავისი ოდენობით, მაგრამ ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩება.

ამიტომ ამიერ-კავკ. ეკონსაბჭო საჭიროდ სცნობს დაევალოს ამიერ-კავკ. წარმომადგენლობას, რომ საკავშირო ს.მ.უ.ს. წინადადება მისცეს სამანქანო მრეწველობის საწარმოო პროგრამის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნეს ამიერ-კავკ. საჭიროებები და მხედველობაში იქნეს მიღებული მისი სპეციფიური თავისებურობანი.

ამიერ-კავკ. რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა განიხილონ ამიერ-კავკასიაში ისეთი წვრილი იარაღ-მანქანების წარმოების მოწყობის საკითხი, რომლებზეც მასიური მოთხოვნილებაა და რომელთაც ადგილობრივ დამზადება ხელსაყრელი იქნება (სარწყავი მანქანა, პრესები, ინკუბატორები და სხვ.)

„ზაკსელმაშს" წინადადება მიეცა გამოარკვიოს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ამიერ-კავკ. სას.-სამ. იარაღ-მანქანებით.

ამიერ-კავკ. სას. მეურნეობის მექანიზაციის წარმატების მიზნით საჭიროდ იქნა აღიარებული გამოირკვეს, თუ რომელ რაიონისათვის რა კონსტრუქციის და რა მარკის იარაღ-მანქანებია უფრო გამოსადეგი. ამ მიზნით რესპუბლიკანურ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატებთან უნდა მოეწყოს სპეციალური კომისიები, რომლებიც ამ საკითხს გამოარკვევენ. რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრებს დაავალონ, რომ დაკვეთები მომავალი წლისათვის საჭირო სას.-სამ. იარაღ-მანქანებზე ჩააბარონ „ზაკსელმაშს" 25 ივნისამდე, ხოლო „ზაკსელმაშს" წინადადება მიეცა შეკვეთები მრეწველობას ჩააბაროს პირველ სექტემბრამდე.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა მიიღოს ყოველგვარი ზომა, რათა საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი იარაღ-მანქანები დროზე იქნას მიღებული ადგილზე.

რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა სათანადო ორგანიზაციების საშუალებით მოაწყონ წინასწარი ხელის მოწერა სას.-სამ. იარაღ-მანქანებზე, სას.-სამ. კოოპერაციის ძირითად ორგანიზაციებში შექმნან სპეციალური თანხები იარაღ-მანქანების შესაძენად და სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებთან მოაწყონ იარაღ-მანქანების, თესლეულის, სამკურნალო ნივთიერებათა, ხელოვნური სასუქის და სხვ. რაიონული საწყობები, რომლებიდანაც სეზონის განმავლობაში უნდა სწარმოებდეს მოსახლეობის მომარაგება. იარაღ-მანქანები და საწარმოო საშუალებები ქარხანა-ფაბრიკებიდან უშუალოდ უნდა ეგზავნებოდეს მანქანებით მომმარაგებელ ძირითად ორგანიზაციებს.

რესპუბლიკანურ სახ კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა 1928—29 წლისათვის მოაწყონ იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნოების ნორმალური ქსელი, მოაწყონ მანქანების სათადარიგო ნაწილების საწყობები, კურსები, სადაც მოამზადებენ მანქანების მმართველებსა და შემკეთებლებს.

„ზაკსელმაშს" დაევალა გამოიკვლიოს მანქანების გამტარი ძირითადი ქსელი, სას.-სამ. იარაღ-მანქანებით მომარაგების საქმის მდგომარეობა და ტექნიკურ დახმარების მოწყობის შესაძლებლობა.

არტიკის ტუფი

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ა.-კ. საგეგმო კომისიის დასკვნები არტიკის ტუფის შესახებ.

არტიკის ტუფით (საამშენებლო მასალა) სომხეთში აშენებულია რამოდენიმე შენობა და განსაკუთრებული კომისიების დასკვნით ამ ცდებმა გამოიღეს ძალიან კარგი შედეგები. ამავე კომისიების დასკვნით არტიკის ტუფი მისცემს მნიშვნელოვან ეკონომიურ და მატერიალურ ეფექტს არა მარტო სომხეთს და ამიერ-კავკასიას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირს, ამის გამო ა.-კ. ეკონომსაბჭომ ა.-კ. წარმომადგენლობას დაავალა შუამდგომლობა აღძრას საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რათა არტიკის ტუფის შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით გადადებული იქნეს საჭირო თანხა და გამოყოფილი იქნეს სამეცნიერო მუშაკები.

მიმდინარე სეზონში ჩატარებული უნდა იქნეს ტუფის ბუდობების გეოლოგიური გამოკვლევა, მიღებული უნდა იქნეს ზომები ტუფის კლდის ფენებამდე რკინის გზის გასაყვანათ, ლენინაკანიდან ტუფის ბუდობებამდე გაყვანილი უნდა იქნეს გზა-ტკეცილი, თვით ბუდობებში უნდა მოეწყოს ქვის ტექნიკურათ დამუშავება და მოსკოვში აგებული უნდა იქნეს ერთი სანიმუშო სახლი, რა მიზნითაც ამ თავითვე გაღებულია 500.000 მანეთი.

იმ შემთხვევაში თუ განზრახული მეცნიერული გამოკვლევა დადებით შედეგებს გამოიღებს, საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს უნდა ეთხოვოს გადასდოს ერთი მილიონი მანეთი ტუფის ბუდობებამდე რკინის გზის გასაყვანათ და ტუფის მექანიკურათ დამუშავებისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენათ.

სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს წინადადება მიეცა შეუდგეს ბუდობებამდე გასაყვან რკ. გზის პროექტის დამუშავებას, დაამზადოს და სადგურ ლენინაკანში გადმოიტანოს 4 სანიმუშო სახლის ასაგებათ საჭირო არტიკის ტუფი; მიიღოს ზომები ერთი სანიმუშო სახლის ასაგებათ ტუფის მოსკოვში გადასაგზავნათ და ტუფის ბუდობებამდე წელსვე გაიყვანოს გზატკეცილი.

ტუფისაგან თითო სანიმუშო სახლი აშენებული უნდა იქნეს თბილისში, ბათომში და ბაქოში.

ა.-კ სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას წინადადება მიეცა გაიტანოს საზღვარგარეთ ტუფის, როგორც საამშენებლო მასალის, სანიმუშო პარტია.

სამრეწვ. საქონლის ფასების დაკლების გამოკვლევა

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შეამოწმა თუ რამდენათ არის შესრულებული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციებზე საცალო ფასების 10 პროცენტით შემცირების შესახებ. გამოკვლევით გამოირკვა შემდეგი:

1928 წლის 1 აპრილისთვის 1927 წლის 1 იანვართან შედარებით თამბაქოს ტრესტის ნაწარმოებზე საცალო ფასები შემცირებული ყოფილა—5,37 პროცენტით, სამთო ტრესტის ნაწარმოებზე—1,56 პროც., ტყავეულობის ტრესტის ნაწარმოებზე—6,5 პროც., „მილოთასი"-ს ნაწარმოებზე—12,55 პროც., „საქართველოს აბრეშუმი"-ს ნაწარმოებზე—11,6 პროც., ლითონ ტრესტის ნაწარმოებზე—18,4 პროც., სატყეო მრეწველობის ტრესტის ნაწარმოებზე—13,9 პროც., აგურის ქარხნის ნაწარმოებზე—6,48 პროც. და ლუდის ქარხნის ნაწარმოებზე—ფასი მომატებულია 5,98 პროც.

გამოირკვა, რომ თამბაქოს ტრესტს, სამთო ტრესტს, ტყავეულობის ტრესტს, აგურის ქარხანას სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ შეუსრულებიათ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა საცალო ფასების 10 პროცენტით დაკლების შესახებ. ვაჭრობის კომისარიატის აზრით, საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციების კალკულაციის გადასინჯვა, საპრეისკურანტო ფასების შემოწმება და იმ ძირითად მიზეზების გამორკვევა, რომლებიც ხელს უშლიან ფასების შემცირების გატარებას. ვაჭრობის კომისარიატი უკვე შეუდგა ამ მუშაობას.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

სასოფლო ვაჭრობის გამოკვლევა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს სოფლის ვაჭრობის გამოკვლევის პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა შეუთანხმოს ამიერ-კავკ. სტატ.-სამმართველოს. ადგილებზე გამოკვლევები უნდა ჩაატარონ ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულებმა რესპუბლიკებში, სათანადო რესპუბლიკანურ სტატსამმართველოებთან შეთანხმებით.

გამოკვლევის ჩასატარებლად საქართველოს სახკომსაბჭოს წინადადება მიეცა გაიღოს—3.200 მანეთი, აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს—3.200 მან. და სომხეთის სახკომსაბჭოს—1.800 მანეთი.

სულით ავადმყოფების მკურნალობა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სახკომსაბჭოს დაავალოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს შეიმუშაოს სულით ავადმყოფთა ამიერ-კავკასიის ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადაყვან-გადმოყვანის საკითხი და სომხეთის და აზერბეიჯანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებთან შეთანხმების შემდეგ თავისი დასკვნები წარუდგინოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს.

ახალქალაქ-კარზახის გზა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ახალქალაქ-კარზახის გზა აღიარებულია რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზათ.

საძოვრების მორწყვა.

საძოვრების მორწყვის ხარჯების დასაფარავად, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკანურ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატებს უნდა გადაეცეს საძოვრების იჯარაზე დარიცხულ ორმოცი პროცენტის ერთი მეოთხედი ნაწილი.

ა.-კავკასიის წარმომადგენელი მებამბეობის მთავარ კომიტეტში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით მებამბეობის მთავარ კომიტეტის წევრად და ამიერ-კავკასიის წარმომადგენლად დანიშნულია ამხ. ნასირ ტაგიევი.

ა. კ. სას.-სამ. ბანკში

სესხი სოფლის ღარიბ მოსახლეობას

ა.-კ. ფინსახკომმა, სოფლის ღარიბ მოსახლეობისათვის სესხის მისაცემად საქ. სას.-სამეურნეო ბანკს გადასცა—218.875 მ., აზერბეიჯანს—131.325 მან. და სომხეთს—87.550 მანეთი.

ამავე დროს მიმდინარე წლის ბიუჯეტის ანგარიშში, ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა სოფლის ღარიბ მოსახლეობისათვის სესხის მისაცემად, გაუხსნა გრძელვადიანი კრედიტი; საქ. სას.-სამ. ბანკს—72.750 მ., აზერბეიჯანს—44.650 მ., სომხეთს—28.100 მანეთი.

კრედიტი მელიორაციისათვის

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, საქართველოს სას.-სამ. ბანკს გაუხსნა კრედიტი 180.000 მ. რაოდენობით.

აღნიშნული თანხა მოხმარდება მელიორაციის საქმეს საქართველოში ა. წ. მაისისა და ივნისის განმავლობაში.

ამხ. ჩხენკელის მივლინება

ბანკის გამგეობის დადგენილებით, წლიური საკრედიტო გეგმისა და მისი შესრულების საკითხების გამოსარკვევად, მოსკოვში მივლინებულია გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელი.

ჩაის მეურნეობა

ცენტრალური საცდელი სადგური

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი" გამგეობამ დაადგინა მოაწყოს საქართველოში ჩაის საცდელ-საგამოკვლევო საქმის ცენტრალური სადგური.

ცენტრალური სადგური მოწყობილი იქნება ოზურგეთში, ფილიალები ჩაქვში და ზუგდიდში.

სადგურს და ფილიალებს ექნებათ ფიზიოლოგიური, ტექნოლოგიის, გენეტიკის და სელექციის განყოფილებები.

მოხსენებები ჩაის მეურნეობაზე

5 ივნისიდან ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს ცენტრალური რადიო-სტუდიიდან დაიწყო რადიო-მოხსენებების გადაცემა ჩაის მეურნეობაზე.

მოხსენებები წაკითხული იქნება კვირაში ერთხელ საზ-ბა „საქართველოს ჩაის" სპეციალისტების მიერ; მოხსენებების მიზანია გააცნოს ჩაის მეურნე გლეხებს ჩაის მეურნეობის გაძღოლის წესები.

„ზაკმიასოტორგი"-ს გამოკვლევა

პასუხისგებაშია მიცემული „ზაკმიასოტორგ"-ის დირექტორი და ოთხი აგენტი

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა „ზაკმიასოტორგ"-ის სარევიზიო გამოკვლევა, გამოირკვა, რომ „ზაკმიასოტორგი"-ს საქმიანობაში საგრძნობ როლს თამაშობდნენ კერძო პირები, რომელთაც „ზაკმიასოტორგი" აძლევდა დიდ შეღავათებს; კრედიტებს აძლევდა მათ ყოველგვარ უზრუნველყოფის გარეშე; აძლევდა მათ უგარანტიო ფულად ავანსებს და სდებდა მათთან „ზაკმიასოტორგისთვის" არა ხელსაყრელ ხელშეკრულებებს, კერძო ვაჭრებისადმი ასეთ მფარველობას შედეგად მოჰყვა ის, რომ კერძო ვაჭრებისაგან იღებდენ არა კონდიციურ საკლავ საქონელს და ხშირად მიღების აქტებში არ შეჰქონდათ სათანადო შენიშვნა, რის გამო შეუძლებელი ხდებოდა მეორე ხარისხის საკლავ საქონელზე გადაეხადათ უფრო დაბალი საფასური.

გარდა ამისა, გამოკვლევის მიერ აღნიშნულია: საკლავი საქონლის ზოგიერთი პარტიის ძალიან მაღალი დასამზადებელი ფასები გზაში და ნავთლუღის პუნქტში საკლავი საქონლის არა ნორმალურად დიდი ცოცხალი წონის დაკარგვა, ხორცის საზარალო რეალიზაცია და სხვ.

ასეთი მოქმედების გამო „ზაკმიასოტორგი" მნიშვნელოვან თანხას ზარალობდა.

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აღნიშნა, რომ „ზაკმიასოტორგის" მოქმედებაში ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ უყაირათობას, რაც გამოიხატა კერძო ვაჭრებისადმი ფართო მფარველობაში და „ზაკმიასოტორგი"-ს ინტერესებისადმი ზიანის მიყენებაში, რითაც აიხსნება „ზაკმიასოტორგი"-ს დიდი ზარალი და დაადგინა:

პასუხისგებაში იქნენ მიცემული სისხლის სამართლის წესით „ზაკმიასოტორგი"-ს დირექტორი მელიქი, რომელმაც გამოიჩინა უყაირათობა, საკლავი საქონლის მიმღები აგენტები კობახიძე, ახლანოვი და ახმაროვი, რომელთაც არა ერთხელ მიიღეს უკონდიციო საკლავი საქონელი და აღდამის დამამზადებელ პუნქტის გამგე ახკაროვი, რომელიც საქონელს სისტემატიურათ ამზადებდა ნორმალურზე გაცილებით მაღალ ფასებში. „მიასოტორგის" დამამზადებელ პუნქტის გამგე რუმერი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებით მოხსნილია „მიასოტორგიდან", როგორც შეუფერებელი აღნიშნულ თანამდებობისათვის.

კოლექტიური მეურნეობანი აფხაზეთში

აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, აფხაზეთში ამჟამად ითვლება 31 კოლექტიური მეურნეობა; აქედან 3 სასოფლო-სამეურნეო არტელია, 3 სატრაქტორო ამხანაგობა, 10 მიწის კოლექტიურათ დამმუშავებელი ამხანაგობა, 8 ჩაის კოლექტივი და 7 დამხმარე საწარმოო გაერთიანება.

ყველა კოლექტიური მეურნეობები აღმოცენდა უკანასკნელ ხანებში.

გაერთიანებისათვის საორგანიზაციო ხელმძღვანელობის გაწევა დაკისრებული აქვს სამაზრო აგრონომიულ აპარატს, რომელსაც საშუალება არ აქვს საკმაო დრო მოანდომოს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას.

გაერთიანებათა მონაწილენი იყოფიან შემდეგნაირად: უმიწაწყლო მეურნეობანი—6 პროც., მეურნეობანი ერთი დესეტინა მიწით—25,3 პროც., ორი დესეტინა მიწით—26,9 პროც., სამი დესეტინით—26,9 პროც., ოთხი დესეტინით—14,9 პროც., მეურნეობანი, რომელთაც არ ჰყავთ მუშა-საქონელი—41,8 პროც., მეურნეობანი ერთი უღელი მუშა-საქონლით—50,7 პროც. და ორი უღელი საქონლით—7,5 პროც.

კოლექტიურ მეურნეობათა განსამტკიცებლად აფხაზეთის მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ შემუშავებულია შემდეგი ღონისძიებანი; კოლმეურნეობათა არსებულ რიცხვის სტაბილიზაცია, მათთვის აგრიკულტურულ და სამეურნეო დახმარების გაძლიერება, უარის თქმა კოლექტივიზაციის ტემპის ხელოვნურად დაჩქარებაზე, კოლმეურნეობათა მშენებლობის პროპაგანდა როგორც სკოლებში, ისე სკოლების გარეთ, აგრონომ-კოლექტივისტების კადრის შექმნა, კოლმეურნეობათა მონაწილეობის ყრილობის მოწვევა და, ბოლოს, კოლექტიურ მეურნეობათა ბიუროს დაარსება მიწათმოქმედების კომისარიატთან და კოლმეურნეობათა სექციის გამოყოფა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან.

ბრძოლა უმუშევრობასთან

საქართველოს სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ მთავარ კომიტეტმა მოზარდთა და მცირეწლოვანთა შორის უმუშევრობის შესანელებლად შრომის სახალხო კომისარიატს გადასცა 13.000 მანეთი. შრომის სახალხო კომისარიატმა აღნიშნული თანხა უკვე განაწილა მაზრებს შორის. ეს თანხა უმთავრესად მოხმარდება მოზარდთა ჯგუფების გატარებას წარმოება-დაწესებულებებში.

მოზარდები და მცირე-წლოვანი უმუშევრები გაიგზავნებიან სოცდაზღვევის მთავარ კომიტეტის ხარჯზე სხვადასხვა წარმოებებში კვალიფიციურ ცოდნის შესაძენად.

წარმოებებში გაგზავნილ მოზარდებს სოცდაზღვევის კომიტეტის საშუალებებიდან ხელფასი მიეცემათ 6 თვის განმავლობაში, შემდეგ ისინი გადაირიცხებიან წარმოებების ბიუჯეტზე.

მოზარდები და მცირეწლოვანი უმუშევრები გაიგზავნებიან შემდეგ წარმოებებში: ლითონის, აბრეშუმის, ტყავის და თამბაქოს ქარხნებში, სამკერვალოებში, საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში და სხ.

მოზარდთა შორის უმუშევრობის შესამცირებლად გადაწყვეტილია გადიდებული იქნეს, წარმოება-დაწესებულებებში მოზარდთა გაგზავნის ნორმა.

გარდა ამისა მიღებული იქნება ზომები მოზარდთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და ჯანმრთელობის დასაცავად.

ამ მიზნით ჩატარებული იქნება მათი საექიმო გამოკვლევა და დასუსტებული მოზარდები გაიგზავნებიან მოზარდ მუშათა ახალშენში—წაღვერში, რომელიც წელს მოაწყო სოცდაზღვევის მთავარ კომიტეტმა.

ტყვარჩელში სამუშაოთა დაწყების წინ

ხარკოვიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო „იუგოსტალის" მიერ მოწვეულ სპეციალისტთა თათბირზე. ამ თათბირზე დასმული იყო ტყვარჩელში სამუშაოთა დაწყების საკითხი. საქართველოს სამთო ზედამხედველობის უფროსმა—ინჟ. ი. ყიფშიძემ ხსენებული თათბირის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ხარკოვში გამართულ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ როგორც საქართველოდან გაგზავნილი სპეციალისტები, ისე „იუგოსტალის" ინჟინერები, დნეპროპეტროვსკის სამთო აკადემიის პროფესორები და ამერიკელი ექსპერტები, ერთად ერთ საკითხად დასმული იყო ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონის მეორე უბანზე საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყება, თათბირზე გაკეთებული მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მარტო მეორე უბანზე ქვანახშირის მარაგი აღწევს 2.100.000.000 ფუთამდე. აქედან გაყვანილი მაღაროს საშუალებით გახსნილი იქნება მხოლოდ 1-ლი და მე-2 ფენა, ანუ 1 მილიარდ 575 მილიონი ფუთი ნახშირის მარაგი. წლიურად იქ ამოღებული იქნება 50 მილიონი ფუთი ნახშირი და მაღაროს ექსპლოატაცია გასტანს 25-32 წლამდე.

სამუშაოთა დაწყების სისტემის გარშემო გამართული მსჯელობის დროს წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, მოხდეს თუ არა ამოღებული მაღაროს კედლების ამოშენება. თათბირმა საჭიროდ აღიარა მაღაროს ამოღებისას თანდათანობით მოხდეს მისი კედლების ამოშენება, ვინაიდან ამით შესაძლებელი გახდება 1.800 მილიონი ფუთი ზედმეტი ქვანახშირის ამოღება. მეორე უბანზე ნახშირის ამოღება იწარმოებს 3 გვირაბის საშუალებით. 1-ლი გვირაბი იქნება—კაპიტალური, რომლიდანაც შემდეგ გაითხრება გვერდის გვირაბები და შემდეგ კი ე. წ. სამუშაო გვირაბები. სამუშაო გვირაბები დიდ გვირაბთან დაკავშირებული იქნება ვიწრო ლიანდაგიანი ელექტრო-გზით.

მაგნიტური რკინა-ქვიშის რაიონების გამოკვლევის დამთავრება

ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებაში მიღებული ცნობებით, შავი ზღვის სანაპიროებზე აღმოჩენილ მაგნიტურ რკინა-ქვიშის გამოკვლევის სამუშაოების პირველი ნაწილი უკვე დამთავრდა. გამოკვლეულ იქნა მდ. სუფსას მახლობელი რაიონი 1 კილომეტრის სიგრძეზე, [illegible] მეტრის სიგანეზე და 5 მეტრის სიღრმეზე. მარტო ამ უბანზე გეოლოგიური გამოკვლევით შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ მადნის მარაგი უდრის 6 მილიონ ფუთს.

სწარმოებს აგრეთვე დანარჩენი რაიონების გამოკვლევა (ნატანებიდან ქობულეთამდე და ნატანებიდან მდ. სუფსის კალაპოტამდე). საკვლევი ჭაბურღილების ამოსაღებათ და მადნის მარაგის გამოსარკვევად მუშაობს 4 გეოლოგიური პარტია, 1 ტოპოგრაფიული და 6 ჭაბურღილების ამომღები ჯგუფი.

ახლო ხანში ექსპედიციები შეუდგებიან ჭაბურღილების ამოღებას ყოველ 200 მეტრის დაშორებით, ჭაბურღილების ამოთხრისთანავე მოხდება იმავე რაიონის ტოპოგრაფიული აგეგმვა.

მთელი გამოკვლევითი სამუშაოები დასრულებული იქნება შემოდგომისათვის. გამოკვლევების დამთავრებისთანავე მოხდება მადნის მთელი მარაგის საერთო აღრიცხვა.

მარაგის გამორკვევის შემდეგ შესაძლებელი გახდება საჭირო სამზადისის დაწყება. მაგნიტური რკინა-ქვიშის გადამმუშავებელი ქარხნის ასაგებათ.

საბინაო მშენებლობა

მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობებით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობაზე მთელ საბჭოთა კავშირში დაიხარჯა 700 მილიონი მანეთი, აქედან ამიერ-კავკასიაში ახალი ბინების აგებას მოხმარდა 47.500.000 მანეთი.

მარტო გასულ საოპერაციო წელს საბინაო მშენებლობისათვის ამიერ-კავკასიის საკავშირო კომუნალურმა ბანკმა გრძელვადიანი სესხის სახით მისცა—7.215.000 მანეთი, გზათა სახალხო კომისარიატმა გადასდო 701.000 მანეთი, გარდა ამისა ამიერ-კავკასიაში საბინაო მშენებლობაზე გადადებული იქნა თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საბინაო მშენებლობის მიზნობრივ ფონდებიდან და სხვა.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით გასულ წელს საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა: საქართველოში—4.598.000 მ.; აზერბაიჯანში—8.901.000 მან.; სომხეთში—2.523.000 მანეთი. საბინაო მშენებლობას აწარმოებდნენ სამრეწველო დაწესებულებები, ადგილობრივი აღმასკომები, სატრანსპორტო და კოოპერატიული საამშენებლო ორგანიზაციები. საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად გადაწყვეტილია საამშენებლო მასალის გაიაფება და წვრილი საამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანება.

საამშენებლო მასალის გასაიაფებლად დაწყებულია ადგილობრივი საამშენებლო მასალების დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობა. მათი საშუალებით უმთავრესად დამზადდება საამშენებლო ხის მასალა და სხ.

სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაული

ფეხბურთი

თბილისი—სოხუმი

რესპუბლიკის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. გუშინ დინამოს სტადიონზე გაიმართა ორი შეჯიბრი. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდენ თბილისი და სოხუმი, მეორეში—ბათომი და ფოთი. ორივე შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა.

მოსალოდნელი იყო, რომ სოხუმის გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეები ვერ გაუძლებდენ „ბრძოლებში" გამობრძმედილ თბილისელებს და შეჯიბრი მათი დამარცხებით დამთავრდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

თბილისელებმა ვერ გაითვალისწინეს „მოწინააღმდეგის" ძალა და რამოდენიმე ძირითადი მოთამაშე სათადარიგო მოთამაშეებით შესცვალეს. ამან საგრძნობლად შეასუსტა თბილისი; შედეგი იყო ის, რომ შეჯიბრი დამთავრდა 0:0.

სოხუმელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი იშვიათი ერთსულოვნებით და მონდომებით თამაშობდენ. განსაკუთრებით კარგათ თამაშობდა მცველთა შემადგენლობა.

სოხუმის გუნდმა უკვე დაამთავრა ყველა შეჯიბრები. შედეგები ასეთია: ერთი მოიგო, ორი ფრედ დაამთავრა და ერთი წააგო; ამრიგად, აფხაზეთის გუნდმა ყველა შეჯიბრებში მოაგროვა 8 ქულა.

ბათომი—ფოთი

მოულოდნელი გამოდგა თავისი შედეგებით მეორე შეჯიბრიც ბათომის და ფოთის გუნდებს შორის. ფოთის გუნდმა ამ შეჯიბრით დაამტკიცა, რომ მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს პირველ ხარისხოვან გუნდთან.

ფოთელებმა ხალისიანათ და სწრაფი ტემპით ჩაატარეს მთელი თამაში, მიუხედავათ იმისა, რომ მათ წინადღით სერიოზული შეჯიბრი ჰქონდათ თბილისის გუნდთან და საკმაოდ დაღლილად გრძნობდენ თავს.

შეჯიბრი დამთავრდა 1:1.

—:—

დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება უკანასკნელი შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე. თამაშობენ ფოთი-გორი და თბილისი-ბათომი. პირველ მატჩს სჯის ბ. ბლანკმანი, მეორეს—ა. იოსავა.

უკანასკნელი შეჯიბრი

ხვალ, 9 ივნისს, საღამოს 4 საათზე, ლენინის სტადიონზე შესდგება მატჩი სრ. საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულზე გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდსა და საქართველოს ნაკრებ გუნდს შორის. ნაკრებ გუნდში მონაწილეობას მიიღებენ პროვინციის გუნდების საუკეთესო მოთამაშენი.

დღესასწაულის ქრონიკა

იარაღებზე ვარჯიში

გუშინ, ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში დამთავრდა ცილობა იარაღებზე ვარჯიშში. შეჯიბრში მონაწილეობას იღებდენ უმაღლესი თანრიგის მოვარჯიშენი.

პირველობა აიღო კ. მეიფარიანმა (90 ნიშნიდან მიიღო 86,8), მეორე ადგილი დაიკავა ყანჩაველმა (90 ნიშნიდან მიიღო 82,75), ხოლო მესამე ადგილი მათიაშვილმა (77,94), აღნიშნული მოვარჯიშენი თბილისელებია, ისინი გაიგზავნებიან ამ. კავკასიის ცილობაზე მონაწილეობის მისაღებად.

შეჯიბრი რბენაში

დღეს, ლენინის სტადიონზე დანიშნულია კომპლექსიურ შეჯიბრის გაგრძელება ქალთათვის შესდგება რბენა 60 მეტრის მანძილზე. ვაჟთა გუნდების შეჯიბრი შესდგება რბენაში 1 500 მეტრის მანძილზე.

ქართული ჭიდაობა

ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობას იღებს 50 კაცამდე. 6 ივნისის ცილობის შედეგები ასეთია:

მჩატე წონა: ბადრიძეს (თბილისი) შეხვედრა ჯაშიაშვილთან (თბილისი) უშედეგოთ დამთავრდა. ქარუმიძემ (თბილისი) 5 წამში დასცა ჭაბუკიანი. ქარუმიძემ 3 წამში დასცა აგრეთვე ცაავაშვილი (თელავი).

მსუბუქი წონა. ფეიქრიშვილმა (თბილისი) 2 წუთში დასცა კვანტალიანი (ქუთაისი), მუშკუდიანმა (ლეჩხუმი) დასცა გუროსპაშვილი (თბილისი), რჩეულიშვილმა (თბილისი) 3 წუთ.ში დასცა კაპანაძე (გორი), ელიკაშვილმა (თბილისი) ნახევარი გამარჯვებით დაამარცხა მარგალიტაშვილი, (თელავი).

საშუალო წონა: მაჭავარიანმა (სიღნაღი) 6 წუთში დასცა კაპანაძე (ქუთაისი), მაჭავარიანმა 8 წუთში დასცა აგრეთვე მამაგეიშვილი (ქუთაისი). გაგნიძის (თბილისი) შეხვედრა სირაძესთან (ფოთი) უშედეგოთ დამთავრდა. გეჯაძემ (თბილისი) 5 წუთში დაამარცხა ქანტურიძე (სიღნაღი).

ქართულ ჭიდაობაში ცილობა გასტანს 9 ივნისამდე.

სიმძიმეების აწევა

ცილობას სიმძიმეების აწევაში დიდძალი საზოგადოება დაესწრო. გუშინ საღამოს საქართველოს ძალოსნებმა გადააჭარბეს ამიერკავკასიის გასული წლის ზეწევებს ორი ახალი მიღწევით.

კასიკოვმა (ბათომი; უმსუბუქესი წონა) ერთი ხელის აკვრით ასწია 4 ფუთი და 16 გირვანქა.

ზაუტაშვილმა (თბილისი, მსუბუქი წონა) ერთი ხელის აკვრით ასწია 4 ფუთი და 12 გირვანქა.

კრივი

გუშინ, ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში შესდგა ცილობა კრივში. შტალმა (თბილისი) მესამე შეტევაზე დაამარცხა მელეშოვი (ბათომი).

ვარჯიში რგოლზე

პრაქტიკანტი და სტაჟიორები

განათლების კომისარიატთან არსებულ პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების განმანაწილებელ ბიუროს ცნობით, უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების განაწილება შესაფერ ადგილებზე დამთავრებულია. წელს პრაქტიკაზე და სტაჟის მისაღებად სხვადასხვა წარმოებებსა და ორგანიზაციებში გაიგზავნება.

სახელმწიფო უნივერსიტეტიდან:

სულ 553 სტუდენტი. აქედან პოლიტექნიკურ ფაკულტეტიდან რუსეთისა და უკრაინის წარმოებებში გაიგზავნება 138 სტუდენტი-პრაქტიკანტი, ხოლო საქართველოს ფარგლებში არსებულ წარმოებებში—43 პრაქტიკანტი და 10 სტაჟიორი.

სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტიდან რუსეთში გაიგზავნება 16 პრაქტიკანტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში კი 36 პრაქტიკანტი და 22 სტაჟიორი.

სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის ყველა დარგებიდან სულ გაიგზავნება: რუსეთში 99 პრაქტიკანტი და 16 სტაჟიორი, საქართველოს ფარგლებში: 51 პრაქტიკანტი და 24 სტაჟიორი.

საექიმო ფაკულტეტიდან პრაქტიკანტები და სტაჟიორები იგზავნება სამუშაოდ მხოლოდ საქართველოს ფარგლებში: ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში. ამ ფაკულტეტიდან წელს პრაქტიკაზე და სტაჟის მისაღებათ სულ იგზავნება 98 სტუდენტი.

ხელფასი

საქართველოს ფარგლებში პრაქტიკანტებისა და სტაჟიორებისათვის ხელფასის ნორმა უკვე გამომუშავებულია. ამ ნორმის მიხედვით პრაქტიკანტებს და სტაჟიორებს ხელფასი მიეცემათ თავიანთი სპეციალობის მიხედვით არა საკლებ მე-6 თანრიგისა.

რაც შეეხება რუსეთში გაგზავნილებს, მათ ხელფასი მიეცემათ ადგილობრივ დაწესებულ ნორმების მიხედვით.

როგორც რუსეთში, ისე საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გაგზავნილ პრაქტიკანტ-სტაჟიორებს ეძლევა უფასო სამგზავრო ბილეთები.

ლენინის სახელობის ინსტიტუტიდან:

ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტიდან პრაქტიკაზე გაიგზავნება: რუსეთში—217 სტუდენტი, საქართველოს ფარგლებში—18, ამავე ფაკულტეტიდან გაიგზავნება 24 სტაჟიორი, უმთავრესად რუსეთში.

სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტიდან რუსეთში იგზავნება პრაქტიკანტი—43, სტაჟიორი—3, საქართველოს ფარგლებში პრაქტიკანტი—17, სტაჟიორი—13.

ტექნიკუმებიდან

წელს ტექნიკუმებიდან სულ გაიგზავნება 300 პრაქტიკანტი და სტაჟიორი. ტექნიკუმებიდან პრაქტიკანტები და სტაჟიორები სხვადასხვა დარგის წარმოება-დაწესებულებებში გაიგზავნება მხოლოდ საქართველოს ფარგლებში.

როგორი მოსავალი იქნება წელს

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს ცნობით, უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებში წვიმა არ მოსულა; გვალვამ დააბრკოლა ნათესების ამოსვლა.

უკანასკნელ დღეებში წვიმებს ადგილი ჰქონდა მთელ რესპუბლიკაში. ეს გარემოება დადებითად იმოქმედებს ახლად ამოსული ნათესების შემდეგ განვითარებაზე. უახლოეს ხანში მოსული ნალექები რამოდენიმე კვირით უზრუნველჰყოფს ნათესებს. მოსავლისათვის გვალვა საფრთხილო იქნება მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, როდესაც იწყება პურის მომწიფება და წამოიზრდება სიმინდის ყანები.

საერთოდ, წელს მოსავალს უფრო კარგი პირი უჩანს, ვიდრე გასული წლის ამ დროს.

სასამართლო

რას ასრულებდა აღმასრულებელი

შრომის სასამართლოს ჰყავდა ერთი აღმასრულებელი, რომელიც უსათუოდ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

რა მხრივ არის საინტერესო და საყურადღებო ეს ამბავი?

მოგახსენებთ. თებერვალში დაიწყო სარევიზიო კომისიამ შრომის სასამართლოს აღმასრულებელ გიორგი კონსტანტინეს ძე ჯინჭველაშვილის საქმიანობის გადასინჯვა და დღემდე ასავალ-დასავალი ვერ გაუგეს ჯინჭველაშვილის საქმეებს.

არ არის არც ჟურნალი, არც ანგარიში, არც მხარეთა განცხადება, არც მხარეთა მისამართები. ალაჰმა უწყის როდის რა შეასრულა, როდის რა მიიღო, რამდენი მიიღო, რამდენი ერგებოდა, რამდენი სალაროში შეიტანა და, რაც მთავარია, რამდენი ჩაყლაპა თვითონ.

დაიღალა ექსპერტები. სარევიზიო კომისიის წევრები უჯრებში ეძებდენ ქაღალდის ნაგლეჯებს, რომ რაიმე საბუთი ენახათ. დიდი ვაი-ვაგლახით რაღაც თითო-ოროლა საბუთს შეუყარეს თავი. რაც აღმოჩნდა, ისიც საკმარისი დარჩა იმისათვის, რომ ჯინჭველაშვილი გამფლანგველთა კამერას შემატებოდა.

კიდევ კარგი, რომ ჯინჭველაშვილი თვითონ გამოტყდა და სთქვა 684 მანეთი მე შევჭამეო. ამას კიდევ მიემატა სარევიზიო კომისიის მიერ აღმოჩენილი თანხა და 917 მანეთი ვალად დაედვა სასამართლოს აღმასრულებელს.

ეს იმ საბუთებით, რაც ხელთ ჩაუვარდა რევიზიას. ვინ იცის კიდევ რამდენი ჩაყლაპა ჯინჭველაშვილმა!

ჯინჭველაშვილს გაასამართლებს თბილისის მაზრის სასამართლო.

არც ნინა მომკვდარა და არც ელენე!

„ნინა გარდაიცვალა, ვასაფლავებთ სამშაბათს,.. ალიოშა".

ასეთი დეპეშა მოდის 12 მაისს გორში ვინმე ანდრია ლექვინაძის სახელზე. საფოსტო განყოფილება დაეძებს ლექვინაძეს, არავინ არის ასეთი. კითხულობენ—ვინ არის ეს ნინა? იქნება ვინმე იცნობს ალიოშას?

არავინ არაფერი იცის.

„ელენა გარდაიცვალა,.. ლიდა".

დეპეშას ღებულობს ახალ-ქალაქის ფოსტა. მიღებულია დეპეშა ვინმე მიმინოშვილის სახელზე.

ეძებენ მიმინოშვილს, გამოიკითხეს ელენე, ლიდა, არც ერთი არ უახლოვდება დეპეშის შინაარს.

ვიღაც მოკვდა, მაგრამ არავინ იცის ვინ მოუკვდა, ვინ გაუბედურდა.

თურმე არავინ მომკვდარა, არც ნინა, არც ელენე. ეს ყველაფერი უზენაეს სასამართლოს მდივნის თანაშემწე კონსტანტინე ხვიჩიას მოგონილი დეპეშებია.

რაშია საქმე?

ხვიჩიას ხშირად ავალებდენ უზენაეს სასამართლოში გასარჩევ საქმეებთან დაკავშირებით დეპეშების გაგზავნას მაზრებში. ხვიჩიას ეძლეოდა სათანადო თანხა, რომლის ანგარიშის გასასწორებლად საბუთები უნდა წარმოედგინა.

ხვიჩია მიღებულ თანხას ცოტ-ცოტას აკლებდა და როცა გემო გაუგო, მოუხშირა სიყალბეებს.

ხვიჩიას „ნინას გარდაცვალების" შესახებ დეპეშა იაფი უჯდებოდა, სულ 71 კაპეიკი.

ახლა ნახეთ ამ დეპეშის ასლი, რომელიც საბუთად წარმოადგინა ხვიჩიამ სალაროში

... „გორი. სახალხო მოსამართლეს. გევალებათ იუსტიციის სახალხო კომისრის ფარულ მიმოწერაში აღნიშნული ცნობები შეკრიბოთ 14 მაისისათვის, რომელიც რუსეთის (!) უზენაეს სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს. ჩამოიტანეთ თბილისში სათანადო ახსნა-განმარტებით.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე (ხელს აწერს ამხ. კაჭარავას მაგიერ ხვიჩია!).

რასაკვირველია, 71 კაპ. ხვიჩიამ გადაასწორა 5 მან. 76 კაპეიკად.

ასეთივე „ასლი" გაკეთა ხვიჩიამ „ელენეს გარდაცვალების" გარშემო გაგზავნილ დეპეშიდან. ასლში განსაკუთრებით გაზვიადებულია ყოველი წინადადება. მაგალითად, ხვიჩია არასოდეს დეპეშაში არ დაწერს „ცაკი". გაგრძელებს— ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სხვ.

28 მაისს ბათომში ასეთი დეპეშა გაგზავნა ხვიჩიამ.

„აღმასკომს. მოდის თოლორდავა—გეგეშიძე".

სულ ეს დეპეშა დაჯდა ათი შაური. ხვიჩიამ ათი შაური გადააკეთა 5 მანეთად და 55 კაპეიკად.

ამავე დეპეშის ასლი ასე წარადგინა სალაროში. დააკვირდით სტილს.

„ბათომი. ჯანსახკომს. ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 7 მარტის მეხუთე მუხლის (!) თანახმად და არსებულ უზენაეს სასამართლოსთან (!) მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნილ განმანაწილებელ კომისიის (ნაციონალიზაცია ქმნილი კომისია, აღარ გვესმის!) სხდომა შესდგება 28 მაისს, სადაც გარჩევა და სხვ... შემდეგ მიდის მთელი ზღაპარი.

ასეთი ყალბი დეპეშები ხვიჩიას აღმოაჩნდა 225 ცალი. გაფლანგული თანხა უდრის 1087 მანეთს.

აი თურმე რატომ ჰკლავდა ხვიჩია ხან ნინას და ხან ელენეს!

ხვიჩია დაპატიმრებულია. საქმე გაირჩევა 13 ივლისს.

ბერი.

ქრონიკა

მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახელზე გურიის სოფლის ახალგაზრდობის მასწავლებელთა კონფერენციისაგან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„გურიის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა პირველი კონფერენცია გესალმებათ და თქვენი ხელმძღვანელობით ყოველ ზომებს მიიღებს, რათა გაძლიერდეს სოფლად კულტურულ-განმანათლებელი და სასოფლო-სამეურნეო მუშაობა“.

მისალმების დეპეშა

საქართველოს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ გურჯაანიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„მიწა-ტყის კავშირის სიღნაღ-თელავის სამაზრო პროფბიუროების გაერთიანებული საორგანიზაციო პლენუმი გიძღვნით მხურვალე სალამს. პლენუმმა აირჩია გაერთიანებული ბიურო, რომელიც ამიერიდან იმუშავებს გურჯაანში — სიღნაღ-თელავის გაერთიანებულ მაზრების ცენტრში.

პლენუმის პრეზიდიუმი“.

ამხ. კარკლინის დაბრუნება

ბაქოდან თბილისში დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. ლ. კარკლინი.

მწ. ლ. ფრიდლიანდის ჩამოსვლა

გუშინ ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა, ცნობილი წიგნის „გამოკეტილ კარებში“-ს ავტორი მწ. ლ. ფრიდლიანდი.

მრეწველობის საკონტროლო ციფრები

საკავშირო საგეგმო კომისიამ ამიერ-კავკასიაში მოავლინა ეკონომისტი რ. ვეისბერგი, რომელსაც დავალებული აქვს გაეცნოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მრეწველობის მომავალი წლის საკონტროლო ციფრებს და რესპუბლიკათა საგეგმო კომისიების მუშაობას 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების შედგენის დარგში.

მასალები ენტომოლოგთა კონგრესისათვის

რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა აცნობა საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატს, რომ ენტომოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც იხსნება ამერიკაში, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად მიემგზავრება რუსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სამეცნიერო - საგამოკვლევო ლაბორატორიის გამგე ამხ. პარფენტიევი. რუსეთის მიწსახკომი სთხოვს საქართველოს მიწსახკომს მააწოდოს მას ცნობები საერთაშორისო კონგრესზე მოხსენების გასაკეთებლად—თუ რა გაკეთდა საქართველოში კალიასთან ბრძოლის და მავნებლებთან ბრძოლის ქიმიურ მეთოდების შესწავლის საქმეში. საქართველოს მიწსახკომი სასწრაფოდ ამზადებს საჭირო მასალებს.

თათბირი დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხებზე

10 ივნისს სასახლეში გაიხსნება ამიერ-კავკასიის პირველი თათბირი დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხებზე.

თათბირზე მოსმენილი იქნება რესპუბლიკანურ ჯანსახკომების მოხსენებები დედობისა და ბავშვობის დაცვის საქმის მდგომარეობისა და მისი უახლოესი პერსპექტივების შესახებ. რესპუბლიკანური განსახკომები მოხსენებას გააკეთებენ სკოლის ჰასაკამდე განათლების საქმის მდგომარეობისა და მისი უახლოესი პერსპექტივების შესახებ.

შემდეგ თათბირი განიხილავს საზოგადოებრივ ორგანიზაციების დედობისა და ბავშვობის დაცვის საქმეში მონაწილეობის და გლეხქალთა ურთიერთ დამხმარე სალაროების გახსნის საკითხებს.

ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა დროებითი ბინები

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ხე-ტყის დამზადება-დაცურებაზე მომუშავეთა დროებითი ბინებით დაკმაყოფილების წესები. ამ წესების მიხედვით, იმ სამუშაოებზე, რომლებიც დასახლებულ ადგილებიდან დაშორებულია ექვს კილომეტრზე მეტი მანძილით, მუშებისათვის აგებული უნდა იქნეს დროებითი საცხოვრებელი ბინები. ბინები აგებული უნდა იქნეს სანიტარიის და ჰიგიენის მოთხოვნილებათა თანახმად.

შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები

ექსკურსიების მოწყობის გასაადვილებლად რკინის გზათა სამმართველომ ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს გადასცა 7.000 სამგზავრო ბილეთი 50 პროცენტის ფასდაკლებით. ამ ბილეთებიდან 4500 ბილეთი გადაეცა პროფკავშირთა საბჭოს, რომელმაც მიღებული ბილეთები შემდეგნაირად გაანაწილა: 250 ბილეთი მიეცა აჭარისტანს, 125—აფხაზეთს, 50—გორს, 75—სამხრეთ-ოსეთს, 30—სიღნაღს, 50—სენაკს, 70—ოზურგეთს, 50—ზუგდიდს, 75—ბორჯომს, 60—ახალქალაქს, 25—დუშეთს, 30—ბორჩალოს, 25—რაჭას, 25—ლეჩხუმს, 150—ქუთაისს, 40—შორაპანს, 50—თელავს, დანარჩენი ბილეთები დაურიგდა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს.

თბ. აღმასკომში

◆ წყალსადენი გარეუბნებში. კომუნალური მეურნეობა შეუდგა წყალსადენის გაყვანას გარეუბნებში. საჭირო მილები უკვე მომარაგებულია.

◆ ტრამვაის ახალი ხაზი. თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი ბოტანიკურ ბაღამდე.

პოლიტგანათლების მთავარსამმართველობაში

◆ ლიკპუნქტები. პოლიტგანათლების მთავარსამმართველობამ თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. წილკანში (დუშ. მაზრა) გახსნა წ.-კ. უცოდინარობის ახალი სალიკვიდაციო სკოლა.

◆ რადიო. პოლიტგანათლების მთ. სამმართველობამ მოლითის თემში (შორ. მაზ.) მოაწყო რადიო-მიმღები სადგური.

ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელები

◆ „წითელი არტელი“. სოფ. ანაგაში (სიღ. მაზ.) დაარსდა უღარიბეს გლეხთა არტელი, რომელიც აწარმოებს მხოლოდ კულტურულ მეცხოველეობის მეურნეობას.

◆ ჩაის მეურნეთა ამხ-ბა. სენაკის მაზრის სოფ. უფლისკარში მოეწყო ჩაის მეურნეთა ამხ-ბა, რომელშიაც შედის 25 გლეხი.

◆ „წითელი ოქტომბერი“. სოფ. ატენის და გარდატენის 22 უღარიბესმა გლეხმა დაარსა სას.-სამ. არტელი, რომელსაც გორის სამაზრო აღმასკომმა გადასცა ერთი ხეხილის ბაღი, 3 დესეტინა საბოსტნე და საყანე მიწა და მისცა მეურნეობის მოსაწყობათ სესხად 3.000 მან.

განათლების კომისარიატში

◆ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. წინანდლის 7 წლედი განათლების კომისარიატმა გადააკეთა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად.

◆ კონფერენცია. განათლების კომისარიატი 10 ივნისს თბილისში იწვევს ბავშვთა სახლების ხელმძღვანელთა რესპუბლიკანურ კონფერენციას.

სხვადასხვა

◆ სამალარიო სადგური. სოფ. სარვანში (ბორჩალოს მაზრა) გაიხსნა სამალარიო სადგური.

◆ ბიბლიოთეკართა კურსები. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გახსნა ბიბლიოთეკართა მოსამზადებელი კურსები.

◆ უმუშევართა დაზღვევა. შრომის ბირჟამ უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში დააზღვია 600 უმუშევარი.

◆ ავადმყოფების გაგზავნა. 20 ივნისს ბორჯომში, კისლოვოდსკში, ესენტუკში და ჟელეზნოვოდსკში გაიგზავნება დაზღვეულთა პირველი პარტია 38 კაცის შემადგენლობით.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— ბაქოს მუშათა თეატრი. დღეს მუშათა ცენტრ. კლუბში გაიმართება ბაქოს მუშათა თეატრის პირველი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება: გორკის „მალვა“.

— მოძრავი თეატრი. სახელოვნო მთ. სამმართველობამ გადასწყვიტა მაზრებისათვის მოაწყოს მოძრავი თეატრი.

— ხელოვნების სასახლეში შაბათს, 9 ივნისს, საღ. 7 ს. შესდგება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. ვ. სუტირინი გააკეთებს მოხსენებას „პროლეტარულ მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობის შედეგების შესახებ.

შემთხვევები

ბავშვების დაკარგვა

1 აპრილს ყარაიაზის კალოებიდან უგზოუკვლოდ დაიკარგა ქვემო-ბათხაანში მცხოვრები სტეფანე ხატისაძე მეველიშვილი, 16 წლის.

— 22 აპრილს სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა ქალ. სიღნაღში მცხოვრები შაქრო არშაკაძე ტერ-სეიჩანოვი, 14 წლის.

ავტომობილის ქვეშ

გუშინ, შუადღის 12 საათზე, მუხრანის ქუჩაზე, „ზაკავტოპრომტორგ“-ის ნახევრად საბარგო ავტომობილი № 320, რომელსაც მართავდა შოფერი ვასილ ჯიმიკაშვილი, დაეჯახა სოფ. დიღომიდან ჩამოსულ 10 წლის ი. ტრედაძეს.

ტრედაძის ბავშვი მოჰყვა ავტომობილის წინა ბორბლებს ქვეშ და მძიმედ დაშავდა. მას დაზიანებული აქვს თავი და დაჟეჟილი მთელი სხეული. ბავშვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

გამოძიებით დადასტურდა, რომ შოფერს ავტომობილი დიდი სისწრაფით მიჰყავდა.

შოფერი ჯიმიკაშვილი დაპატიმრებულია.

მოკვლის განზრახვა

გუშინწინ, ღამით, შიო გლახუნისძე დოლიძემ, კამოს ქუჩაზე, მოკვლის მიზნით, რევოლვერის ტყვიით მძიმედ დასჭრა ბიქტორ ეგრონტისძე ჩლაიძე,

გვამის პოვნა

გუშინ, დილით, ქალაქის სასაკლაოს მახლობლად მილიციის თანამშრომლებმა იპოვნეს მკვდარი ქალის გვამი, რომლის ვინაობა ჯერჯერობით გამოურკვეველია. გარდაცვალებული არის დაახლოვებით 60 წლისა, გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

თავის დაჭრა

გუშინ, დილით, მუსა ჯალალოვმა (მცხ. კომუნალური ქ. № 1), თვითმკვლელობის მიზნით დაიჭრა თავი. ჯალალოვი გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ცოლის დაჭრა

გუშინწინ, საღამოს, სოლომონ მიკიჩაძე არუთინოვმა (მცხ. პეტრიწის მოედანი, 20), დანით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი—მარიამ არუთინოვა. არუთინოვი დაპატიმრეს.

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინ, დილით, ანა სტეფანეს ასულმა სტეფანოვამ (მცხ. სტავროპოლის ქ., 10), თვითმკვლელობის მიზნით დალია იოდი. სტეფანოვას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

სიმთვრალის დროს

გუშინწინ ვიღაც ბოროტმოქმედმა თავში რკინა დაარტყა ვართან ახვერდოვს (მცხ. ზორაბაშვილის ქ., 26), ახვერდოვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

დაკითხვისას ახვერდოვმა განაცხადა, რომ მას არ ახსოვს დამჭრელის გარეგნობა, რადგან მთვრალი იყო.

რკინისგზებზე

ახალი ნავთსადენი

მიმდინარე წლის შემოდგომაზე განზრახულია გახსნა ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენის, რომლითაც იწარმოებს დაუმუშავებელი ნავთის გადაქაჩვა. ჯერ-ჯერობით ნავთის გადაქაჩვა იწარმოებს ხაშურიდან ბათომამდე.

ახალი ნავთსადენი საგრძნობლად განტვირთავს ნავთზიდვისაგან სუღელტეხილო უბანს, რაც ხელს შეუწყობს დანარჩენი ტვირთების ზიდვის გაძლიერებას.

სამგზავრო ვაგონების შეკეთება

გზათა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა სამგზავრო ვაგონების შეკეთების გეგმა 1928—29 წლისათვის, ამ გეგმის მიხედვით ამიერ-კავკ. რკინის გზებზე შესრულებული უნდა იქნეს შემდეგი სამუშაოები:

უნდა იქნეს აღდგენილი 3 რბილი, 1 მაგარი, 4 საფოსტო და 4 სანიტარული ვაგონი.

კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 14 რბილი, 49 მაგარი და 4 საფოსტო ვაგონი.

საშუალო შეკეთებაში უნდა გატარდეს—186 სამგზავრო და 5 საფოსტო ვაგონი.

გარდა ამისა გასინჯული უნდა იქნეს საჩქარო წესით 644 ვაგონი. ამრიგად მთელი წლის განმავლობაში, გეგმის მიხედვით, ამიერ-კავკ. რკ. გზათა სახელოსნოებში უნდა შეკეთდეს 909 ვაგონი.

სატელეგრაფო ხაზის გადაკეთება

გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკ. რკინის გზათა გამგეობას შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა იმ სატელეგრაფო ხაზების გადასაკეთებლად, რომლებიც გასულ წელში დაზიანდა ნამქრებისაგან.

ნიაღვარი

გუშინ ძლიერმა ნიაღვარმა სად. კოჯლიბანში წარეცხა რკინის გზის ხაზი.

მატარებლების მოძრაობა შეფერხდა 1 საათით. ამჟამად ხაზი აღდგენილია.

შემთხვევა სომხეთის ხაზზე

6 ივნისს სამგზავრო მატარებელი № 4 (ერევნის) ახპატ-აგთაგლის შუა დაეჯახა მთიდან ჩამოვარდნილ ლოდს. ორთქლმავალი დაზიანდა.

სანაინიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც შესძლო მოძრაობის აღდგენა.

ამ შემთხვევის გამო მატარებელმა № 4 დაიგვიანა 3 საათით და 30 წუთით.

ამხ. პოზდეევის დაბრუნება

გუშინ ბაქოდან თბილისში დაბრუნდა გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებული და ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. პოზდეევი.

ჭადრაკი

შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე

IV ტური

ამ ტურში სოროკინმა და გოგლიძემ, რომლებსაც აქამდის მოგებული ჰქონდათ ყველა პარტიები, ორივემ თავიანთი პარტიები გაათავეს ყაიმით.

გოგლიძე—ებრალიძე (ფერზის დებიუტი). გოგლიძემ დებიუტით მიიღო უფრო კარგი მდგომარეობა და შეტევის საშუალებაც, მაგრამ ებრალიძე კარგად იცავდა თავს; ფიგურათა ზედიზედ გაცვლით რამდენიმე სვლის შემდეგ მოთამაშენი დათანხმდნენ ყაიმზე.

მედვედევი—სოროკინი (ახალი ინდიური). ამ პარტიაში მედვედევი, რომელსაც აქამდის ჰქონდა წაგებული ყველა პარტიები, გადაურჩა წაგებას. სოროკინმა უკეთეს მდგომარეობაში სწორად არ შესწირა მხედარი და იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო ყაიმით.

ფეოდოროვი—ტალვიკი (რუსული). ტალვიკმა დებიუტით ვერაფერი უპირატესობა მიიღო. შუა თამაშში ფეოდოროვი ვერ ამჩნევს პაიკის წაგებას. იგი აკეთებს სვლას, რითაც აგებს ფიგურას. ტალვიკიც თავის მხრივ ვეღარ ამჩნევს ამას. ხანგრძლივ წინააღმდეგობის შემდეგ პარტია თავდება ტალვიკის მოგებით

ოგანეზოვი—კომაროვი (რეტის დებიუტი) პარტია გადადებულია ოგანეზოვისათვის უიმედო მდგომარეობაში.

მდგომარეობა მეოთხე ტურის შემდეგ ასეთია: გოგლიძე, სოროკინი+3 ნახ., ტალვიკი+3, ფეოდოროვი+2, ებრალიძე+1 ნახ. (1 დაუმთავრებელი). მედვედევი+ნახ., ოგანეზოვი (2 დაუმთავრ.), კომაროვი (1 დაუმთ.).

მცირე ჩემპიონატი

ასხარიანმა მოუგო აგურცოვსკის, არუთინოვმა—ხალათოვს, რუდნიკმა—ჯაოევს.

დღეს 8 ივნისი, შეჯიბრის ყველაზე საინტერესო დღეა; ამ დღეს გამოირკვევა პირველობა. თამაშობენ: გოგლიძე—სოროკინი, კომაროვი—მედვედევი; ფეოდოროვი—ოგანეზოვი, ებრალიძე—ტალვიკი.

თამაში სწარმოებს ყოველდღე ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საღამოს 6 საათიდან.

ვ. გოგლიძე

თავდაცვა ავიაქიმის მეორე საკავშირო ლატარია

(დასასრული)

5 მოგება: გადაფრენა—მოსკოვი — მინერალნია ვოდი—მოსკოვი

(ღირებული 750 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
01.788	201	05.167	159
02.782	206	05.263	144
04.455	204		

3 მოგება: გადაფრენა — მოსკოვი— ბერლინი — მოსკოვი

(ღირებული 1.150 მანეთად)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
00.648	86	04.528	44
08.102	236		

2 მოგება: გადაფრენა—მოსკოვი — სტამბოლი — მოსკოვი

(ღირებული 1.200 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
04.965	247	07.477	115

2 მოგება: გადაფრენა — მოსკოვი ვენა — მოსკოვი

(ღირებული 1.350 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
04.089	136	06.327	223

3 მოგება: გადაფრენა—პარიზი — მოსკოვი—პარიზი

(ღირებული 1.350 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
06.927	163	07.439	202
09.715	44		

2 მოგება: გადაფრენა — მოსკოვი— ათინა—მოსკოვი

(ღირებული 1.500 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
08.246	121	08.892	18

2 მოგება: მოგზაურობა დედამიწის გარშემო

(განსაზღვრული მარშუტით. ღირებულება—5.000 მან.)

ბილ. №	სერ. №	ბილ. №	სერ. №
00.822	275	02.588	194

ერთი მოგზაურობა დედამიწის გარშემო

(მარშუტი სურვილისამებრ)

ბილ. №	სერ. №
02.739	257

მოგებათა მიღების წესს ხვალ გამოვაქვეყნებთ

ებრაელთა მიწად-მომწყობ საზ-ბის მიერ გამართული ლატარიის მოგებანი

ქვემოდმოყვანილ ნომრებს მოგებათ საპარსავი მოწყობილობა „ჟილეტ“

925.178	942.133	955.178	972.133	985.178
932.133	945.178	962.133	975.178	992.133
935.178	952.133	965.178	982.133	995.178

ქვემოდმოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა მარადი კალმები „პარკერ“

389.678	869.678	913.579	943.579	973.579
896.959	876.959	916.878	946.878	976.878
897.429	877.429	923.579	953.579	983.579
899.678	879.678	926.878	956.878	986.878
903.579	886.959	933.579	936.379	993.579
906.878	887.429	936.878	966.878	996.878

ქვემოდმოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა ქალისა და მამაკაცის საათი

868.460	884.205	896.848	929.202	969.202
874.205	886.848	898.460	939.202	979.202
876.848	888.460	909.202	949.202	989.202
878.460	894.205	919.202	959.202	999.202

ქვემოდმოყვანილ ბილეთებს მოგებათ ხვდა 1926 წ. სესხის ობლიგაციების ერთი მეოთხედი ნაწილი

002.990	118.469	185.579	508.085	685.702
009.358	121.335	188.469	517.761	696.702
012.990	121.615	191.335	518.085	701.659
019.358	125.579	191.615	527.761	707.911
022.990	128.469	195.579	528.085	711.659
029.358	131.335	198.469	537.761	717.911
032.990	131.615	203.372	538.085	721.659
039.358	135.579	213.372	547.761	727.911
042.990	138.469	223.372	548.085	731.659
049.358	141.335	233.372	557.761	737.911
052.990	141.615	243.372	558.085	741.659
059.358	145.579	253.372	567.761	747.911
062.990	148.469	263.372	568.085	751.659
069.358	151.335	273.372	577.761	757.911
072.990	151.615	283.372	578.085	761.659
079.358	155.579	293.372	587.761	767.911
082.990	158.469	409.204	588.085	771.659
089.358	161.335	419.204	597.761	777.911
092.990	161.615	429.204	598.085	781.659
099.358	165.579	439.204	606.702	787.911
101.335	168.469	449.204	616.702	791.659
101.615	171.335	459.204	626.702	797.911
105.579	171.615	469.204	636.702	802.191
108.469	175.579	479.204	646.702	806.504
111.335	178.469	489.204	656.702	809.849
111.615	181.335	499.204	666.702	812.191
115.579	181.615	507.761	676.702	816.504
819.849	836.504	852.191	869.849	886.504
822.191	839.849	856.504	872.191	889.849
826.504	842.191	859.849	876.504	892.191
829.849	846.504	862.191	879.849	896.504
832.191	849.849	866.504	882.191	899.849

ფოტოგრაფიული აპარატები

076.959	157.481	623.450	729.950	755.518
123.242	394.486	631.283	745.206	761.191

ველოსიპედები (ქალის ან მამაკაცის)

006.770	180.278	305.530	467.844	587.301
066.688	181.858	316.715	478.154	653.931
068.508	182.123	332.074	513.243	709.033
075.159	190.133	367.088	514.211	721.400
123.216	241.434	372.616	516.652	733.143
131.293	243.093	375.313	541.715	770.051
143.563	265.595	391.107	567.547	776.087
153.696	274.170	431.544	582.881	847.023
172.362	298.501	454.913	582.934	848.635
				892.634
				899.280
				921.008
				948.538
				976.315

ავიაქიმში

პრეზიდიუმის სხდომა

შაბათს, 9 ივნისს, დღის 10 საათზე ამხ. ს. ჯუღელის კაბინეტში შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბის პრეზიდიუმის სხდომა

სხდომის დღის წესრიგში, სხვა საკითხებს შორის, სდგას საზოგადოების მდივნის არჩევა და თავდაცვის კვირეულის ჩატარების გეგმის გამომუშავება.

თათბირი გასამხედროების საკითხების შესახებ

თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ავიაქიმების წარმომადგენლების მოხსენება საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის სექციების მუშაობის შესახებ. ყველა რესპუბლიკებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის წესების შესასწავლად მოსახლეობისათვის ქალაქებსა და სოფლებში შედგენილია რაზმები, ეწყობა ქიმიურ ომის ინსცენირებები და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

თათბირი მოისმენს მოხსენებას თავდაცვის კვირეულის ჩატარების შესახებ ამიერ-კავკასიაში და გამოიმუშავებს სათანადო გეგმას.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 8 ივნისი

დღეს, 8 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

საუბარი ბუნებისმეტყველებიდან: მაიმუნიდან ადამიანამდე —რუსულ ენაზე.

საერთაშორისო მიმოხილვა—ოსურ ენაზე.

სამხრეთ—ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავი (მისალმებები)—ოსურ, ქართულ, რუსულ ენებზე.

პიონერთა გაზეთი—ოსურ ენაზე.

საკონცერტო განყოფილება.

სამხედრო სასწავლებლების შევსების შესახებ—მოხსენება თურქულ ენაზე.

პროსტიტუცია და მასთან ბრძოლა—მოხსენება თურქულ ენაზე.

კონცერტის ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1928-29 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე 1928 წლის მაისის 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-7, 11 და 16 მუხლების რედაქციის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის მე-17 მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე—11 მუხლი საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 8-ს დადგენილებისა—1928—29 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ („კომუნისტი“-ს 127—2170 №-რი 1928 წ. ივნისის 3-სა)—მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, იმ მეურნეობებისა და მიწების სია, რომელთა შემოსავალიც განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადისაგან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 43 მუხლის წესისამებრ (ს.ს.რ.კ. ცენტ. აღმ. კომიტეტის „იზვესტია“-ს 94 №-რი 1928 წ. აპრილის 22-სა) და ეს სია წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს“.

2. აღნიშნული 1928 წ. მაისის 8-ს, დადგენილების მე-16 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 16. დაარსდეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი; ბ) თითო წარმომადგენელი სამაზრო საფინანსო, საადგილმამულო და სასტატისტიკო ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციებისა; გ) წარმომადგენელი გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების სამაზრო ორგანოსი ან სათანადო ორგანიზაციისა.

სამაზრო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) დააწესოს წინასწარი ნორმები უბნისა, თემისა და სოფლისათვის;

ბ) გადასწყვიტოს სათანადო შემთხვევაში გადამხდელთა საჩივრები“.

3. საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მაისის 8-ს დადგენილებას—1928—29 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—დაემატოს მე-17 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 17. სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარეთ არის სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) თითო წარმომადგენელი სათემო საფინანსო და საადგილმამულო ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციებისა;

გ) ორი გლეხი, რომელთაგან ერთს დანიშნავს გლეხთა საურთიერთო დახმარების სათემო კომიტეტი, ხოლო მეორეს აარჩევს სასოფლო ყრილობა სათანადო სოფლების საქმეთა გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად.

შენიშვნა. სასოფლო ყრილობის მიერ არჩეული გლეხ-წევრი მიიღებს კომისიაში მუშაობისათვის გასამრჯელოს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრიდან ერთი მან. რაოდენობით თვითეულ სხდომაში მონაწილეობისათვის.

სათემო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) გადასწყვიტოს საკითხი ღარიბ მეურნეობათა არასამიწათმოქმედო შემოსავლის გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის წესისამებრ;

ბ) განსაზღვროს გადამხდელთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის რაოდენობა;

გ) განსაზღვროს შეძლებულ მეურნეობათა დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 28 მუხ. წესისამებრ;

დ) გადასწყვიტოს საკითხი ისეთი მეურნეობის დაბეგვრის შესახებ, რომლის შემოსავალიც დაუბეგრავ მინიმუმზე ნაკლებაა (ერთიანი სას.-სას. გად. დებ. 35 მუხ.).

ე) გაანთავისუფლოს გადასახადისაგან ფონდების ხარჯზე ნაკლებ ღონიერი მეურნეობანი;

ვ) გაანთავისუფლოს გადასახადისაგან სრულიად ან ნაწილობრივ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობანი;

ზ) განიხილოს და გადასწყვიტოს გადამხდელთა (გარდა საბჭოთა მეურნეობისა) საჩივრები საშემოსავლო წყაროების არასწორე აღნუსხვის თაობაზე და შემოსავლის თანხისა (გარდა ამ მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული შემოსავლისა) და გადასახადის განაკვეთების არასწორე გამოანგარიშების თაობაზე.

4. ზემოაღნიშნული, 1928 წ. მაისის 8-ს, დადგენილების მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტიდან ამოიშალოს სიტყვები: „და მეურნეობის გარეშე რეწვის შემოსავალი—10 პროც.“

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ.—ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—

ს. სტეფანოვი.

1928 წ. ივნისის 7

თბილისი—სასახლე.

—:—

შეცდომის გასწორება

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928—29 საშენაწერო წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1928 წლის მაისის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 127 (2170) №-ში ამა წ. ივნისის 3-ს) მე-5 მუხლის იმ ცხრილში, რომლითაც შემოსავლიანობის მტკიცე ნორმებია გათვალისწინებული, უნდა გასწორდეს შემდეგი შეცდომები:

ხილის ბაღების შემოსავლიანობის მტკიცე ნორმების გრაფაში შორაპნის მაზრისათვის უნდა იყოს—148 მან.

კარტოფილის შემოსავლიანობის მტკიცე ნორმების გრაფაში აჭარისტანისათვის უნდა იყოს—88 მან.

თამბაქოს შემოსავლიანობის მტკიცე ნორმების გრაფაში საერთოდ საქართველოს ს.ს. რესპუბლიკისათვის უნდა იყოს—175—265 მან.

იმავე გრაფაში დასავლეთ საქართველოსათვის გამოქვეყნებული ციფრი—175 და მანდარინის შემოსავლიანობის ნორმების გრაფაში ახალქალაქის მაზრისათვის გამოქვეყნებული ციფრი—300 უნდა ამოიშალოს.

მეღორეობის შემოსავლიანობის მტკიცე ნორმების გრაფაში უნდა იყოს: ახალქალაქის მაზრისათვის—4 მან.; ახალციხის მაზრისათვის—4 მან.; ბორჩალოს მაზრისათვის—4 მან.; გორის მაზრისათვის—4 მან.; დუშეთის მაზრისათვის—5 მან.; სიღნაღის მაზრისათვის—5 მან.; თელავის მაზრისათვის—5 მან.; თბილისის მაზრისათვის—5 მან.; სამხრეთ-ოსეთისათვის—4 მან.; ზუგდიდის მაზრისათვის—6 მან., ქუთაისის მაზრისათვის—5 მან.; ლეჩხუმის მაზრისათვის—4 მან., ოზურგეთის მაზრისათვის—4 მან.; რაჭის მაზრისათვის—4 მან., სენაკის მაზრისათვის—6 მან.; შორაპნის მაზრისათვის—4 მან.; აჭარისტანისათვის—4 მან. და აფხაზეთისათვის—6 მანეთი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მოქ. კაკაბაძეს

კითხვა

ჩემი ოთახი მოკლებულია ყოველგვარ კეთილ-მოწყობილობას, როგორიც არის სამზარეულო, წყალი და საპირფარეშო; თბილისის აღმასკომმა მიიღო რა მხედველობაში ოთახის მოუწყობლობა, ჩემი თხოვნით შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა ტიხრის გასაკეთებლათ მეზობელ ოთახში, რომ მომცემოდა საშუალება მესარგებლებინა, როგორც სამზარეულოთი, აგრეთვე წყლით და საპირფარეშოთი, მაგრამ ამ ოთახის მობინადრემ არ დაათანხმდა ტიხრის გაკეთებაზე. კანონიერია, საცხოვრებელი ოთახი იყოს მოწყვეტილი ყოველგვარ მოწყობილობას და მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო სახლის მეპატრონესაგან მისი დაკმაყოფილება.

პასუხი

თუ ოთახის დაქირავების დროს არ ჰქონდა სამზარეულო, საპირფარეშო და სხვა. თქვენ არა გაქვთ უფლება შემდეგში მოსთხოვოთ სახლის პატრონს ასეთები.

საქარის თემის მცხოვრებს ალის

კითხვა

ჩემი ოჯახი შესდგება 9 სულისაგან, მათ შორის 6 მოსწავლეა, მე კი ინვალიდი ვარ. გასაბჭოების შემდეგ გვქონდა სარგებლობაში 9 ქცევა მიწა, ერთი ქცევა, რომელზედაც იყო გაშენებული 500 ძირი ნამყენი ვენახი, ძალით წამართვა მეზობელ სოფელში მცხოვრებმა. ჩემ მიერ იქნა აღძრული საჩივარი მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებაში, მაგრამ ის გადაწყდა [illegible] ძალით წამართვა. გეკითხებით, რამდენად კანონიერია [illegible] იმ პირობაში, როდესაც წართმეული მიწა ნორმას არ აღემატებოდა.

პასუხი

თუ წართმეული მიწა არ იყო ნორმაზე მეტი, ის არ შეიძლებოდა თქვენ ჩამოგერთმეოდათ. თქვენ შეგიძლიანთ მიმართოთ: რაიონის საადგილ-მამულო კოლეგიას საჩივრით ჩამორთმეულ მიწაზე თქვენი უფლების აღდგენის შესახებ.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. თეოფილე იასესძე ხიამაშვილს და თედორე პავლესძე ვაშაკიძეს სასწრაფოდ გამოცხადდენ ცეკას სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან, ოთახი № 43.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 8 ივნისს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედის საერთო კრება.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა. წ. 5 ივნისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საღამოს 9 საათზე, გარდაიცვალა იშვიათი მშრომელი და დაუვიწყარი ამხანაგი

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძე

გამოსვენება პარასკევს, 8 ივნისს, საღამოს 4 საათზე, ვარდისუბნის ქუჩა № 4. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ.

ს.ს.ს.რ. განსახკომისარიატის პროფტეხნიკური განათლების მთავარმართლობა ღრმა მწუხარებით აუწყებს დაუვიწყარ, ძვირფას თანამშრომელ—მდივნის

ალექსი ევგენის ძე მიქელაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 8 ივნისს, დღის 4 საათზე. ბინიდან (ვარდისუბნის ქ. № 4). დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ.

მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ექვთიმე ილიას-ძე მეუღლე მარიამით და შვილებით—შალვა, ნინო თამარა, ელენე, რძალი ნინო, შვილისშვილი მერაბი მიქელაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 5 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მუდამ სახსოვარი ბიძა

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძე

2616

ესტატე და მიხეილ მირიანაშვილები, ანიკო კიკნაძისა და ვარო ელიზბარაშვილისა ოჯახობებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ გარდაცვალებას ამა 5 ივნისს, საყვარელის სიძის და ძვირფასი მეგობრის განათლების კომისარიატის თანამშრომლის

ალექსი ევგენის-ძე მიქელაძისას

2605

სახ. უნ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის გაერთიენებული პროფესიონალური კავშირი აუწყებს საზოგადოებას, რომ შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 5 საათზე ქალ. ფოთში დიდი კუნძულის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი მეგობრის უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის

ალექსანდრე (საშა) ვიქტორის-ძე შოთაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 1212

საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი მწუხარებით აცხადებს, რომ 7 ივნისს დილით, სამუშაოზე ყოფნის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის მაუდის ფაბრიკის სამუშაოთა მწარმოებელი და სამეურნეო აღმშენებლობის ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი

ალექსანდრე ლიუდვიგის ძე ზურგმანი

(ნ)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მატა, შვილები: ილიკო, ანეტა, ავდიტა და ნინა, რძალი მარიამი, სიძეები: ბაგრატ კიკალიშვილი და ემელიან კოპეიშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 ამა ივნისს, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

მიხეილ გლახუას-ძე ქავზინაძე

დაკრძალვა 10 ივნისს, კვირას, სოფ. ივანდიდში ნაშუადღევის 4 საათზე. 26

ცრემლშეუშრობელი დედა, დაი და ძმები: აუწყებენ ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი მარად სახსოვარი და საყვარელი

აკაკი მაქსიმეს-ძე ვაშაკიძე

დაკრძალვა დიდი-ჯიხაიშში, ქაშეთის სასაფლაოზე 8 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე.

261

მწუხარებაში მყოფნი: დედა ერმონია, მეუღლე ნადეჟდა, შვილები: ავთიკო და მარი ქურდევანიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარ

გიორგი არჩილის ძე ქურდევანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად შაბათს, 9 ივნისს, 3 საათზე, ხაშურის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 262

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე—მენიკო; შვილები: ვერა და ტატიანა, სიძე ვალოდია ჟუკოვი, ძმის შვილები: ილია, მიშა, კოწია და ფინია აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაცვალებულ

სპირიდონ მათეს ძე კვირკელიას

ხსოვნის აღსანიშნავად შაბათს, ივნისის 9, ნაშუადღევის 5 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქალ. ქუთაისში საფიჩხის სასაფლაოზე ნ. 1 08

სახკინმრეწვის კინოები

სახელმწიფო ეთერი	დუგლას ფერბენკსი, ადოლფ მენჟუ და ბარბარა ლა-მარ საუკეთესო სურათში „სამი მუშკეტერი“
მინიონი	
სახელმწიფო დარბაზი	მეორე კვირა „კენიგსმარკ“ პიერ ბენუას რომანის მიხედვით პროგრამის გარდა ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა ხანის ჩამოსვლა
სახელმწიფო პალასი	უკანასკნელად 3 და 4 სერია ერთად „ზღვის გმირი“ პროგრამის გარდა: ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა ხანის ჩამოსვლა
აპოლო	კუინჯი და მხატვრულ კუტუზოვი სურათში „კვანძი“ პროგრამის გარდა: ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა ხანის ჩამოსვლა
სოლეი	ამერიკის საუკეთესო ტრიუკისტი ვილიამ დესმონდი საინტერესო კინო-რომანში „საიდუმლოებათა კუნძული“ 1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	მხატვრული ფილმი უცხოეთის ნაწარმ. „დედის გული“
პროლეტარი ავლაბარი	„მეჟრაბპომ-რუს“-ის გამოშვება „ერთი ქალი“

ანონსი: —ამ დღეებში კინო „ბანთიადის“ გახსნა ნაძალადევში. 0—7

მუდსან მ-რომის სახაფხულო ბაღი (ყოფ. სტელა)

დღეს, 8 ივნისს,

სახ. მსახ. მ. ი. ჩერნიახოვსკის მესამე გასტროლი

დიდი სიმფონიური კონცერტი

ახალი პროგრამით დასაწყისი საღამოს 9 ს.

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის. ნ. 1209

იყიდება

გიორგი გოგელიასეული სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—9 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

დღეს და ყოველდღე

კინო-თეატრებში

აპოლო პალასი

დარბაზი ეთერი

პროგრამის გარეშე

ყოველ სეანსზე

ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულ ხანის ჩამოსვლა

ნ. 1210

ვინაიდან ზოგიერთ აბონენტს სწორად არა აქვს გაგებული ხელშეკრულების პირობები ელექტრონის გაყვანის შესახებ

თბილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველო „ტელასი“

ამით განმარტავს, რომ:

1) აბონენტებს არ გაეგზავნება შინაგან და მაგისტრალურ ელექტრო-გაყვანილობათა ღირებულების ანგარიშები.

2) აბონენტი, რომელსაც „ტელასთან“ დადებული აქვს ხელშეკრულება შინაგან ელექტრო-გაყვანილობის შესახებ უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად ხელშეკრულებაში აღნიშნულ გაყვანილობის (საორიენტაციო) ღირებულების ერთი მეათედი, დაწყებული იმ თვიდან, როცა დასრულდა ხაზის გაყვანა ან მიცემულ იქნა სინათლე.

3) ელექტრო-გაყვანილობის ნამდვილი ღირებულების გაგება აბონენტს შეუძლია „ტელასის“ ბუღჰალტერიაში ელექტრო-გაყვანილობისა ან ენერგიისათვის მორიგი გადასახადის შეტანის დროს, და ამ რიცხვიდან აბონენტმა ყოველთვიურად უნდა შეიტანოს ელექტრო-გაყვანილობის ნამდვილი ღირებულების ერთი მეათედი ნაწილი, რათა მთელი დავალიანება დაფარულ იქნეს ათი თვის განმავლობაში სინათლის გაყვანის დღიდან.

4) ყველაფერი ზემო-ნათქვამი ეხება აგრეთვე ხელშეკრულებებს მაგისტრალის გაყვანაზე და მთვლელთან („სჩოტჩიკ“) შეერთებაზე იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში კრედიტის ვადა არის არა 10 თვე, არამედ 4.

5) აბონენტები, რომელთაც თავის დროზე არ შეიტანეს მორიგი გადასახდელი თანხა, უნდა უახლოეს ვადაში გამოცხადდენ „ტელაში“ თავიანთი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ენერგიის მიცემა განსაკუთრებულ გაფრთხილების გარეშე.

6) ვალი შემოტანილ უნდა იქნეს „ტელასის“ სალაროში: თავისუფლების მოედანი, 2, ქარვასლა. სასურველია გაყვანილობისა და ენერგიის გადასახადის შემოტანა ერთდროულად.

ნ. 1210 „ტელასის დირექტორი ბირიუკოვი.

თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 11 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 25 კალინინის (ყ. ნიკოლაევის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გრიგორ დანელიანცის მოძრავ ქონებას: ერთ ნიკელის სამოვარს, 3 კრესლოს ხავერდგადაკრულს, სამ დიდ სურათს ტილოზე და სხვ. შეფასებულს 58 მანეთად, მოქ. თამარა არიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-5 სახელმწ. სანოტარო კანტორისგან 3 დეკემბერს 1927 წ. თარიღით, № 198 გაცემულ აღმასრულებითი წარწერისა. 2606

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი

დარეჯან ე.

თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარცხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

სია

გაზეთ „კომუნისტის“ იმ ხელის მომწერთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთს სწორი მისამართების უქონლობის გამო.

1. ტოგონიძე
2. გლურჯიძე საქარ. ლვ.
3. ახობაძე სიმონ
4. ოსიძე ვასილი
5. თოხაძე
6. ქუთათელაძე
7. კოდ-სოტი მიხ. საავად.
8. კერვალიშვილი ხრის.
9. ბარამიძე
10. ჩომბოხაშვილი
11. ბატერიშვილი გიორგი
12. ტატიევი

აღნიშნულ ხელისმომწერლებს ვთხოვთ დაჩქარებით აცნობონ გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართები.

გაზეთ „კომუნისტის“ ექსპედიცია.

მისამართი: კამოს (ყ. დიდი-მთავრის) ქ. № 68, ტელ. 5—43

0—2

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 22, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ხასიო საიფედიონს-ძე სოზანბეგოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის განგუშევის გვარზე შეცვლის შესახებ.

საერთო სადმ. ქ | განყ. უფროსი ჯავახიშვილი

მმაჩის ბიუროს გამგე შარაშენიძე

2613

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორსეის ქ. კუთხე.

ა. ვ. მიქ ბენიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„**სილამაზის ინსტიტუტი**“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8

ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5

მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორად მორგება

უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ

„სახმედვაჭრობა“

პლეხანოვის პროსპ. № 106

აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა. 25—1

დაიკარგა: ს.კ.პ. საწევრო წიგნაკი № 0861688, მე-4 რაიკომის საწევრო წიგნაკი № 24, განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 4674, კოოპერატ. საწევრო წიგნ. № 9178, ოსო-ავიაქიმის საწ. წიგ. № 50251 ელისაბედ დავითის ასული ანდრიაძის სახელზე. ჩ. გ. 2610

დაიკარგა მოწმობა, გაცემული უნივერსიტეტის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ ნიკო ხმალაძის სახელზე, ჩ. გ. 2608

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი და პირადობის მოწმობა მექანიკოს თედორე ბექანის-ძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 2607

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68